619
1973

# დროშა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

№ 6 ივნისი 1973




ეროვნული ბიბლიოთეკა

19 მაისს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროში საზეიმო ვითარებაში შედგა საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის შეთანხმებათა ხელმოწერა. ეკონომიური, სამრეწველო და ტექნიკური თანამშრომლობის განვითარების შესახებ შეთანხმებას ხელი მოაწერეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობის სახელით ლ. ი. ბრეჟნევმა, ა. ა. გრომიკომ; გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის სახელით ვ. ბრანდტმა, ვ. შეელმა.

სურათზე: ხელმოწერის დროს.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 6 (439) ივნისი, 1973 წ.

გამოცემის წელი 50-ე.

ყოველთვიური საზოგადოებრივ პოლიტიკური და სალიტერატურო სამხატვრო ჟურნალი

# დათბა ჩვენს პლანეტაზე



12 მაისს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიწვევით ბერლინში ჩავიდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბ რ ე ჟ ნ ე ვ ი და მისი თანმხლები პირნი.

ს უ რ ა თ ზ ე: საზეიმო შეხვედრა ბერლინის ქუჩებში.

მთელ საბჭოთა ხალხს, მთელ მოწინავე კაცობრიობას დიდი სიხარული მოჰგვარა ცნობამ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ, რომელმაც მთლიანად და სავსებით მოიწონა პოლიტბიუროს მუშაობა მთელი მსოფლიოს მტკიცე მშვიდობის და კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხის საიმედო უშიშროების უზრუნველსაყოფად და აღნიშნა ის დიდი პირადი წვლილი, დიდი ღვაწლი და ამაგი, რაც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა დასდო ჩვენს პლანეტაზე მშვიდობის უზრუნველყოფის საქმეს. ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს მშვიდობის საერთაშორისო ლენინური პრემია მიენიჭა.

მთელი საბჭოთა ხალხი, მსოფლიოს ყველა პატიოსანი ადამიანი მხურვალედ ულოცავს მას ამ მაღალ ჯილდოს და გულწრფელად უსურვებს ახალ წარმატებებს მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ.

მშვიდობისმოყვარე ძალების დიდი მოძრაობის შედეგად ჯერ ბევრ ადგილას გაიბზარა და ბოლოს გატყდა ცივი ომის ყინული. დათბა ჩვენს პლანეტაზე, ჰაერში აშკარად იგრძნობა მშვიდობის დიდი გაზაფხულის დასაწყისი, მისი პირველი დღეების შუქი. მწვანე მაისი ბუნებაში თვითონ მოდის, ადამიანების ჩაურევლად; ხოლო ცის გადაწმენდა და ღრუბლების გაფანტვა მსოფლიოს ცაზე, საერთაშორისო დაძაბულობის შენელება — თავისთავად არ მომხდარა. ეს შესძლეს ადამიანებმა დედამიწის ყველა კუთხეში, ეს შესძლო მილიონთა მოძრაობამ, რომელიც დაიწყო XXIV ყრილობის მიერ დასახული მშვიდობის დიდებული პროგრამის განსახორციელებლად. ბრძოლა ამ პროგრამის ხორცშესასხმელად თავის ყველა სანუკვარ, ღვიძლ საქმედ, თავის გატაცებად, უწმინდეს მიზნად აქცია მსოფლიოს ყველა პატიოსანმა ადამიანმა, ვინაიდან ეს არის ზრუნვა მთელი კაცობრიობის ბედზე, ეს არის ბრძოლა ჩვენი პლანეტის გადასარჩენად.

ეს არ იყო და არ არის იოლი საქმე — ეს არის ფრიად რთული, ფრიად ძნელი სამუშაო, ვინაიდან მსოფლიოში რეაქციის ძალებს ჯერ არ დაუყრიათ იარაღი; არიან და არც ისე ცოტანი არიან ადამიანები, მთელი ჯგუფები, წრეები, პოლიტიკური პარტიები, რომელთაც სიტყვა მშვიდობა ღვთის რისხვად ეჩვენებათ. მშვიდობა მათ ხელს არ აძლევს, შარშან დასავლეთ გერმანიაში რეაქციულმა წრეებმა 210 მილიონი ფრანკი დახარჯეს წინასაარჩევნო კამპანიაში, რათა ხელი შეეშალათ ბრანდტ-შეელის მთავრობისათვის დარჩენილიყო ხელისუფლების სათავეში. იმავე დროს, შტრაუსისა და შპრინგერის გაზეთები ავრცელებდნენ ცილისმწამებლურ ხმებსა და ჭორებს, რათა გაეთიშათ ქვეყნები და ხალხები ერთიმეორისაგან; ნატოს მესვეურებიც კვლავ ამღვრევენ წყალს, ცდილობენ ხელი შეუშალონ დასავლეთისა და აღმოსავლეთის სახელმწიფოთა ურთიერთდაახლოებას ევროპის კონტინენტზე. სულ ახლახან ბრიუსელში ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ ნატომ შექმნა მუდმივი სამხედრო-საზღვაო ძალები ლამანშის სრუტის ზონაში, სადაც თავს მოიყრიან ინგლისის, ბელგიის, ჰოლანდიის და სხვა „დაინტერესებული" სახელმწიფოების სამხედრო გემები. ნატოს გენერლებმა მოაწყეს ახალი სამეთაურო-საშტაბო მეცადინეობა, რომელსაც „ვიკინგის ფარი — 73" უწოდეს. აქ ისინი განიხილავდნენ ნატოს ჯარების „საბრძოლო მზადყოფნას" ევროპის ჩრდილოეთით და აგრეთვე ბალტიის ზღვაზე. თუ რაოდენ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ამ მეცადინეობას, მოწმობს ის ფაქტი, რომ მას ესწრებოდა ნატოს შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი ევროპაში გენერალი ე. გუდპეისტერი. აქვე უნდა გავიხსენოთ ნატოს ამასწინანდელი მანევრები ნორვეგიაში, რომელიც ჩატარდა სახელწოდებით „ცივი ზამთარი". ამავე კატეგორიის მოვლენებს განეკუთვნება ე. წ. „დასავლეთევროპული კავშირის ასამბლეა", რომელიც ლონდონში მოეწყო და რომელზეც ინგლისის თავდაცვის მინისტრის საპარლამენტო მოადგილე პ. ბლეიკერი ცდილობდა დამსწრეები დაერწმუნებინა, თითქოს არსებობდეს რაღაც „საბჭოთა გლობალური საფრთხე". საერთოდ, ამ ასამბლეაზე ინგლისის წარმომადგენლები მოითხოვდნენ ნატოსაგან არავითარ შემთხვევაში არ შეასუსტოს თავისი სამხედრო-სტრატეგიული ღონისძიებების განხორციელება.

ვერ ისვენებენ ცივი ომის მომხრეები, მაგრამ ისინი მიზანს ვეღარ აღწევენ. ევროპას მშვიდობა უნდა და აღარ უნდა იმათი ხმის გაგონება, ვისაც ომი სწყურია და ენატრება. ომის მომხრეებს აღარ შესწევთ ძალა უკუღმა შეაბრუნონ და გზა ჩაუხერგონ ხალხთა სამშვიდობო მოძრაობას.

რაოდენ საამაყო და სასიხარულოა ჩვენთვის, საბჭოთა ქვეყნის მოქალაქეებისათვის ის ამბავი, რომ ამ სამშვიდობო მოძრაობას სათავეში უდგას ჩვენი დიდი სამშობლო. შემობრუნება ცივი ომიდან საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისაკენ შეამზადა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და მისი გენერალური მდივნის ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის დაუცხრომელმა მუშაობამ, სასახელო თაოსნობამ, იმ უფართოესი მასშტაბების შემოქმედებითმა საქმიანობამ, რომელსაც უცხოეთში „საბჭოეთის მშვიდობიანი შეტევა" უწოდეს. ამ გარდატეხისა და შემობრუნების დიდი ნიშანსვეტები იყო დიალოგი მოსკოვში საბჭოთა ხელმძღვანელებსა და ამერიკის პრეზიდენტ რიჩარდ ნიქსონს შორის, ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის საუბრები ფედერალურ კანცლერ ვილი ბრანდტთან მოსკოვში და ორეანდში, შეხვედრები საფრანგეთის პრეზიდენტ ჟორჟ პომპიდუსთან პარიზში და ზასლავლში; შემდგომი უაღრესად ნაყოფიერი ნაბიჯი — ეს იყო ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, სადაც ბევრი რამ შეიცვალა მოსკოვისა და ვარშავის ხელშეკრულებათა ხელმოწერისა და რატიფიკაციის შემდეგ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ვიზიტი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ამკვიდრებს შემობრუნებას იმ სახელმწიფოსთან ურთიერთობაში, რომელთანაც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ თითქმის ყველა დიდ საერთაშორისო საკითხში საპირისპირო პოლუსებზე ვიდექით, შემობრუნებას საბჭოთა კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის ახალი, მშვიდობიანი



საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.



# ვინ არის ყველაზე წინ...

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩარხი უკვე მზად არის.

კარგად არის ცნობილი, რომ სოციალისტური შეჯიბრება ის დიდი სახალხო მოძრაობაა, რომელიც დაუცხრომელი ძიების, მუდმივი წინსვლის, წარმოების სრულყოფისათვის ბრძოლის სულისკვეთებით გამსჭვალავს მშრომელთა მილიონებს; მასთან დაკავშირებულია მთელი კომპლექსი პრობლემებისა, რომლებიც მოიცავენ არა მარტო მეურნეობის, არამედ ყოფაქცევის, მორალის, ფსიქოლოგიის, საერთოდ ადამიანის აღზრდის სფეროსაც.

ეს მოძრაობა განსაზღვრავს და განაპირობებს შრომითი კოლექტივის მაჯისცემას.

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებლო ქარხანა... მეორე სპეციალური ჩარხების საამწყობო საამქრო... საამქროს უფროსი გურამ ხაბეიშვილი მკვრივად ჩასხმული ვაჟკაცია, გული გაგინათდება, ისეთი გამოხედვა აქვს, თავდაჭერილად, დინჯად მყვება სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობაზე.

დავდივართ უზარმაზარ საამქროში, ვეცნობით მუშებს, გულდასმით ვათვალიერებთ მათ ნახელავს. გურამმა ლაპარაკში რამდენჯერმე ახსენა პირველი წარდგინება.

— მაგაზე ცოტა უფრო დაწვრილებით მოგვიყევი, გურამ!

საამქროს უფროსი იღიმება.

— მოგეხსენებათ, პირველი წარდგინება აწყობილი კვანძის უნაკლოდ ჩაბარებაა. მოიცათ, უფრო გასაგებად გეტყვით... ჩვენმა საამქრომ სოციალისტური შეჯიბრებით ვალდებულება აიღო უნაკლოდ იმუშაოს. ეს კი იმას ნიშნავს, წუნმდებელმა პირველ წარდგინებისთანავე ჩაიბაროს ჩვენს მიერ აწყობილი კვანძი.

— და თუ ეს არ მოხდა?

— მტრის კარს. წუნმდებელი უკანვე დაგვიბრუნებს. მხოლოდ ამ ნაკლის

დროისათვის ნორმალური ურთიერთობისა და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობისაკენ.

მოსკოვის 1970 წლის ხელშეკრულებით და ერთი წლის შემდეგ ორეანდში მიღწეული შეთანხმებით განსაზღვრული ხაზის შესაბამისად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოლაპარაკება კანცლერ ვ. ბრანდტთან, სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შეთანხმებანი, რომლებიც ვიზიტის დროს არის ხელმოწერილი, მხარეების ერთობლივი განცხადება ვიზიტის შედეგების შესახებ სახავენ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კარგი ურთიერთობისა და კეთილმეზობლური თანამშრომლობის ახალ პერსპექტივებს მშვიდობის ინტერესებისათვის. ეს სავსებით შეეხება ორი ქვეყნის ეკონომიურ ურთიერთობასაც, სამრეწველო, ტექნიკურ და კულტურულ თანამშრომლობას ხანგრძლივ საფუძველზე.

* * *

გადავხედოთ სულ ახლო წარსულს, გუშინდელ დღეს: მეორე მსოფლიო ომის წინ ერთმა ფრანგულმა ბულვარულმა გაზეთმა, ესპანეთში დაწყებული ომის დროს, იქ გაგზავნა თავისი სპეციალური კორესპონდენტი, სავსებით აპოლიტიკურად განწყობილი კაცი. მაგრამ მოხდა მოულოდნელი რამ: კორესპონდენტმა ადგილზე რომ დაინახა ყველაფერი, იგრძნო, რომ სიმართლე რესპუბლიკური ესპანეთის მხარეზე იყო და დაიწყო პარიზში გზავნა წერილებისა, სადაც სასტიკად ჰგმობდა ფაშისტების ბარბაროსობას. ფრანგი ჟურნალისტი ხედავდა როგორ აჭეზებდნენ და როგორც იარაღით, ისე ჯარით ეხმარებოდნენ გერმანელი და იტალიელი ფაშისტები ესპანელ ფალანგისტებს და როგორ წაუყრუეს ყური ამ საშინელ უსამართლობას ჩაურევლობის ნიღაბით მოქმედმა ინგლისელმა და ფრანგმა პოლიტიკოსებმა. ამ ამბებმა აღაშფოთა ჟურნალისტი, მაგრამ თავისი თანამშრომლის ასეთი პოზიცია რედაქციას არ მოეწონა და მისი არც ერთი წერილი არ დაბეჭდეს. მერე ის იყო, ჟურნალისტი დაიღუპა (გერმანელებმა ჩამოაგდეს თვითმფრინავი, რომლითაც ის სამშობლოში ბრუნდებოდა), ხოლო მის დაუბეჭდავ წერილებს თავი მოუყარა მისმავე მეგობარმა და ცალკე წიგნად გამოსცა. ეს იყო მართალი წიგნი, აღსავსე მრისხანებითა და გულისტკივილით. და მე, თუმცა ის წიგნი აღარ მაქვს ხელთ, მაგრამ სამუდამოდ დამახსოვდა მისი უკანასკნელი სტრიქონები, რომლებიც ახლა ზეპირად მომყავს. აღწერდა რა სისხლის პირველ გუბეებს მადრიდის ქუჩებში, ფრანგი ჟურნალისტი დასძენდა: „ო, მოხუცო ევროპავ! შენ მუდამ გართული ხარ შენი წვრილმანი საქმეებით და დიდი ინტრიგებით. ღმერთმა დაგიფაროს, რომ როგორმე გადარჩე და არ ჩაიხრჩო ამ სისხლის ზღვაში!“

ვერ დაიფარა ღმერთმა! როცა ჰიტლერმა დაიწყო ქვეყნების დარბევა-მიტაცება და ევროპის რუკის ხელახლა ჭრა და კერვა, ჩემბერლენმა, დალადიემ, მათმა თანამოაზრეებმა, ყველამ, ვინც ხელი მოაწერა მიუნხენის შეთანხმებას, მას იმდენჯერ დაუთმეს, იმდენი შეარჩინეს, იმდენი აპატიეს, იმდენჯერ დაუჩოქეს, რომ ჰიტლერმა თავისი თავი მსოფლიოს მბრძანებლად წარმოიდგინა და საჯაროდ განაცხადა: „მე ვნახე ეს უმწეო ჭია-ღუები მიუნხენში. ისინი იმდენად ლაჩრები არიან, რომ ვერ გაბედავენ შემომიტიონ. მე მხოლოდ იმისი მეშინიან, რომ ჩემბერლენი ან ვინმე იმისთანა ჭუჭყიანი ღორი ისევ მოვა ჩემთან ახალი დათმობებით. მე მაშინ კისრისტეხით დავუშვებ მას კიბეებზე, თუნდაც ამისათვის დამჭირდეს თვითონ ჩავაზილო მუცელში წიხლი მთელი ქვეყნის რეპორტიორების თვალწინ“.

ასე მიუშვეს რეაქციის მესვეურებმა ომის ავბედითი ძალები თავის ნებაზე. რაოდენი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა მეორე მსოფლიო ომმა, რაოდენი ქალაქი და სოფელი იქცა ნაცრად და ფერფლად, რაოდენი ტრაგედია დატრიალდა ქვეყანაზე, რა სისხლის ზღვები დადგა, რა საშინელი ხანძრები ბოლავდნენ და აბნელებდნენ ზეცას, რა ენით აუწერელი რამ ხდებოდა სიკვდილის ერთ უზარმაზარ ბანაკად ქცეულ ევროპაში! და თუ მაინც გადარჩა ევროპა, ამას ის საბჭოთა არმიას უმადლის, მანამდე არნახულ გამათავისუფლებელ არმიას, რომელმაც იხსნა კაცობრიობა დალუპვისაგან.

დაწყებული იმ დღეებიდან, მარადსახსოვარი გამარჯვების მაისიდან, საბჭოთა სახელმწიფო, კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა, რომელსაც ომის შემდეგ მხარში ამოუდგნენ აღმოსავლეთ ევროპის მოძმე სოციალისტური ქვეყნები და სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოები — დაუღალავად, მტკიცედ იბრძვის მსოფლიო მშვიდობისათვის და განუხრელად ატარებს მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინურ პოლიტიკას. ამ მრავალწლიანმა ბრძოლამ უკვე მრავალი სიკეთე მოუტანა კაცობრიობას. და კიდევ მრავალ სიხარულს მოუტანს ჩვენს პლანეტას, რომელიც იმედის თვალით შესცქერის ხვალინდელ დღეს.

**გიორგი ნატროშვილი**

გამოსწორების შემდეგ, ე. ი. მეორე წარდგინების შემდეგ ჩაიბარებს იგი პროდუქციას.

მატერიალური წახალისების მიზნით, მუშა, რომელიც პირველი წარდგინებით ჩააბარებს პროდუქციას, გამომუშავებული თანხის გარდა, 20 პროცენტ პრემია-დანამატს იღებს.

— ბევრი გყავთ ასეთი მუშები?

— ძალიან ბევრი. უფრო მეტს გეტყვით. სოციალისტური შეჯიბრების სწორმა ორგანიზაციამ, მისი ფორმებისა და მეთოდების სრულყოფამ დიდად აამაღლა მუშის თვითშეგნება, გაზარდა მისი ავტორიტეტი და საკუთარი თავისადმი მომთხოვნელობა. ამ ბოლო ხანებში მოწინავე მუშებს თვითონვე აქვთ საკუთარი დამღა. მუშას აღარ სჭირდება წუნმდებელთან მისვლა. გამზადებულ პროდუქციას იგი თვითონვე არტყამს დამღას და ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ პროდუქციას წუნი აღარ გაუვა.

საკუთარი დამღა შარშან საამქროში ცხრა მუშას ჰქონდა, წელს, პირველ კვარტალში — თოთხმეტ მუშას. ეჭვი არ არის, რომ მათი რიცხვი თანდათან უფრო გამრავლდება.

— რას იტყვით გამომგონებლობაზე, რაციონალური წინადადებების დანერგვაზე?

— შარშან საამქროებს შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩვენმა საამქრომ ამ საქმეში პირველი ადგილი დაიჭირა. მარტო ჩვენი საამქროდან შარშან ორმოცდახუთი რაციონალური წინადადება დაინერგა წარმოებაში. ამან ქარხანას 4.700 მანეთის ეკონომია მისცა. წელს ჩვენ უკვე თხუთმეტი რაციონალური წინადადება წამოვაყენეთ. ეს წინადადებები სულ მალე დაინერგება და დიდ ეკონომიას მისცემს წარმოებას. სიტყვამ მოიტანა და აქვე მინდა გითხრათ ერთი ამბავიც. გადავწყვიტეთ მასალების ნარჩენებისაგან საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთებიც დავამზადოთ. ამისათვის სპეციალური საამქროც ავაგეთ.

— მოწინავეთა მატერიალურ და მორალურ წახალისებაზე რაჲ გვეტყვით, გურამ?

— არც თუ ისე დიდი ხნის წინ რატომღაც ყურადღებას არ ვაქცევდით ისეთ ფაქტორს, როგორიცაა მუშის საჯაროდ დაჯილდოება. პრემიისა თუ ჯილდოს გადაცემა საზეიმო ელფერს უნდა ატარებდეს. ამას თავისი დანიშნულება და თავისი გამართლება აქვს. ამას წინათ საამქროში ყველაფერი დეტალურად ავწონ-დავწონეთ, სოციალისტური შეჯიბრების შედეგები შევაჯამეთ და ერთხმად მივედით იმ დასკვნამდე, რომ საუკეთესოთა შორის საუკეთესოდ გვეცნო ამწყობ-ზეინკალი ვლადიმერ შატალოვი, ელექტროშემდუღებლები ვლადიმერ ჯაგაევი, ომარ კოხრეიძე და ნორმადარი ვლადიმერ ასაევი. საფაბრიკო კომიტეტმა დაამტკიცა ჩვენი წარდგინება. მოვიწვიეთ საერთო კრება და აი, მთელი კოლექტივის თანდასწრებით, ყვავილების თაიგულებსა და ტაშის გრიალში მოხდა ამ ამხანაგების საზეიმო დასაჩუქრება.

რა თქმა უნდა, ასეთ დასაჩუქრებებს მეტი ეშხი და ლაზათი აქვს. გარდა ამისა, იგი რაღაც ფსიქოლოგიურ ზეგავლენასაც ახდენს ადამიანზე და ეფექტიც უფრო სრულყოფილია.

მოწინავე მუშებს შრომაში მოპოვებული წარმატებისათვის, ფულადი პრემიების გარდა, ხშირად ეძლევათ ფასიანი საჩუქრები, სანატორიუმებისა და ტურისტული მოგზაურობების საგზურები.

და ბოლოს, არ მინდა დავუცადო თქვენს შეკითხვას და თვითონვე მინდა გიპასუხოთ იმაზე, თუ რა გვიშლის ხელს.

გურამი წამით ჩაფიქრდა და მაშინვე განაგრძო:

— ჩვენი წარმატება დიდად არის დამოკიდებული იმ საწარმოებზე, საიდანაც ჩვენ საჭირო დეტალებსა და მასალებს ვიღებთ. აბა წარმოიდგინეთ ჩვენი მდგომარეობა. მთელი თვე დაძაბულად ვიმუშავებთ, ძალას არ დავზოგავთ, ყველაფერს დავამზადებთ, მერე ვსხედვართ და გულხელდაკრეფილები ველოდებით რომელიმე საწარმოდან გამოსაგზავნ დეტალებს. ამას წინათ ასეთმა დეტალებმა სწორედ სულზე მოგვისწრო. გეგმის შესრულება საფრთხეში იყო. აღარ ვიცოდით რა გვეღონა. მადლობა ღმერთს, რომ დეტალები ამჯერად, ასე თუ ისე, მაინც მივიღეთ და თავი არ შევირცხვინეთ.

შარშან კი აი რა მოხდა: სპეცდაკვეთით ავაწყეთ მილდასამუშავებელი ჩარხი, რომელზეც დიდი მოთხოვნილებაა ჩვენს ქვეყანაში. ერთ-ერთი დიდი გაბარიტის დეტალი, რომლის დამზადება საქართველოში შეუძლებელია, რიაზანის ქარხანას შევუკვეთეთ. ბიჭები დღესა და ღამეს ასწორებდნენ, ძალასა და ენერგიას არ იშურებდნენ, მაგრამ რად გინდათ, დეტალის გამოგზავნას არა და არ დაადგა საშველი. რაღა დაგიმალოთ, ის ჩარხი დღესაც უმოქმედოდ ძევს და სამოთხის ჩიტივით ელოდება იმ საოცნებო დეტალის მოსვლას. ამ ჩარხზე კი, როგორც უკვე მოგახსენეთ, დიდი მოთხოვნილებაა და 70 ათასი მანეთი ღირს.

* * *

სწორად ორგანიზებულმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ დიდად კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინა ადამიანების აღზრდაზე, მათი ფსიქიკის გარდაქმნაზე.

ქარხანაში კარგა ხანია მუშაობს ამწყობ-ზეინკალი ვლადიმერ ხოლოპოვი. ურიგო ბიჭი როდია. კარგი გული აქვს, მაგრამ რად გინდა, ერთხანს სასმელს


ეროვნული ბიბლიოთეკა

სამაყო ჯილდო.

ფოტო ა. გოგოლაძისა.

ვლადიმერი ახლა მოწინავეთა რიგებში.



გადააყოლა ყველაფერი. გადაეყრებოდა ამფსონებს, დაითვრებოდა, მივიდოდა შინ და ერთ აყალმაყალს ასტეხდა.

რა მადლი ექნებოდა იმის ნაშრომს მეორე დღეს, გასაგებია. კაცს ხელები უცახცახებდა.

რამდენჯერ გამოიძახა საამქროს უფროსმა, დაარიგა, ნამუსზე შეაგდო... არ იქნა და არაფერი ეშველა მის გამოსწორებას. ბოლოს, მაინც მოძებნა კეთილი გზა.

რა მოხდა, რამ გამოიწვია ეს გარდატეხა?

შეხედავს ვლადიმერი შრომითი მაჩვენებლების დაფას — მისი გვარი ყველაზე ბოლოს სწერია... ყველანი სჯობიან, ყველანი მასზე უკეთესები არიან. ისიც ბევრჯერ გაეგონეს, ვოვა, რა კარგი ბიჭი იქნებოდი, ყველას საქმეს უკან რომ არ სწევდეო. მაშინ კი მძიმედ ჩაფიქრდა ვლადიმერი, მიხვდა, რომ მისი საქციელი მთელ კოლექტივს არცხვენდა, მის მაჩვენებლებს დაბლა სწევდა.

კაცის გულში სიამაყის გრძნობამ გაიღვიძა — რად უნდა ვიყო სხვაზე ნაკლებიო. თან ისიც გაიხსენეთ, ვლადიმერს ოქროს ხელი აქვს, თუ მოინდომა, ორი კაცის საქმეს დასძლევს.

და აი, ერთ დღეს ვლადიმერ ხოლოპოვი ერთი საათით ადრე მოვიდა სამუშაოზე, შესვენებაც მალევე დაამთავრა, სამუშაოს დამთავრების შემდეგ არც შინ წასასვლელად აჩქარებულა. თვის ბოლო ახლოვდებოდა, გაორკეცებული ენერგიით უნდა ეშრომა, რომ ჩამორჩენა დაეძლია და ბრიგადის საერთო მაჩვენებელი წამოეწია წინ.

იმ თვეში ხოლოპოვის ბრიგადამ მთელ ქარხანაში ისახელა თავი. ვლადიმერი ბრიგადის სული და გული გახდა. ახლა ყოველდღიურ გეგმებს 140-150 პროცენტით ასრულებს და ქარხნის მოწინავე მუშად ითვლება.

მეორე მაგალითი: გულვარდ მახარაშვილი მეორე საამქროში მუშაობს ამწყობ-ზეინკლად. პატიოსანი, გულმართალი და შრომისმოყვარე კაცია. მაგრამ ნათქვამია, ეშმაკს არ სძინავსო. ერთ დღეს ბრიგადის წევრები კვანძის აწყობაზე რომ მუშაობდნენ და საქმე ყელამდე იყო მოწოლილი, მოხდა ისე, რომ გულვარდმა ნახატი სწორად ვერ ამოიკითხა, პატარა შეცდომა დაუშვა და დეტალი ზუსტი არ გამოდგა. როცა ზეინკალი თავის შეცდომას მიხვდა, რთული და გულისგამაწვრილებელი სამუშაო უკვე დასასრულს უახლოვდებოდა.

საქმე მოითხოვდა ამწყობ-ზეინკალს მაშინვე შეეწყვიტა მუშაობა. გულვარდი კი საგონებელში ჩავარდა. ვითომ რა მოხდება, თვალი დავხუჭო ამ პატარა ხარვეზზე, ფიქრობდა იგი, სულ ერთია, ამას ვერავინ შეამჩნევს და არც ბრიგადის წევრებთან გამოვალ პირშავადო.

მახარაშვილმა მუშაობა გააგრძელა.

ის-ის იყო კვანძის აწყობა უნდა დაემთავრებინა, რომ ბრიგადის წევრები წამოადგნენ თავზე.

— არა გრცხვენიან, ბიჭო? — უთხრა მახარაშვილს ამწყობ-ზეინკალმა ნუგზარ საქსაშვილმა და გულვარდისათვის ყველაფერი უკვე გასაგები იყო.

ალეწილმა გულვარდმა თვალი აარიდა ბიჭებს და ენის ბორძიკით ჩაილაპარაკა:

— ეს პირველი და უკანასკნელი იქნება!

გულვარდმა იგრძნო, რომ მისმა ამხანაგებმა არ მისცეს უფლება ცუდად ემუშავა, იგრძნო, რომ კოლექტივის წინაშე ყოველთვის ალალ-მართალი უნდა იყოს. ეს იყო მართლაც დიდი გაკვეთილი მისთვის.

* * *

სწორედ სოციალისტური შეჯიბრება, მისი მასობრიობა, ახალი ფორმების და მეთოდების ძიება და დანერგვა გახდა ის მძლავრი ბერკეტი, რომელმაც განაპირობა კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის თვალსაჩინო წარმატებები.

ხუთწლედის გადამწყვეტ წელს სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული კიროველები ყოველთვიურად ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ. როგორია მათი ხელით დამზადებული პროდუქცია? ამ შეკითხვაზე პასუხი დაე თვითონ ამ პროდუქციის მომხმარებლებმა გასცენ.

„ძვირფასო მეგობრებო, — იწერება მოსკოვის პორტატიული საბეჭდი მანქანების ქარხნის ხარატი მიხეილ ზნატნოვი, — თქვენს მიერ დამზადებულ სახარატო ჩარხზე 1960 წლიდან ვმუშაობ. ცამეტი წლის მანძილზე ეს საუკეთესო ჩარხი კაპიტალური შეკეთების გარეშე მუშაობს. მინდა ერთხელ კიდევ დიდი, დიდი მადლობა გადაგიხადოთ ასეთი მაღალხარისხოვანი ჩარხების დამზადებისათვის“.

აი რას იწერება ყარა-ყუმის მექანიკური სახელოსნოს უფროსი ი. მოლჩანოვი:

„მთელი კოლექტივის სახელით მინდა მადლობა მოგიძღვნათ მაღალხარისხოვანი ჩარხების გამოშვებისათვის. თქვენს ქარხანაში დამზადებული მილსაჭრელი ჩარხი ყარა-ყუმის მძიმე პირობებში უკვე 17 წელია, რაც კაპიტალური რემონტის გარეშე მუშაობს. არ ყოფილა მოცდენის არც ერთი შემთხვევა, რაც დიდად უწყობს ხელს სახელმწიფო გეგმების შესრულებას. ჩვენი სურვილია მუდამ მხოლოდ თქვენი ხელით დამზადებულ ჩარხებს ვიღებდეთ“.

ოთარ დემეტრაშვილი



შესვენების წუთები.

სამუშაო დღე დამთავრებულია.



საწარმოო თათბირზე.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლელიანის ლილა



ბორის ჩხეიძე

— სოფლის თავკაცის სანახავად ყველაზე საუკეთესო დრო განთიადია, — დაიჟინა შოფერმა და დილის ბინდბუნდში კიდეც დაძრა მანქანა ლელიანისაკენ. ეს სოფელი, თითქმის ათასი მეკომურით, ლაგოდეხის რაიონს ეკუთვნის. დიდი კავკასიონის და ალაზნის შუა გაფენილ ვრცელ ვაკეზე მოძებნეთ ის. თუნუქის მოთუთიავებული თეთრი სახურავებით შემხარიან ცას მისი მეთამბაქოე კოლმეურნეების ორსართულიანი, საოცრად კოხტა სახლები და საკმაოდ დიდი საზოგადო შენობები. თამბაქოს ფოთლის საშრობი ვეება ფარდულები, შემინული სათბურები, სხვადასხვა სახელოსნოები, მინდვრებში გასული მანქანა-იარაღები აქაურობას ფრიად თავისებურ სახეს აძლევენ, ხოლო ქუჩების დაგეგმილობით ლელიანი ბევრ ძველ ქალაქს სჯობია.

ლელიანის ნახატი უბნები და მინდორ-ველები კარგად ჩანს გურჯაანიდან, სიღნაღიდან, დურბინდით კი გომბორის ყველა მწვერვალიდან და სერიდან დაინახავთ მას. ის მხედველობას შორიდანაც ძლიერახარებს. ახლოდან ხომ, რაღა თქმა უნდა, მთლად მოგნუსხავთ და მოგხიბლავთ. ლელიანი ჰქვია თორემ ლელი, ე. ი. ჭაობის ქუჩუჩოებიანი შამბნარი აქ დიდი ხანია აღარავის უნახავს.

მანქანა მიჰქრის ბინდსა და ნისლში. შოფრის სიტყვა მართლდება. ლელიანის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ივანე ხვედელიძემ კინაღამ გაგვასწრო მინდორში. და რა დროს! ლეკიმთისათვის საჯიხვეებზე ჯერ ცა-სამზეურიც არ გაწითლებულიყო.

— კინაღამ აგცდით, — ვუთხარი თავმჯდომარეს.

— სოფლად სიცოცხლე და საზრდოს მიწიდან მოპოვების საცადელი უთენია იწყება, — გვეუბნება დინჯად ივანე ხვედელიძე და აუღელვებლად განაგრძობს თავის საქმეს. ეკითხება კოლმეურნეებს, ვინ, სად გასწია სამუშაოდ, რას აკეთებს. ვის რა ევალებოდა, ეს მან წუხელისაც კარგად იცოდა, მაგრამ კონტროლი რომ სამუშაოს შემსრულებელს არ სწყენს — გამოცდილებით კარგად იცის, მითუმეტეს ყველაზე საფრთხილო დღეებია გაზაფხულზე. ამ დროს ერთი დღის კარგად ნალვაწი ერთ ქალაქს შეინახავს. მაინც რად არის გაზაფხულზე საფრთხილო დღეები? მარტში და აპრილში მიწა გათბა, აფუვდა, ნიადაგი მზად არის თესლი, ნერგი გულში ჩაიხუტოს, ძუძუ შეაწოვოს, მოძალებულა თამბაქოს გადარგვის ალო. ეს თუ გინდათ იქიდან ჩანს, განთქმულმა მეთამბაქოე ქალმა დინა კობერიძემ თავის დობილ ჟუჟუნა ბუზალაძესთან ერთად, ამ დღეებში, წვიმიან ამინდში რგოლის წევრები სასწრაფოდ შეკრიბა. გასაუბრების შემდეგ ხელიარაღები დაათვალიერა და კანტორას შეუთვალა:

— ჩემი მხრით მზად გახლავართო.

ახლა თავმჯდომარე, ეს-ეს არის რომ გავიცანით, მის სამუშაოს არ სწყდება. თანაც საყვედურებს გვაყრის:

— ცუდ დროს მოხვედით. ამ ნაზამთრ სოფელში რას ეძებთ?

— ეგ როგორი ლაპარაკია. სტუმარს არ ჭუბნებიან რად მოხვედიო.

— სოფელს, ძმაო, ამ დროს, აპრილის დამდეგს, შესახედაობა არ უვარგა. პური ამოსულა და მუხლი არ უყრია. ვერ ნახავ მის ღელვას, წამოქროლილ ნიავზე ზღვას რომ ჰგავს. ბაღები არ ჰყვავიან, ვაზი ეს არის ატირდა, კვირტი კი არ გაუშლია.

— თქვენ გინდათ თქვათ, თვალის წარმტაცი არაფერიაო?

— თუ იმისი ნახვა გინდათ, რაც სოფელში თვალის გამახარებელ სურათებს წინ საშრომი უძღვის, სხვა საქმეა და სხვა ადამიანიც ყოფილხართ. მობრძანდით. აგერ, აი ლელიანი, ნახეთ ჩვენი საქმე და საცხოვრებელი.

— დიახ, სწორედ ის მინდა ვნახო რა წინასწარი სამზადისი უძღვის თქვენ რთველ-შემოდგომებს, როგორ მიდის სოციალისტური შეჯიბრება.

— მაშინ გავსწიოთ მინდვრებში, მაინც იქით ვეპირებოდი! — კმაყოფილად ამბობს ხვედელიძე.

— ამ უთენიაზე იქ, მინდვრად, ვის ვნახავთ?

— შეჯიბრებასაც იქ ნახავთ და იმ შეჯიბრებას რა მოსავალი მოჰყვება, იმასაც იქ იგრძნობთ და მიხვდებით.

მივდივართ. ღმერთმანი, ცხენით ან ურმით სჯობდა მგზავრობა. ჩვენი წინაპრები ამით უფრო ბედნიერები იყვნენ. ახლა ეს ავტომობილი ისე გაირბენს ორმოც კილომეტრს, რომ ვერც კი შენიშნავთ. სანახაობა კი ბევრი და დასახსომებელია.



ივანე ხვედელიძე მოწინავე კოლმეურნეებთან.

წმინდა თევდორეს ტაძარს გარს შემორტყმიან პურის მწვანე ყანები. იქვეა ჯერ დაუთესავი, მაგრამ თესლის, ნერგის მისაღებად მომზადებული მიწები. გაგიჟებულივით გარბიან შემღვრეული რუები და ღელეები. სოფლის ერთ მხარეს, ჩრდილოეთით, კავკასიონის დიდი ქედი გადაგრაგნილა. მთების პირდაპირ სოფელს, მეორე მხრით, შიგა კახეთის სამყაროდან ალაზანი ჰყოფს. მდინარის მარჯვენა მხარეზე გურჯაანია.

— აგერა, ცოტა ზემოთ ყვარელი. წმინდა თევდორეს სახურავიდან კიდეც ჩანს ყოველი ქართველისათვის ეს საცოდნელი და საყვარელი კუთხე, — თქვა ფიქრში წასულმა ივანემ.

— მე მგონი, უმიზეზოდ არ ახსენეთ ეგ სოფელი...

— დიახ! — მაშინვე გვიდასტურებს ხვედელიძე, — მაშ როგორა! იქაური მკვიდრი გახლდათ დიდი ილია. მის სახელს უკავშირებს უბრალო ხალხი მთელი ლაგოდეხის რაიონის ხელახლა დასახლებას. ადრე მტრის თარეშს გაექცა ხალხი აქედან. — და სოფლის ბოლოს თავმჯდომარე მანქანას აჩერებს, რომელსაც თვითონ მართავს და იძახის: — დინავ! გამოგვხედე, განა შინ არ ხარ?!

— იმ, როდის წავიდა სათბურებში! — ისმის პასუხად. — ვინა ხართ?

— მაშ, ჩვენც სათბურში! — ამბობს თავმჯდომარე.

აქ არ შემიძლია ორიოდე სიტყვა არ ვთქვა იმაზე, თუ რას გულისხმობდა ივანე ხვედელიძე, როცა აქაურობის ხელახლა დასახლებას დიდ ილიას ამაგს მიაწერდა.

თურმე გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში რაჭველმა დურგლებმა, იმერეთის გადავლით შინ რომ მიდიოდნენ, თავიანთ ჭიათურელ-საჩხერელ ნათესავებს აცნობეს, კახეთში, ყვარელს იქით, ოქრო მიწებს თავადები ჩალის ფასად ჰყიდიანო. უმიწაწყლო გლეხები მაშინვე გაქცეულან მომრიგებელ მოსამართლესთან, დაუჩოქნიათ, შეხვეწნიან, თუ მართლა ასეა, გვიშველე, ჩვენ დავესახლებით იმ მიწებზე თუნდაც დროებით ვალდებულ გლეხებადო.

სოფ. მერევის მომრიგებელი მოსამართლე ალექსანდრე წერეთელი მაშინვე დაკავშირებია კახეთში თავის კოლეგას ივანე ჯორჯაძეს. მერე ორივე ერთად შეყრილან, სწვევიან ილიას სათავადაზნაურო ბანკში. მათ დიდი პოეტისათვის მოუხსენებიათ უმიწაწყლო გლეხების გასაჭირი და სათხოვარი — კახეთის მიწებზე დაგვასახლონო.

ილიამ თურმე, არც აცივა, არც აცხელა, მაშინვე დაუძახა ბანკში მოგირავნე ჩოლოყაშვილებს, ვაჩნაძეებს, ჯანდიერებს, ჯორჯაძეებს, ნაცვლიშვილებს, და შესთავაზა: ძველ გავაზსა და ლაგოდეხს შორის გუბერნიისოდენი დაგირავებული მიწები რომ გაქვთ, პროლანგაციების თხოვნით რომ ამიკელით, აგერ შეღავათიან ფასში მივცეთ ისინი უმიწაწყლო გლეხებსო.

— ბატონო ილია! როგორც თქვენ ინებებთო, — უთქვამს ჯორჯაძეს.

— სამ-ოთხ მანეთად თუ დავუთმობთ დესეტი-



მეთამბაქოე დინა კობერიძე.

ნას, კარგი იქნება. „კუპჩაია კრეპოსტიც“ უნდა მისცეთ. ჩემდაწილად მე მზად ვარ გლეხებს ახლავე მივცე გირავნობაში ჩარჩენილი მიწები, ბანკის წილი...

რაკილა მიწების გაყიდვა ასე გადაწყდა, ამ საუკუნის დამდეგს, მდინარე კაბლის ნაპირზე გაჩნდნენ ჯერ რაჭველი სირაძეები, კობერიძეები, გიორგობიანები. მათ ფეხდაფეხ მოჰყვნენ ჭიათურის და საჩხერის საბოქაულოების უმიწაწყლო ხუციშვილები, კაპანაძეები, კურტანიძეები, ბაძგარაძეები, ხვედელიძეები და სხვანი.

ამათი შთამომავლები არიან ახლანდელი ლელიანელები, ერთ მათგანს სათბურში რომ გაეხმაურა და გაეხუმრა ხვედელიძე.

— დინავ, ქალო, ასე ადრე შინიდან ვინ გამოგაგდო?!

— მიწამ, მიწამ! — ხუმრობითვე მიუგებს დინა, — ეს ერთი კვირაა, რაც აპრილი დადგა, მატყლის ლეიბივით გათბნენ ხნულები. სანამ ბალღები ზეზე წამოდგებიან, მოდი ერთი სათბურებს დავუტრიალდები-მეთქი, იქიდან გადასარგავ ფართობებშიც გადაველ, რუებსაც ავყე-დავყე.

— მექანიზატორებს ხომ კარგად უმუშავნიათ?

— არა უშავს. ფარცხის მერმე ნაცარივით დაფქულ-დაქორშილი მიწა კიდეც დაუხაზავთ ჩითილის მწკრივებად ჩასარგავი მანქანით.

— ნიადაგის მომზადების წესრიგი ხომ არსად არის დარღვეული? თუ უკმაყოფილო ხარ, მითხარი.

მეთამბაქოე ჟუჟუნა ბუზალაძე.



— სინჯოს, გამიბედოს ვინმემ მასეთი ოინი... შენამდე არავის მოვუშვებ, მე თვითონ ვაჩვენებ სეირს.

თავმჯდომარისა და მეთამბაქოე ქალის სიფრთხილე სწორი და გასაგებია. თამბაქო — მეტისმეტად შრომატევადი სამუშაოა. ჯერ თესლი სათბურებში უნდა გაილოჯოს და ამოვიდეს. ცოტა ხნის შემდეგ დათოხყურებული ჩითილი ნიადაგში ხელით გადაირგვება. მცენარეები ერთმანეთზე ციდითაც არ არიან დაცილებულები. ნარგავის ზლვა მწკრივფართობები გაზაფხულის და ზაფხულის თვეებში რამდენჯერმე გაიმარგლება თოხით, მარგვლას გაფურჩქვნა-გამორჩევა მოსდევს. იქ შეტეხის, დაფოროჯების, თოკებზე აცმის, შრობის სამუშაოებიც მოეწევა ადრინდელებს.

ეს სამუშაოები მძიმეზე მძიმე ხელსაქნარია. ასე უნდა დამუშავდეს ლელიანში თითქმის ასორმოცდაათი ჰექტარი თამბაქოს ფართობი. ივანე ხვედელიძე ამაყობს, რომ ლელიანელი ქალ-რძალი ამ საქმეს მარჯვედ უძღვება.

— გადმოდით ბარემლა სათბურში! — ეპატიჟება გაბედულად დინა მისულებს. იცის ქალმა, მისი ნაამაგარი მნახველს მოეწონება. ეს აამაყებს და ახარებს მასაც. თამბაქო სქლად ამოსულა, მინის ქვეშ, შავ მიწაზე, სითბოში მწვანედ ხასხასებს დათოხყურებული მცენარე. დინა კობერიძე მას კიდევ და კიდევ ათვალიერებს. ეს მან ლელიანში ყველაზე უკეთ იცის რომელი სათბურიდან რომელი ნერგი გადასხდება მინდორში. ჩითილმა მზის ამოსვლამდე უნდა იგრძნოს ფესვების გადგმა ახალ, სველ ნიადაგში. ჩამოყრილი ყურები სალამომდე კიდეც უნდა სცქვიტოს.

— წელს ცხრა ჰექტარ თამბაქოს მოვიყვან, — მოგვითხრობს დინა, — ჩემ რგოლში ოცდათორმეტი ქალი მყავს.

დინას ამ სიტყვას ლელიანელები იმას დაუმატებენ, რომ ყველა მისი ამხანაგები, ლელიანელი ქალები მარტო თამბაქოს მოყვანის ოსტატები კი არა, ამასთან ერთად ოჯახის შენახვაშიც, ქმარშვილის მოვლაშიც შეუდარებლები არიან. რგოლებში უმთავრესად საშუალო სკოლადამთავრებულ ქალებს შეხვდებით. ახალგაზრდა გოგოები ისე დაუხელოვნებია დინას თამბაქოს მოყვანაში, რომ სხვა სამუშაოზე ადვილად აღარ მიდიან. გათხოვების მეტი ვერაფერი წაიყვანს მათ ლელიანიდან.

— ამ მწარე, მყრალმა მცენარემ ტკბილი, გემრიელი ხელფასი იცის, — შენიშნავს სიცილით დინა.

— თვალი კი დაუდგეს მის მომგონს, — ამბობს ჟუჟუნა, — ოღონდაც არ ეწეოდნენ მაგ საწანკლავს და სულაც არ მინდა მაგაში აღებული ფული.

— გამომუშავებაზე რას იტყვი? — ვეკითხებით ჟუჟუნას.

— დინამ შარშან სამი ათას ორასი მეტრი ფართობიდან, დაგეგმილი ხუთას სამოცდათექვსმეტი კილოგრამი ნედლეული თამბაქოს ნაცვლად ორი ათას ოცდაჩვიდმეტი კილოგრამი მაღალი ხარისხის ნედლეული ჩააბარა.

— თქვენა?

— ჩემზე სხვა ვინმე იტყვის.

დინა საშუალო ტანადობის, კახეთის მზეზე შერუჯული მოშავგვრემანო ქალია. ორი შვილი ჰყავს.

დინას უნარი აქვს საჭირო და სასარგებლო საქმე უმალვე შენიშნოს. მაშინვე ეკვეთება და სხვასაც ბევრს აიყოლიებს. ლელიანში ყველამ იცის— დინამ მოანგარიშეობას თავი დაანება და თამბაქოს მოყვანის ძნელი, მაგრამ შემოსავლიანი მუშაობა ირჩია.

ლელიანში ამ საუკუნის დასაწყისში წირქვალიდან (ჭიათურის რაიონი) ჩამოსახლებული სევასტი და ფედოსი ხუციშვილები, ორივე ოთხმოცდაათ წელს რომ გადაცილებულან, ბევრს რასმე გეტყვიან დინას კარგ ქალობაზე. ახალგაზრდა ქალს ქმარი ავად ჰყავდა. იმდენი ატარა სანატორიუმიდან სანატორიუმში, უკვე გამოაჯანსაღა. ასე შეუნახა სოფელს მოქალაქე, ოჯახს — მეთაური, შვილებს — საყვარელი მამა.

სევასტი ხუციშვილი და მისი მეუღლე ფედოსი ლელიანში 1905 წელს დასახლებულან ივანე ჯორჯაძის მიწაზე.

— ვინ იყვნენ თქვენი პირველი მეზობლები? — ვეკითხებით სევასტის.

— გაუვალი მუხნარი, უხიდო მდინარეები, შვლები, ირმები, ტურა, მგელი, დათვები და მთებში ჯიხვები. ვინ მოსთვლის ფედოსის რამდენჯერ გაურეკავს გარეული ღორები ბოსტნიდან.

— თუ გახსოვთ აქ როგორ მოხვდით?

— ქალებმა ნაქერალას ძირის ჩვენი სოფლიდან ბავშვები აიტაცეს. მამაკაცებმა ზურგზე ავიკიდეთ საგზალი და მცირე ბარგი. გადმოვლახეთ კორტოხი, ქართლი, ფეხით გავედით არაგვში და ახმეტასთან ალაზანში. იქიდან ალვნის ძირს გავლილებმა ყვარელს მივაღწიეთ. მერე ჯორჯაძის მამული წმინდა თევდორეს საყდართან შორს აღარ იყო.

— ილია თქვენც გაგიგონიათ?

— დიახ, გამიგონია, რა დაგვავიწყებს მის სახელს.

ილიას ლექსები დინამ და ბევრმა ლელიანელმა ქალმა და ვაჟმა ზეპირად იციან. აქ იმისი მოთხრობების კითხვაც უყვართ.

— ჟუჟუნა ხნოვანებით ჩემზე უფროსია,—დინა ამხანაგს მოკლედ ახასიათებს, — მე თუ ქალი ვარ და სიტყვის ფასიც ვიცი, ჟუჟუნა არაფრით ჩამომრჩება. აი, ვინ არის სავსე ოჯახის პატრონი. ოთხი შვილი და ქმარი ჰყავს მოსავლელი. ქალები ხომ ჩვენ თავს მოსავლელში არ ვთვლით.

ამ საუბარში დინას მეორე და საუკეთესო თვისებასაც შენიშნავთ, რაც მის მოქალაქეობრივ ცხოვრებას ნათელს ჰფენს. მას რაღაც ისეთი ხიბლი და სიტყვა აქვს, გამრჯელი ადამიანი უმალ გულით მიენდობა. მას შეუძლია შრომისმოყვარე ქალებს თავი მოუყაროს, დარაზმოს, შემართოს მოსავლის მოყვანის დიდ საქმეში. თავიანთი გარჯით ლელიანელი ქალები მეტნაკლებად ჰგვანან დინას და ჟუჟუნას. და როგორი კეთილები და კარგები არიან ყველანი, ამას მაშინ უფრო ნათლად დაინახავთ, როცა ახლოს გაეცნობით.

— ცუდ დროს მობრძანებულხართ, სტუმრებო! — გვისაყვედურებს დინა, — რაღა ამ მწარე თამბაქოს გადარგვის დროს გამოჩნდით. მართლაც რა გასავრცელებელი იყო ქვეყანაზე თამბაქოს მოწევა. ყვავილი რა არის, ისიც კი საწამლავი აქვს. აყვავებულ თამბაქოს ნარგავში ღამით ნუ გაივლით, თორემ თავის ტკივილი და გულის რევა აგივარდებათ.

— მართლაც, შემოდგომაზე სჯობია ლელიანი!— ენაცვლება საუბარში დინას ჟუჟუნა, — აბა მაშინ გვაქვს მსხალი, ვაშლი, ატამი, ლეღვი, ნესვი, საზამთრო, ყურძენი და რა ყურძენი — ქარვის აცმა.

ივანე ხვედელიძე მაინც ხუმრობას არ იშლის.

— ჩვენმა ქალებმა სიტკბოებით, რომ ვერაფერი გააწყვეს. ახლა მწარე თამბაქოთი გვიშენებენ ამ ჩვენს ლელიანს.

თვალიერება-მასლაათში შუადღე გადახრილა. იმდენი გვივლია გარეთ, რომ მდინარეს მივახლოვებივართ. აგერ ალაზანი, მშვენიერი ალაზანი. როგორ ადიდებულა, ამოვარდნილა კალაპოტიდან. მოაქვს ტყე და ველი. ფშნებში საქონელი შესულა.

ალაზანი კახეთის ლაზათი და ცხოვრებაა. ლელიანელებს მის ნაპირას, მაღალ კბოდეზე, აუშენებიათ მეცხოველეობის ფერმები, გაუჩაღებიათ იქ მეფრინველეობაც. ლელიანელებს აქაც ჰყავთ დინასებრ მოწინავე ქალები მწველავებად, მეფრინველეებად. ახლა ამ ადგილას ფერმებთან ხიდის მშენებლობა განუზრახავთ ალაზანზე. მაშინ არც ლაგოდეხზე მოვლა დაგჭირდებათ ლელიანში მისასვლელად, არც ყვარელზე. გურჯაანიდან პირდაპირ შეხვალთ მშვენიერ ადამიანების ნაამაგარ კარგ სოფელში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შალვა ამისულაშვილი

## ნ ა თ ე ლ ა

*ვუძღვნი ქართველ ინჟინერ ქალებს*

არ დაელიოს თვალში ნათელი,
ვინც შენ ნათელა დაგარქვა, ქალო!
შენზე ოცნებით ღამენათევი
თვითონ არაგვის ნიავიც გალობს.
მე კარგად მახსოვს შენი სოფელი,
შენი ფანდური —
ლარებწკრიალა;
სოფელს, შრიალა ბინდით მოფენილს,
შენ ანათებდი, მთვარე კი არა.
მაგრამ ლამაზი ლამაზთა შორის
ულამაზესად დაგსახე მაშინ,
როცა გმირული
ბრძოლით და შრომით
დაიმორჩილე მდინარე მთაში;
როცა ცერებზე შემართულები
ცეცხლად აქციე ცივი ჩქერები,
როცა ციმციმა ელნათურებით
მოხიბლე თვითონ თბილისელებიც...
გიყვარს სინათლე,
სიმართლეც გიყვარს,
და ამიტომაც უყვარხარ ყველას.
მაგრამ შენ ვისაც მიეცი სიტყვა,
დღეს ისე შენთვის არავინ ღელავს...
მალე ის მეცხრე ზეცაშიც ავა,
მოივლის მთვარეს
ვარსკვლავთა კალოს;
გაუძლებს ზეიად ბუნების დავას, —
და ზედ შენს სახელს დააწერს, ქალო!

## ზამთრის წვიმა

შიშველი ხეები,
ჩონჩხარა ხეები
აქანავებენ
გაფარჩხულ რტოებს;
რა სხტად რჩებიან,
როს გაუმხნევებლივ
ცის ანაბარა
ვტოვებთ მარტოებს.
წვიმით უჟივდებათ
ქერქი და მერქანი,
დამსკდარ ფესვებშიც
წვიმა უჯდებათ;
ტოტებზე ბეღურა
შიმშილით შემკრთალი
წვეთებს კენკავს და
სცივა, ლურჯდება...
— ნუ ჰკენკავ ცივ წვეთებს,
პატარა ჩიტუნავ,
წვეთები უნდა
კვირტებად იქცნენ:
ქვეყანა დიდია,
ვინა გთვლის ფიტულად,
ოღონდაც როგორმე
გადასჭერ სივრცე! —
წვიმაში ამგვარად
ტირიან ტოტები,
ფესვების დასტაც
მოსთქვამს ამგვარად;
მარტოდენ მიწა დუმს,
დუმს შეუშფოთებლივ, —
და იჭიმება
დროის ჯამბარა...

## ნ ა ტ ვ რ ა

*გზა წივის წამავალისა...*
*ხალხური.*

როგორ მინდა დაბადება,
დაბადება მეორედ,
მეომარი ერთხელ კიდევ
შევუერთდე [illegible]
შევუერთდე, [illegible]
ცალმაგური ძალლონით,
ძალა მქონდეს, ჭიანჭველაც
იყოს ჩემი გამგონი...
ძალა მქონდეს, ჩოქზე დგომა
მჭირდებოდეს ალარსად,
მყინვარებზე
ყინულს ვტეხდე,
ვდგამდე მხედრულ კარავსა.
ან არა და მთვარისაკენ
ცას ვბურღავდე რაკეტით,
არ მესუნთქოს თბილ ოთახში
დღედაღამე ჩაკეტილს...
ძალა მქონდეს, დღენიადაგ
ვიყო კაცი კაცური,
მალაღებდეს დღეის დღე და
მალაღებდეს წარსულიც.
ყელს არ მებას უჩინარი
თოკია თუ საბელი.
გაზაფხულის ღრუბელივით
მევლოს ფილტვებდაბერილს.
მაგრამ ნატვრა ნატვრაა და
თუ არ ამისრულდება,
ტრამალებზე მაინც მომცა
დრო და თავისუფლება,
ტრამალებზე, სადაც ცხენთა
რბოლაა და ჭიხვინი,
სადაც ტოლი ტოლზე მიდის
გომარეთის ჯიქივით,
სადაც ძველი საფლავების
არ დგას მძიმე დუმილი,
სადაც სისხლი სისხლობს მუდამ,
ისმის მისი დუღილი,
სადაც არსად არ აბია
დასაკლავი ზვარაკიც, —
და ზღვასავით ილასტება
ტრამალების ბალახი...

# ს ა დ გ უ რ ი ს უ ფ რ ო ს ი

ზღვაზე თავმიდებული ბათუმი, როცა რკინიგზით სამყაროს დაუკავშირდა და მის შუაგულში სამგზავრო სადგური წამოიმართა, უფრო დამშვენდა, ამაღლდა, სტუმარიც მოეძალა. და აი, დღეს მაგნოლიებში ჩამჯდარი ქალაქი, თეთრი სადგურისა და რკინიგზის გარეშე ვერავის წარმოუდგენია.

ბევრს ვერც სადგური წარმოედგინა მამაკაცების უფროსობისა და შრომა-გარჯის გარეშე. არა მარტო ბათუმში, არამედ მთელი ამიერკავკასიის რკინიგზაზე სადგურის უფროსად ქალი ჯერ არავის ენახა. 1939 წლის დამდეგს კი ზღვისპირა ქალაქში პირველად ჩამოვიდა ინჟინერი ქალიშვილი. ჩამოვიდა და მამაკაცის ადგილი დაიჭირა, „მამაკაცურ" საქმეს სათავეში ჩაუდგა.

ზოგი შეცბუნდა, შეიშმუშნა; სადგურის პირველმა უფროსმა ქალმა კი მტკიცედ მოჰკიდა საქმეს ხელი. საამისოდ დიდი იყო საასპარეზო. ბურთი და მოედანიც ახალგაზრდულ ძალას, გამარჯვების რწმენასა და ნებისყოფას ემორჩილება. ლუბა ჭანტურიას არც რწმენა აკლდა და არც საქმის სიყვარული. მან თავის მოადგილედ ნადეჟდა სტრელჩონოკი ამოიყენა გვერდით, ასევე ირგვლივ ქალები შემოიკრიბა და დაიწყო სადგურის მუშაობის გარდაქმნა-გადახალისება. ლუბას გადაწყვეტილი ჰქონდა ბათუმის სადგური ამიერკავკასიის რკინიგზის მაგისტრალებზე უპირველეს სადგურად ექცია. ეს სურვილი და გადაწყვეტილება შრომის, მუყაითობის, დისციპლინის დიდ ძალას ეყრდნობოდა; რაც მთავარია, ის ეყრდნობოდა კადრების შერჩევა-მომზადების აუცილებელ პირობას. ამ მიზნით სადგურთან ჩამოყალიბდა მეისრე ქალთა კურსები, მომზადდა სადგურის მორიგეების, პერონის კონტროლიორების, შემნახველი კამერებისათვის საჭირო კადრები, ტექნიკურ სკოლაში კი — საბაგაჟო მოლარეები და მწონავები.

ქალიშვილის თაოსნობას რკინიგზის ხაზზე ბევრი მიმბაძველი გამოუჩნდა. ბათუმის სადგურზე, სადაც ოთხმოცამდე ქართველი, რუსი და სომეხი ქალი მუშაობს, არ მომხდარა არც ერთი ავარია, არ დარღვეულა მოძრაობის გრაფიკი და ტექნიკური ექსპლოატაციის წესდება. ხოლო საჩივრის წიგნი ქებისა და მადლობის წიგნად იქცა.

სწორედ იმ ხანებში სამგზავრო სადგურებს შორის სოციალისტური შეჯიბრება გაჩაღდა. რაოდენ სასიხარულო იყო, როცა სამი რესპუბლიკის სადგურებს შორის ბათუმელები პირველ ადგილზე გამოვიდნენ და გარდამავალი დროშაც მოიპოვეს.

ამის შემდეგ ლუბა ჭანტურიას ბათუმელებმა ნდობა-სიყვარული გამოუცხადეს და თავიანთი ქალაქის საბჭოს დეპუტატად აირჩიეს.

ლუბამაც იცოდა ამ ნდობის ფასი, ამიტომ თავის მოვალეობას სიყვარულითა და დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდა. მისი ლამაზი, უბრალო ცხოვრებაც გარშემო მყოფთათვის სამაგალითო და მისაბაძი გახდა.

წლის ყველა დრო კარგია ბათუმში. მშვენიერია ეს მიდამოები, როცა დილის ფერმკრთალი ნისლი ნაძვის კენწეროებს ადნება, შემდეგ ოქროსფერი ბურუსი მიძინებულ ზღვას ეფინება... წარმტაცია ქალაქი, როცა დილის ბინდბუნდში ნელა ახელს თვალს, ჰაერი სავსეა მაგნოლიის სურნელით, ხოლო დამძიმებული ნამწვეთები ზანტად მოცურავენ ფოთლებიდან და ასფალტზე იმსხვრევიან. როგორც წესი, ლუბა ადრიანად მიესალმება ახლად გამოღვიძებულ ბუნებას და სამუშაოსაკენ მიიჩქარის. ღამენათევი მორიგეები ანგარიშს აბარებენ უფროსს, ახალი ჯგუფი კი მუშაობას იწყებს და სადგურში იწყება გამოცოცხლება. გაბმულად, ჯიუტად წკრიალებს ტელეფონის ზარი, უფროსი მუდამ თავდაჭერილია და თავაზიანი. დახმარებას სთხოვენ ინვალიდები, მოხუცები, ახალგაზრდა მექორწილეები; ლუბა არასოდეს დაიზარებს, ყველას ეხმარება.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# პოეტის რჩეული ნაწერები

ეროვნული ბიბლიოთეკა

„საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა ილო მოსაშვილის რჩეული თხზულებების სამი ტომი. ამ წიგნებმა თვალწინ გადაგვიშალეს მწერლის ცხოვრების და შემოქმედების უაღრესად საინტერესო გზა, გვიჩვენეს რაოდენ მძაფრი იყო მის ნაწარმოებებში თანამედროვეობის პათოსი, როგორც მაცოცხლებელი და სულისჩამდგმელი ძალა. მწერალი თავის ლექსებს, პოემებს, მოთხრობებს თუ პიესებს უძღვნიდა ქვეყნის სოციალურ განახლებას, მოწინავე ადამიანებს, შრომის გმირებს, ყველა მათ, ვინც ამკვიდრებს ახალ ყოფას. მისი ნაწარმოებები აზრის, გრძნობის, ინტონაციის მთლიანობით ხასიათდება.

ილო მოსაშვილი შესანიშნავად ფლობდა ქართულ სიტყვას, მის ლექსში მუდამ ჩანდა წარმოსახვის ნიჭი, ფერის გრძნობა, ემოციური მეტყველების შინაგანი ძალა. ამიტომ მოხდა, რომ მისმა ლექსებმა გამოიარეს წლები და დღესაც კვლავ ადრინდელი ძალით აღვივებენ ჩვენს სულში სიყვარულს დიადისა და ამაღლებულისადმი, ისინი ადამიანის სულის სიღრმეს სწვდებიან.

რა განსაზღვრავს ნაწარმოების სიცოცხლისუნარიანობას? ხალხის ცხოვრებასთან, მის კულტურასთან, სულიერ სამყაროსთან ღრმა კავშირი. სწორედ ამ მხრივ არის საყურადღებო ილო მოსაშვილის ნაწარმოებები. სინამდვილის მართლად ასახვა საბჭოთა ლიტერატურის დედააზრია. პოეტის მთელი მხატვრული არსენალი ამ მიზანს ემსახურება; რაც მთავარია, მწერალი ფართოდ და სწორად ასახიერებს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პრობლემებს. მის ნაწარმოებებში ცხოვრება დანახულია განვითარების ნათელ პერსპექტივაში, ბოროტზე კეთილის გამარჯვების ასპექტში. პოეტი ასეთ გამარჯვებებს უკავშირებს ხალხის ძლიერ ხასიათს და მისწრაფებებს.

ილო მოსაშვილს ღრმად სწამდა მხატვრული სიტყვის ძალა. მას ბევრჯერ უთქვამს, სხვა ჟანრის ნაწარმოებებთან შედარებით, ლექსი ყველაზე ღრმად იჭრება ადამიანის სულშიო, და, მაშასადამე, რაკი ლექსი ცხოვრების ვითარებაზე ესოდენ დიდ გავლენას ახდენს, წვრილმანებზე მისი დახურდავება, გაუბრალოება ნამდვილად დანაშაულიაო.

პოეზია სხვა ჟანრებისაგან იმითაც განსხვავდება, რომ იგი ყველაზე სწრაფად ეხმაურება ადამიანის გულის ძახილს. ყველაზე ლაკონიურად გამოხატავს მოქმედებას, გრძნობას, მოვლენას. რაოდენ დიდი აზრია ჩაქსოვილი ლექსებში: „სამშობლოვ ჩემო“, „აი, ქართველო, შენი სამშობლო“, „ოქტომბრის თაობა“, „ჩემი ქვეყანა“. დიდი ეპოქალური აზრები, ადამიანთა სწრაფვა აქ მკაფიოდ, მოკლედ და ცოცხლად არის გამოთქმული. პოეტი ეტრფის სამშობლოს, საბჭოთა საქართველოს, ღრმად განიცდის მისი ბუნების სილამაზეს, მაგრამ მთავარი აქ ის არის, რომ მკითხველსაც ღრმად აგრძნობინებს ახალი ქვეყნის სიდიადეს, აღრმავებს მის სიყვარულს ნათელი აწმყოსა და მომავლისადმი.

სამამულო ომის პერიოდის ლექსებში პოეტმა ნათლად და ბრძნული სისადავით გამოხატა სამშობლოსათვის თავგანწირვის იდეა. ი. მოსაშვილის გული რომ მხოლოდ სამშობლოსათვის სცემდა და იგი ახალი საქართველოს ჭეშმარიტი შვილი იყო, ეს ყველაზე მკვეთრად სწორედ ამ ლექსებში გამოჩნდა. აქ უნდა დავასახელოთ „შვილო, სამშობლო გეძახის“, „დედა“, „სამშობლო“, „კრემლის ძახილი“, „1944 წელი“, „აი მოსკოვი“.

ი. მოსაშვილი იყო დიდი მოქალაქე; მას ღრმად სწამდა, რომ სამშობლოს ნამდვილი სიყვარული შეუძლებელია, თუ სხვა ერებისა და ხალხებისადმი კეთილშობილური გრძნობით არა ხარ გამსჭვალული; ეს იყო დიდი ტრადიცია ქართული კლასიკური მწერლობისა და პოეტი მუდამ მტკიცედ იცავდა მას. ამ სულისკვეთებით, ხალხთა მეგობრობის ნათელი გრძნობით არის გამსჭვალული ლექსები „საღამო დვინაზე“, „არყის ტყეში“, „მარია დემჩენკო“, „ბელორუსიაში“...

ილო მოსაშვილი ჭეშმარიტად ჩვენი დიადი საუკუნის გულწრფელი მომღერალი იყო:

**ბურანს კვლავ ლექსის მოვარდნა წამლის,**
**მოწოლილ სევდას ნისლივით დახევს**
**და თან გავყვები ელვარე დაშნით**
**ჩემი დროების ვაჟკაცურ ძახილს.**

აქ განსაკუთრებით გვინდა გამოვყოთ ლექსები თბილისზე („თბილისს“, „თბილისის წვიმა“ და სხვ.)

—შენ ხარ ჩაუქრობელი გული საქართველოსი, — მიმართავს პოეტი დედაქალაქს და თვალწინ გადაგვიშლის მის სილამაზესა და მომხიბვლელობას. არაერთგზის აღუნიშნავთ, რომ ლექსი მოლაპარაკე ფერწერაა და, პირიქით, ფერწერა მუნჯი პოეზიააო. ფერწერის ეს მომხიბვლელობა მთელი ძალით ჩანს მოსაშვილის შესანიშნავ სტრიქონებში:

**შეაკანკალა, დაეცა ხიდებს**
**მზე და ქედებზე ჩამოწვა მწუხრი,**
**ლეგა ღრუბლების დაკიდულ კიბეს**
**ღამემ მგელივით დაადგა მუხლი.**
**და ძირს დაუშვა შავი აფრები**
**და ჩამოყარა ცაში ნაცარი,**
**მერე, ნახშირის მტვერში დაფერილს,**
**შემოუჭირა ელვის ბაწარი.**

**(„თბილისის წვიმა“)**

გამოიდარა, მზემ შუქი მოჰფინა დედაქალაქს, ბრწყინავს თბილისი და ჩვენს გულს რაღაც იდუმალი თრთოლვა იპყრობს. ბუნების ასეთი ცოცხალი აღქმა და ათვისება ილო მოსაშვილის ნიჭის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანთვისება იყო.

ილო მოსაშვილის შემოქმედება თემატურად და ჟანრობრივად უაღრესად მრავალმხრივია. მის კალამს ეკუთვნის ღრმად მოფიქრებული, სიუჟეტურად დასრულებული და კომპოზიციურად მტკიცედ შეკრული პიესები „გზა მომავლისა“ (ისტორიული დრამა), „სადგურის უფროსი“, „ჩაძირული ქვები“. ეს ნაწარმოებები ხელს უწყობენ საბჭოთა ადამიანის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის დიდ საქმეს. ამ ქმნილებებში ცხოვრება ასახულია მთელი თავისი სირთულითა და წინააღმდეგობებით; მწერალი ფსიქოლოგიური სიღრმითა და დამაჯერებლობით გამოხატავდა ადამიანების ბედსა და განცდებს. მისი ნაწარმოებების დრამატიზმი მუდამ ცხოვრებისეულია.

ილო მოსაშვილი იყო არა მარტო თვალსაჩინო პოეტი და დრამატურგი, არამედ დიდი გაქანების საზოგადო მოღვაწეც. იგი ამ მხრივაც ღირსეულად განაგრძობდა დიდი წინაპრების გზას.

**ვლადიმერ ჯიბუტი**

ახალგაზრდა ქალმა ასევე კარგად იცის, რომ სადგურზე ჩამოსულ მგზავრებსა და უცხო სტუმრებს ყველაზე უფრო სჭირდება ყურადღება, გულთბილი დახვედრა. ასე ეგებება სადგური მოსულებს და გზას ულოცავს ქალაქისაკენ, პარკებისაკენ, ზღვისაკენ. ქვის ბარიერიდან ჩანს უსასრულობაში გადასული ლივლივა ზღვა და ათასობით მოფარფატე თოლია. შემდეგ ნახულ-განცდილით კმაყოფილი სტუმრები სტოვებენ ქალაქს და სადგურის უფროსის სახელზე ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან მოდის მადლობის გრძნობით აღსავსე წერილები.

ასე მიდიოდნენ დღეები, თვეები, ლუბასათვის თითქმის ყველა დღე ერთნაირი იყო. იგი ვერა გრძნობდა დაღლას, დღისა და ღამის გაყრას, რადგან ახალგაზრდა იყო, ენერგიული და ძლიერ უყვარდა თავისი საქმე.

შემდეგ ქალიშვილისათვის ერთბაშად დადგა ლამაზი და განსაკუთრებული დღე. მან საკუთარი ოჯახი შექმნა. დედობა ხომ ყველა ქალისათვის უპირველესი ოცნებაა! და ახალგაზრდა ოჯახში ორჯერ დაირწა აკვანი.

ცხოვრების თანამგზავრი ღირსეული შეხვდა ლუბას. ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარ ინჟინერს იოსებ მარინაშვილს დიდად აფასებდნენ, როგორც კარგ მამულიშვილს, კარგ სპეციალისტსა და შესანიშნავ ადამიანს.

დაიწყო დიდი სამამულო ომი. მარინაშვილი, რკინიგზელებთან ერთად, მოქმედ არმიაში მიდის.

ომის შემდეგ ლუბა და მისი მეუღლე კვლავინდებურად საყვარელ საქმეს ემსახურებიან.

ოჯახს თავს დაატყდა მძიმე უბედურება. ლუბას მეუღლე გარდაიცვალა. დარჩა იგი ორი შვილით, გულში მძიმე ტკივილითა და მსუსხავი განცდებით. ცხოვრება კი კვლავ მძლავრი ნაბიჯებით მიიწევდა წინ. მისგან გამოთიშვა შეუძლებელი იყო...

ქალაქის სადგურის უფროსის კაბინეტში კვლავ განუწყვეტლივ ისმის ტელეფონების წკრიალი. ზოგჯერ ხანგრძლივად, ჯიუტად... დახმარებას ითხოვენ ინვალიდები, ბავშვიანი ქალები, ახალგაზრდა მექორწილეები და ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან, თბილისში ჩამოსული სტუმრები. ცხოვრებით დაბრძენებულმა მანდილოსანმა, რომელსაც საოცრად კეთილი, ალერსიანი თვალები აქვს, მთხოვნელთა ენა კარგად იცის. ყველას გულთბილად ეპყრობა, ყველას ეხმარება.

ხალხის ნდობა-დაფასება, შვილებისა და შვილიშვილის სიყვარული ლუბას ანიჭებს ძალას, რომ კვლავაც მისებრ გაუტეხავი ნებისყოფითა და პატიოსნებით ემსახუროს საერთო საქმეს.

უანგარო შრომისათვის ლუბას მთავრობისაგან მინიჭებული აქვს დამსახურებული ინჟინრის წოდება. ასევე მიღებული აქვს ორდენები, მედლები, სიგელები, მადლობები, ხოლო ხალხისაგან — თბილი და გულისამაჩუყებელი წერილები. ყველაფერი ეს დიდი შრომის, თავდადებისა და გულისხმიერების ჯილდოა.

ესაა ჯილდო სპეტაკი მოქალაქისა და კომუნისტისა, რომლის ცხოვრების ნათელი გზა გაბრწყინვებულია ადამიანებისადმი უღრმესი სიყვარულის მაღალი გრძნობით.

**ლამარა გვაზავა-სანაძე.**

# უნებლიე იერიში

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ავალიანი

მოთხრობა

ინფანტერიის გენერალი ივანე პასკევიჩი ხვლიკისფრად შეტრუსულ გორაკზე იდგა და მის წინ ორიოდე ვერსზე მდებარე ბეიბურთს ბრაზმორეული გასცქეროდა. სარდალი ცუდ გუნებაზე იყო. ამ დილით მოგებული ბრძოლის შემდეგ საქმე მოთავებული ეგონა და არ მოელოდა თუ ამ ერთ ციდა სოფელში მტერი ამდენ ჯარს შეაგებებდა.

სარდალს გვერდით მხოლოდ ახალგაზრდა გენერალი მურავიოვი ახლდა, შორიახლოს კი ადიუტანტებისა და სარდლის ბანაკში უსაქმოდ ყოფნას დაჩვეული ოფიცრების მთელი ხროვა ტრიალებდა. ამჟამად პასკევიჩის უგუნებოდ ყოფნა ყველას ეგრძნო და მის თვალში მოხვედრას ახლა ყველაზე უფრო შეთამამებული ოხუნჯებიც კი აშკარად ერიდებოდნენ, სარდალს ვერ გადაეწყვიტა ახლავე დაეწყო იერიში, თუ ჯერ კიდევ გზად მომავალ ჯარებისათვის მოეცადა.

—თქვენ რა აზრისა ხართ ნიკოლოზ ნიკოლოზისძევ? — მოულოდნელად მიმართა პასკევიჩმა მურავიოვს, — როდის დავიწყოთ იერიში?

— აბა მე რა უნდა გირჩიოთ, ივანე თედორესძევ, ამ აზიელებთან ბრძოლებში თქვენი გამოცდილების მქონეს, სწორედ გითხრათ, ვერ გავბედავ რაიმე რჩევა მოგცეთ, — დაბნეულად უპასუხა მურავიოვმა.

პასკევიჩმა დურბინდი მოიმარჯვა, მზერა ფრონტის მთელ სიგანეზე შემოატარა და მურავიოვის გასაგონად ჩაილაპარაკა:

— ყოჩაღი მეთაურია ანდრონიკოვი, ჩინებულად იბრძოდნენ დღეს ნიჟეგოროდელები; შეხედე როგორ ყალყზე უყენია პოლკი. ერთი მცირე ნიშანი ჩემგან და თავს შეაკლავენ მტერს, — ამას რომ ამბობდა, პასკევიჩი თვალს არ აშორებდა მარცხენა მხარეს დაცემულ მინდორზე საიერიშოდ გამზადებულ დრაგუნთა პოლკს, რომლის წინასაბრძოლო მწყობრი მოზიდულ მშვილდს ჰგავდა შორიდან.

— მთელს კავკასიაში ასეთი პოლკი მეორე არა მყავს, — განაგრძო პასკევიჩმა, — სამაგალითო წესრიგი აქვთ, ბრძოლაში მისი შემართება კი ნაპოლეონის ნარჩევი კავალერიის კირასირებსაც შეშურდებოდათ.

მურავიოვი უგუნებოდ უსმენდა სარდალს; იგი გრენადერთა ბრიგადის მეთაური იყო და ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის ესოდენ გადამეტებული ქება ჭკუაში არ უჯდებოდა. ამ პოლკის მეთაური გენერალ-მაიორი რაევსკი, რომელიც ორი კვირის წინ ავად გახდა და ფრონტიდან წავიდა, მურავიოვისათვის სამსახურეობრივი კარიერის თვალსაზრისით საშიშ მეტოქეს წარმოადგენდა კავკასიაში. მართალია, ახლა დროებით ნიჟეგოროდის პოლკს პოლკოვნიკი ივანე ანდრონიკაშვილი მეთაურობდა, მაგრამ რაევსკის სიძულვილით მურავიოვი მისი პოლკის სახელის გაგონებასაც ვერ იტანდა, მით უმეტეს კარგად იცოდა, თუ როგორ უყვარდათ ჯარისკაცებს გენერალი რაევსკი. ამჯერად კი მურავიოვს სხვა გზა არ ჰქონდა, მოთმინებით უნდა აეტანა სარდლის სიტყვები, რადგანაც პასკევიჩის ულმობელ პირდაპირობას კარგად იცნობდა.

ორივე გენერალი უხმოდ განაგრძობდა ფრონტისაკენ მზერას. ნიჟეგოროდელთა წინ ერთი ვერსის სიშორეზე თურქთა კავალერია ჩამწკრივებულიყო. ჯარი დიდძალი ჩანდა; ესკადრონთა მწკრივები შორს მინდვრის ბოლოსთან იკარგებოდა. კავალერიას ორივე მხრივ არტილერია ეყენა, რომლის დაფანტულ ბატარეებს შორის ქვეითი ასკერების ასეულები ჩამწკრივებულიყვნენ. თვით ისეთი გამოცდილების მქონე სარდალიც კი, როგორიც პასკევიჩი იყო, ვერ ხვდებოდა, შეტევას ამზადებდნენ თურქები, თუ უბრალოდ თავდაცვის რედუტი იყო მის წინ.

ნიჟეგოროდელთა მწყობრშიც გულგრილად როდი უყურებდნენ იერიშის დაყოვნებას. სხვა რომ არა, ბრძოლის ცეცხლით შეხურებული ცხენების მოდუნება მეტად საშიში და საზიანო იყო იერიშისათვის, რომელიც ადრე თუ გვიან არ ასცდებოდა პოლკს.

— ნამდვილად ჩაგვეშლება იერიში, ნეტავ რაღას უცდიან? რა გახდა ეს ქეციანი სოფელი, რისა ეშინია სარდალს? — უკმაყოფილოდ გადაულაპარაკა მარჯვენა ფლანგზე მწკრივის თავთან მდგომმა თეთრცხენიანმა პოდპორუჩიკმა იქვე ახლოს შავ ბედაურზე მჯდომ მაიორ მარკოვს, რომელიც ბრძოლის ველს მშვიდად გასცქეროდა და დროდადრო ქერა, მეჩხერ ულვაშებზე ხელს ისვამდა.

— როგორც ჩანს, ასეა საჭირო, თავადო იასონ, ხომ იცი მხედრული კანონი: მაღლიდან უკეთ ჩანს, სარდლობამ უკეთ იცის... სხვა სხვა, მაგრამ პასკევიჩს ეს ამბები არ შეეშლება, ძმაო!

— კარგი, მაგრამ თურქებმა რომ დაგვასწრონ იერიში?

— სარდალი ამასაც გაითვალისწინებს, თავადო! ისე კი თუ გნებავთ შიკრიკი გავგზავნოთ ანდრონიკაშვილთან, ხომ არ გვიბრძანებს რამეს. სიმართლე გითხრა, ასე დგომა მეც საშინლად მომწყინდა, იქნებ რამე საქმე გაგვიჩინოს.

ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის პირველი ესკადრონის მეთაური მაიორი მარკოვი და მისი თანაშემწე პოდპორუჩიკი იასონ ჭავჭავაძე ამ საუბარში იყვნენ, როცა ყველასათვის მოულოდნელად თურქთა კავალერიის რიგებს ვიღაც მხედარი გამოეყო, ყორნისფერი ცხენი ჯერ იქვე შეაჭირითა, ერთი-ორჯერ ყალყზეც შეაყენა, შემდეგ მძლავრად ჰკრა დეზები და დაოთხებული გააქროლა ნიჟეგოროდელთა რიგებისაკენ; ამ სურათმა მაშინვე მიიპყრო პასკევიჩის ყურადღება და იმ წამიდან იგი თვალს არ აშორებდა თურქი მხედრის მოძრაობას.

ნიჟეგოროდელთა მწკრივებს სათოფეზე რომ მიუახლოვდა, თურქმა სადავე მსწრაფლ მოზიდა და ბრძოლის ველს კარგად შეგუებული ცხენიც ადგილზე გაიყინა. მხედარმა ისევ მოზიდა სადავე. ცხენი ყალყზე შედგა და უკანა ფეხებით წინსვლას ლამობდა, მაგრამ მხედარი არ უშვებდა. ყოველივე ეს ისე მოულოდნელად და სწრაფად მოხდა, რომ ნიჟეგოროდელებმა გაკვირვებაც ვერ მოასწრეს.

თურქმა ცხენის სადავე მიუშვა, მარჯვენა ხელით ქამარში გარჭობილი დამბაჩა იძრო და პირდაპირ მოწინააღმდეგის რიგებს დაახალა.

ნიჟეგოროდელთა მწკრივების მარჯვენა ფრთას ისარივით მოწყდა თეთრცხენიანი მხედარი და მაღლა მათრახშემართულმა ცხენი თავხედი თურქისაკენ თავგამეტებით გააქანა.

— იასონ! რას შვრები ბიჭო, ხომ არ გაგიჟდი?! იასონ, დაბრუნდი, ბიჭო, უკან!—ყვირილით შეეხმიანა თავის უმცროს ძმას პრაპორშჩიკი სპირიდონ ჭავჭავაძე, მაგრამ იასონს არაფერი ესმოდა. თავხედი თურქის მათრახით გალახვა განიზრახა და ამ სურვილმა ისე აიტანა, რომ სრულ თავდავიწყებას მიეცა, მხოლოდ ცხენსღა აჩქარებდა მთელი ძალ-ღონით.

მისკენ შურდულივით დაძრული მხედარი რომ დაინახა, თურქმა სწრაფად შეაბრუნა ცხენი და თავისიანებისაკენ მოჰკურცხლა. იასონ ჭავჭავაძემ კიდევ უფრო ააჩქარა თავისი ცხენი და გაქცეულს მთელი ძალით გამოუდგა. თვალს იტაცებდა ჭავჭავაძის ცხენზე კოხტად გაკრული ფიგურა მაღლა ამართული მათრახით, რომელსაც კიდევ უფრო აჩქარების მიზნით, დროდადრო ცხენს გადაჰკრავდა ხოლმე ზურგზე. მაგრამ ამ სურათით დიდხანს დატკბობა არ დასცალდათ ნიჟეგოროდელებს:

— ოცეულო წინ! — მჭექარედ შესძახა თავის ოცეულს იასონის უმცროსმა ძმამ რომანმა, ჩერქეზულ ჩოხაზე პრაპორშჩიკის სამხრეები და სპილოსძვლის მასრები თეთრად რომ უბრწყინავდნენ. იმან ცხენი ადგილიდან ქარივით დასძრა და თან მთელი ოცეული ერთიანი ზათქით გაიყოლია. რომანის ოცეულს სპირიდონის ოცეული მიჰყვა, ხოლო ამის დანახვისთანავე მწკრივებს შორის მეხის ქუხილივით გაისმა მაიორ მარკოვის შეძახილი: — ესკადრონო, იერიშზე წინ!

მარკოვის მძლავრი ხმა მთელ პოლკს გასწვდა. ზვავივით წინ დაძრულ ესკადრონს ხუთივე სხვა ესკადრონმაც დაუყოვნებლივ მიჰბაძა.

პოლკის მეთაურს ივანე ანდრონიკაშვილს კეთილად ენიშნა ეს შემთხვევა. მან არა თუ შეაჩერა ასე თავისთავად გამართული იერიში, არამედ თავის ქვიშისფერ ყარაბაღულ ულაყს უმალ დეზები ჰკრა და ორიოდე წუთში იერიშზე გასულ პოლკს თავში მოექცა.

მტრის სანგრებამდე სულ ათიოდე ნაბიჯიღა უკლდა, როცა ჭავჭავაძე თავხედ თურქ მხედარს დაეწია და მათრახი მთელი ძალით გადაუჭირა ზურგზე. თურქს ამისათვის ყურადღებაც არ მიუქცევია, სანგრებზე ცხენი ასკუპა და თავისიანებს გაერია.

იასონს შეჩერება და უკან გამობრუნება აზრადაც არ მოსვლია; რაღაც იდუმალმა ძალამ მძლავრად უბიძგა მას, მაღლა შემართული მათრახი ცხენს გადაუჭირა, შემდეგ კი გვერდზე მოისროლა და ხმალი იშიშვლა. მეორე წამში მზის სხივებზე მოლაპლაპე ხმალშემართული ჭავჭავაძე და მისი თეთრი ცხენი თურქთა კრაზანებივით აშლილ კავალერიას შეერივნენ და თვალს მიეფარნენ.

იმ ადგილას, სადაც იასონ ჭავჭავაძე თურქთა რიგებს გაერია, ჯარი ქარბორბალასავით დატრიალდა, მაგრამ სანამ რაიმე თადარიგს დაიჭერდნენ, ნიჟეგოროდელთა დაწინაურებული დრაგუნები სროლით, ხმლების ქნევითა და მძლავრი საბრძოლო ყიჟინით თავს დაეცნენ მათ.

მათკენ იერიშით მომავალი, ზღვასავით აზვირთებული პოლკი რომ დაინახეს, თურქთა კავალერიის პირველი რიგის მწკრივები მაშინვე უკუიქცნენ, მაგრამ უკუქცეულებს მეორე რიგის მწკრივებმა გზა არ მისცეს და ისინი ისევ მტრისკენ შემობრუნდნენ. სოფლის მისადგომთან საშინელი ჩეხვა გაიმართა.

...მალე თურქებმა მთლად მიატოვეს ბეიბურთი. მთელი მათი არტილერია და დიდძალი ალალი ხელუხლებლად დარჩათ მოიერიშე დრაგუნებსა და გრენადერებს.

შუაგულ სოფელში ანდრონიკაშვილი გაქცეული მტრის დასადევნებლად პოლკს ამზადებდა, როცა საიდანღაც მასთან მოიჭრა იასონ ჭავჭავაძე და გამარჯვების მოსალოცად ცხენდაცხენ გადაეხვია.

ნიჟეგოროდელებმა იასონ ჭავჭავაძეს გულით მიულოცეს უვნებლად გადარჩენა, შემდეგ ანდრონიკაშვილმა სალაშქრო მწყობრი ბრძანა და ესკადრონებიც სასწრაფოდ გაუდგნენ გზას.

— შენ დღეს საკმაოდ გაისარჯე, იასონ. ახლა სოფელში დარჩები, ყველა ეზოებს, ბაღებსა და ჩაიხანებს შემოივლი, ჩვენს ჯარისკაცებს შეკრებ

და დაუყოვნებლივ გამომყვები უკან. იცოდე ეს საქმე სოფელში სარდლის შემოსვლამდე უნდა მოხდეს, თორემ ხომ იცი როგორ სწყინს პასკევიჩს აღებულ სოფლებში ჯარისკაცების უპატრონოდ ხეტიალი. აბა შენ იცი! მე კი წავედი, — ამ სიტყვებით ანდრონიკაშვილი იასონ ჭავჭავაძეს გამოეთხოვა და დაოთხებული ცხენი ჩქარი ჩორთით მიმავალ ესკადრონებს დაადევნა.

იასონ ჭავჭავაძემ ბეიბურთში გაფანტულ დრაგუნებს რომ თავი მოუყარა და ის-ის იყო, პოლკის დასაწევად უნდა დაეძრა ორმოცდაათამდე დრაგუნისაგან შემდგარი სალაშქრო მწყობრი, მოედნის მეორე მხრიდან ცხენების ფეხის ხმა მოისმა და ალიზით ნაგებ ქოხებს შუა ვიწრო შუკიდან ექვსი ცხენოსანი გამოჩნდა. დრაგუნთა მწყობრის დანახვაზე ცხენოსნები მისკენ გამოეშურნენ. წინ წაბლისფერ ულაყზე მჯდომი ზორბა ტანის წარბებშეჭმუხვნილი ქერა გენერალი მოუძღოდათ; შტაბს-კაპიტანი, ორი პორუჩიკი და ორიც უნტეროფიცერი მხედრული უფროს-უმცროსობის წესის სრული დაცვით გენერლის ამალას შეადგენდნენ.

— აქ რას უდგახართ, ნიჟეგოროდელო დოულაპიებო, რატომ ჩამორჩით საერთო შეტევას? — მოურიდებელი და აშკარად გამკილავი კილოთი მიმართა დრაგუნებს გენერალმა.

— რატომ კადრულობთ ამ სიტყვებს, თქვენო აღმატებულებავ? ჩვენ პირველნი შემოვედით ბეიბურთში, პოლკი ახლაც მტერს მისდევს, — მეტის აღელვებისაგან ბზარნარევი ხმით შეჰკადრა გენერალს იასონ ჭავჭავაძემ.

— ენა დაიმოკლეთ, პოდპორუჩიკო! გამომყევით უკან, მე გაგიჩენთ საქმეს! — კვლავ დამამცირებელი ტონით უბრძანა გენერალმა, მაგრამ ჭავჭავაძემ კარგად არც დაამთავრებინა, ისე უპასუხა:

— მე ნაბრძანები მაქვს დრაგუნები სასწრაფოდ დავაწიო პოლკს და თქვენ ვერ გამოგყვებით, თქვენო აღმატებულებავ!

— მე გენერალი მურავიოვი ვარ. დაუყოვნებლივ შეასრულეთ, რაც გიბრძანეთ! — თავისას მოითხოვდა გენერალი.

— ფრონტზე მე ვიცნობ მხოლოდ სამ მეთაურს, რომელთა ბრძანებაც უნდა შევასრულო; ესენია გენერალი პასკევიჩი, პოლკოვნიკი ანდრონიკაშვილი და მაიორი მარკოვი. მაპატიეთ, მაგრამ თქვენს ბრძანებას ვერ მივიღებთ, — სხაპასხუპით მიახალა ჭავჭავაძემ.

— ერთი ამ ძაღლის ლეკვს დამიხედეთ! შტაბს-კაპიტანო, დააპატიმრეთ ეს ვიგინდარა! — მთელი ხმით შეჰღრიალა მურავიოვმა და მისი თანმხლებნიც ის იყო ჭავჭავაძისაკენ დაიძრნენ იარაღის ასაყრელად, რომ ჭავჭავაძემ თოფის წამალივით იფეთქა:

— მე თავადი ჭავჭავაძე გახლავართ, ბატონო გენერალო... ჩემი დაპატიმრების უფლება არა გაქვთ და ნურც შეეცდებით, თორემ ცუდად დამთავრდება ეს შეხვედრა. ბატონო ოფიცრებო, თავი შეიკავეთ, თორემ ყველანი ინანებთ! — ამ სიტყვებზე იასონმა ხმალს იკრა ხელი, ქარქაშიდან შუამდე ამოსწია და სადავე ისე მძლავრად მოქაჩა, რომ ცხენი ყალყზე შეაყენა. სხვა დრაგუნებშიც ნერვიული გაწევ-გამოწევა შეიქნა. მურავიოვმა აშკარად იგრძნო, რომ დრაგუნები არაფერს დაუთმობდნენ. მან ერთი ბრაზიანად გადააფურთხა, ცხენი სწრაფად შემოაბრუნა და გალახული ძაღლივით მოედნიდან გაიძურწა. მას აუჩქარებლად მიჰყვნენ მხლებლები, ხოლო დრაგუნთა მწყობრი ჭავჭავაძის მჯახე შეძახილით პოლკის დასაწევად ფრონტის გზას დაადგა.

* * *

სახელდახელოდ გამართულ კარავში პასკევიჩი დასაკეც მაგიდასთან იჯდა და ჩაის სიამოვნებით მიირთმევდა. იქვე, მის ფეხებთან, სპარსულ ხალიჩაზე მცირე ზომის მოოქროვილი სამოვარი ბოლავდა. მაგიდაზე კი მომცრო ლანგრებში შაქარი, ქიშმიში და სხვადასხვა ტკბილეული ეწყო. პასკევიჩის ლაჟღაჟა სახე ქერა ხუჭუჭი ქოჩრით კარგად მოჩანდა ლამფის შუქზე. იმ დღის ბრწყინვალე ბრძოლების შემდეგ სარდალი კარგ გუნებაზე იყო და ახლა მოსვენება ესაჭიროებოდა მხოლოდ.

ჩაის სმა დასასრულს უახლოვდებოდა, როცა ვიღაცამ კარვის კალთა გადასწია და შემოსვლის ნება ითხოვა. პასკევიჩს აშკარად ეწყინა ასეთ დროს სტუმრობა, მაგრამ შემოსვლის ნება მაინც დართო მოსულს და ისიც მძიმე მოზომილი ნაბიჯებით სარდლისაკენ გაემართა. პასკევიჩს რომ ორიოდე ნაბიჯზე მიუახლოვდა, მოსულმა გენერლის მოსასხამქვეშიდან რაღაც ქაღალდი გამოაძვრინა და სარდალს მაგიდაზე წინ დაუდო.

პასკევიჩმა უკანასკნელი ყლუპი მოსვა, ფიალა წყნარად გადადგა და მურავიოვს მხიარულად მიმართა:

— აბა რას იტყვი, ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძევ... ეგეც შენი ბეიბურთი, ასე ჩათვალე, რომ არზრუმიც ხელთა გვაქვს. თურქეთთან ომი ფაქტიურად დამთავრდა. ჩვენ გავიმარჯვეთ. ახლა ოღონდ ჭირდოებს გავუძლოთ როგორმე. რას იტყვი, ა? ნიჟეგოროდელებმა ხომ ივაჟკაცეს დღეს. ასეა, მე ჩემი ალღო არასოდეს მღალატობს ხოლმე. მაგრამ თქვენ რაღაც საქმე გაქვთ. ეს რა მოხსენებაა, რომ დილამდე არ ითმენს?

— ოფიცრები აუტანელ და უმსგავსო თავხედობას სჩადიან, თქვენო უმაღლესობავ! ჩემთვის, როგორც იმპერატორის გვარდიის გენერლისათვის, მეტად უცხოა ის დაურიდებლობა, რაც ჩვენს პოლკებშია გამეფებული, — ეს სიტყვები დიდი აღელვებით ჩაუმარცვლა სარდალს მურავიოვმა.

— ფრონტზე მაგარი ნერვებია საჭირო, ბატონო გენერალო! რაც შეეხება იმას, თუ რა თავხედობას და დაურიდებლობას აქვს აქ ადგილი, ნება მიბოძეთ ამის შესახებ მე ვიფიქრო, თქვენ კი თავს ზედმეტ საზრუნავს ნუ გაუჩენთ, — უკვე შესამჩნევი აღელვებით თქმულ ამ სიტყვების შემდეგ პასკევიჩმა პატაკის კითხვა უხმოდ დაიწყო. აუჩქარებლად კითხულობდა; ბოლომდე რომ ჩაათავა, ისევ დაუბრუნდა და უკანასკნელი წინადადებები ხმამაღლა, მრავალმნიშვნელოვანი ტონით წაიკითხა: „როგორც იმპერატორის გვარდიის გენერალი და ბრიგადის მეთაური, მოვითხოვ, ზემოაღნიშნულ ჩემი შეურაცხყოფისათვის საველე სასამართლოს უფლებათა მაქსიმუმით დაისაჯოს პოდპორუჩიკი ჭავჭავაძე, ხოლო ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის სხვა მეთაურები უწესრიგობისათვის, რაც პოლკშია გამეფებული, შესაბამისად დაისაჯონ თქვენს მიერ. გენერალ-მაიორი ნ. ნ. მურავიოვი. 1829 წლის 27 სექტემბერი, რუსეთ-თურქეთის ფრონტი. სოფელი ბეიბურთი“.

პატაკის მეორედ კითხვა რომ დაამთავრა, პასკევიჩი აენთო. სახე უცებ მოეღუშა, ერთხანს ჩუმად იჯდა, შემდეგ პატაკი მაგიდაზე ნერვიულად ისროლა და მურავიოვს მოუბრუნდა:

— კარგი საქმეა, ჩემმა მზემ! თქვენ მოითხოვთ სასტიკად დავსაჯოთ პოლკის ოფიცერთა მთელი ჯგუფი, რომელთაც დღეს ისეთი თავგანწირულება გვიჩვენეს, როგორიც არა თუ თქვენ, მეც იშვიათად მინახავს. უფრო კი ის მაოცებს, სასჯელებიც რომ თქვენვე გადაგიწყვეტიათ. აბა მიბრძანეთ, ბატონო გენერალო, რა საჭიროა აქ საველე სასამართლო? ნუთუ სხვა სასჯელის ზომა ვერ უნდა ვაკმაროთ ამ მამაც ოფიცრებს, თუ მათი დასჯა მართლაც აუცილებელია, ისიც დღევანდელი დღის შემდეგ?

— ღმერთო ჩემო! ამას როგორ ამბობთ, თქვენ, თქვენო უმაღლესობავ? ახლა ჩემთვის გასაგებია, თუ რატომ ეპატია ყოველივე გენერალ რაევსკის, რომელიც სხვას რომ თავი გავანებოთ, დეკაბრისტებს მფარველობდა პოლკში და თქვენს გვერდით თავს არხეინად გრძნობდა.

— ხელმწიფე იმპერატორმა იცის ამის შესახებ, მურავიოვ! — თითქმის შეჰყვირა პასკევიჩმა, რომელსაც მეტის ნერვიულობისა და ბრაზისაგან ქუთუთოებს ქვეშ ნერვებმა ტოკვა დაუწყეს, — კიდევ გიმეორებთ, თქვენს ფუნქციებში დაეტიოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში საჭიროდ ჩავთვლით თქვენს შესახებ საგანგებო წარდგინება გავაკეთო იმპერატორთან. თავისუფალი ბრძანდებით! ჩვენ ახლა სხვა ბევრი საქმე გვაქვს და გაცილებით უფრო სასწრაფო, ვიდრე ჩვენივე მამაცი ოფიცრების დასჯა და ისიც ვინ უწყის რისთვის.

მიწასთან გასწორებული მურავიოვი უხმოდ შეტრიალდა და კარავიდან აჩქარებით გავიდა.

* * *

ალიონმა ჯერ კიდევ ძილში მიუსწრო წინადღით მძაფრ ბრძოლაში დაქანცულ ნიჟეგოროდელთა პოლკს. ესკადრონების მიხედვით დაწყობილ უნაგირებთან მიწოლილ ჯარისკაცებსა და ოფიცრებს ჯერ კიდევ ტკბილად ეძინათ. შორიახლოს კი სახელდახელოდ მოწყობილ მისაბმელებზე მიბმული ქერნაჭამი ცხენებიც, ზოგი მწოლარე, ზოგიც მდგომარე თვლემდნენ. ბანაკს ირგვლივ დაყენებულ გუშაგთაგან ბევრი ზეზეულად თვლემდა, სხვები კი თავის ძალდატანებითღა ფხიზლობდნენ. სწორედ ამ დროს გამოვიდა თავის კარავიდან პასკევიჩი და ნიჟეგოროდელებისაკენ გაეშურა. მათკენ მომავალი სარდალი გუშაგებმა შორიდანვე შენიშნეს და ამის შესახებ მაშინვე მოახსენეს ივანე ანდრონიკაშვილს.

ნაჩქარევად ტანთჩაცმული ანდრონიკაშვილი, გზადაგზა მუნდირის ღილებს რომ იკრავდა, სწორედ მაშინ გამოვიდა თავის კარავიდან, როცა პასკევიჩი კარავთან ოციოდე ნაბიჯზე იყო მოსული. პასკევიჩმა ანდრონიკაშვილს ხელით ანიშნა საპატაკო შეძახილი არ გაეცა და მძინარე ხალხი არ გაეღვიძებია, თან ნელი ნაბიჯით მისკენ გზა განაგრძო. წინ შემოგებებულმა ანდრონიკაშვილმა დაბალ ხმაზე, მაგრამ სხარტად ჩაუმარცვლა პატაკი იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაში იყო პოლკი. ოფიციალური პატაკი რომ მიიღო, პასკევიჩი ანდრონიკაშვილს გადაეხვია და მამაშვილურად გადაკოცნა, რასაც ასეთი მადლობა დააყოლა ზედ:

— უზომოდ მადლობელი ვარ თქვენი, მამაცო ნიჟეგოროდელებო! მთელი ჩემი ოცდაათი წლის საბრძოლო გზაზე არ მინახავს კავალერიის ისეთი ლამაზი იერიში, როგორიც თქვენ გუშინ მაჩვენეთ. აღტაცებული ვარ თქვენი გმირობით და ისევ და ისევ გმადლობთ!..

მცირე ხნით დუმილი ჩამოვარდა, რომელიც ისევ პასკევიჩმა დაარღვია.

— აბა მაჩვენეთ ის თეთრცხენიანი ოფიცერი, თურქს რომ ასე ჯიუტად გამოუდგა. ხომ გადარჩა უვნებლად?

სარდლის წინ ოდნავ თავჩაღუნული, მაგრამ მაინც უდრეკი იერის იასონ ჭავჭავაძე წარსდგა და თავისი ვინაობა გაბედულად მოახსენა. პატაკი რომ დაასრულა, იასონმა თავი ასწია, წელში კიდევ უფრო გაიმართა და სარდალს ერთი წამით თვალი გაუსწორა.

— ეს ის ჭავჭავაძე ხომ არაა, გუშინ რომ მურავიოვისათვის უწყენინებია? — ჰკითხა პასკევიჩმა ანდრონიკაშვილს.

—დიახ, ის გახლავთ, თქვენო მაღალაღმატებულებავ,—დუნედ მიუგო ანდრონიკაშვილმა. იასონ ჭავჭავაძე კი ისევ უძრავად იდგა სარდლის წინ.

— იცით თუ არა, პოდპორუჩიკო,—მოუბრუნდა პასკევიჩი იასონ ჭავჭავაძეს, — რომ ფრონტზე გენერლის ბრძანების შეუსრულებლობისათვის თქვენ დახვრეტა გემუქრებოდათ? გუშინ თქვენ სამგზის დაიმსახურეთ გიორგის ჯვარი, მაგრამ ვწუხვარ, რომ იმას თქვენ ვერ მიიღებთ. წადით ახლა და შემდგომში თავს გაუფრთხილდით. გენერლებთან, მეტადრე ისეთებთან, როგორიც მურავიოვია, ხუმრობა არ ვარგა.

ჭავჭავაძე უხმოდ შებრუნდა და სწრაფი ნაბიჯით გაეცალა სარდალს.

პასკევიჩმა კმაყოფილი თვალი კიდევ ერთხელ მოავლო მძინარე ბანაკს, შემდეგ კი იქვე სახელდახელოდ მორთმეულ სკამზე ჩამოჯდა და ივანე ანდრონიკაშვილს მომავალი დღის სამოქმედო გეგმაზე გაუმართა მუსაიფი.



ეროვნული ბიბლიოთეკა



საბურთალო. მეტროს მშენებლობაზე.

ფოტო ანზორ გოგოლაძისა



პეიზაჟი.



მშობლიური სოფელი

# ნიკოლოზ მეჯონიძე



პეიზაჟი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტო თ. ფურცხვანიძისა.



თელავი. ეს ბუმბერაზი საუკუნეების მომსწრეა.



ქუთაისი. ბაგრატის ტაძარი.

გელათის მიდამოები.



ენგურჰესის მშენებლობაზე.



ეროვნული ბიბლიოთეკა



გაზაფხული.

ფოტო ზ. დათუაშვილისა.

ზღაპრების სამყაროში.





ცნობისმოყვარენი.

# კენტენბერიული მოთხრობები

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშინელი სიზმარი ნახა მამალმა, რომელსაც სახელად შანტეკლერი ერქვა — ეჩვენა თითქოს ცბიერმა მელიამ მას პირი დასტაცა და სოროსაკენ გააქანა. მამლის ცოლს — პერტელოტს სასაცილოდაც არ ჰყოფნის ეს ამბავი. სიზმრის როგორ გჯერაო, უსაყვედურებს იგი მეუღლეს და თავის ამ მოსაზრებას თეორიულადაც ასაბუთებს — იმოწმებს ძველი რომის მწერალს კატონს, რომელიც კოშმარულ სიზმრებს უბრალო ფიზიოლოგიური მიზეზებით ხსნიდა — ზედმეტ გაძღომას აბრალებდა. მამალს, საპირისპიროდ, ციცერონის აზრები მოჰყავს — სიზმარი განგების მიერ მისჯილი ბედის წინასწარ განცხადებააო. დიდ მეცნიერულ პაექრობას ეწევიან ქათმები და იშველიებენ როგორც ანტიკური ხანის სწავლულების, ისე შუა საუკუნეების სქოლასტიკოსებისა და თეოლოგების შეხედულებებს. რით დამთავრდა ეს პაექრობა, ჩანს იმ ნაწყვეტიდან, რომელსაც ქვემოთ წაიკითხავთ. ეს არის ერთი თა‧ , დიდი ინგლისელი პოეტის ჯეფრი ჩოსერის „კენტენბერიული მოთხრობებიდან“, რომელსაც გამოსაცემად ამზადებს გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ (მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკის სერია).

აქ ერთი მელა, გრძელი ჟღალი კუდის ამარა,
ცხოვრობდა ყველა მისებრ ფლიდი მელას მაგვარად,
იმ შეჩვენებულს ალბათ მართლა ღმერთი სწყალობდა,
დიდხანს ცხოვრობდა არხეინად ხევში წყაროსთან.
გამოეთხარა ღამით ბებრის ღობე ამჯერად
და განეზრახა თაღლითს ჩვენი მამლის დაჭერა
და შანტეკლერიც ბედად იქვე ფაციფუცობდა,
ცბიერი მელა სად ჯირკვივით იწვა უგრძნობლად.
ეს გაიძვერა ალბათ ბებრის გასვლას ეზოდან
და გოგონების ხელსაქმეს და გარჯას ელოდა.
დრო შესაფერი შეურჩია და გაიძვერამ
გაშალა კუდი და კისერიც კი წაიგრძელა.
კარგად იცოდა, ვით ქურდებმა და ბაცაცებმა,
რომ გაფოფრილი ქათმებს უფრო თავზარს დასცემდა.
სიგრძე და სისქე დასაფრთხობად არის მისწრება —
ეჰ, შანტეკლერო, სად წაუხვალ შენს ბედისწერას!
— აი, იუდა ჩვენი დროის და განელონი,
ტროა-ქალაქის დამღუპველი აი სინონი!
ფლიდო, ოთხფეხო, ყველა დროის ავთა არსთაგან
უავესი და უარესი შენ ხარ ასმაგად!
მაგრამ მამალო, შანტეკლერო, შენ ხომ სიზმარმა
გამცნო საფრთხე და თითქმის გიხსნა სიკვდილისაგან,
ცოლს რომ აჰყევ და გარეთ მაინც გამოჩერჩეტდი.
ახლა, საწყალო, ვერ გიშველის ცოლი ვერც ერთი!

სწავლულს სწავლული ედავება და ეურჩება
და ეს საკითხი მაინც რჩება გადაუჭრელად —
ღმერთმა განსაზღვრა კაცთა ბედი მათ გაჩენამდი,
თუ ნება მისცა მოქმედების და არჩევანის?
აზრი იმდენად იბურდება უფრო, რამდენად
მეტი სწავლული ერთურთს უქმად ეკამათება —
და მაინც არ ჩანს რომელია მათგან მართლი,
ანდა საკითხი გადუჭრელი დღემდე რად არი.
სად შემიძლია ძირში ჩქქვა და გამორჩევა,
მის აღმოჩენას იქნებ სჯობდეს არაღმოჩენა,
ის ძირი ბევრჯერ გადაქექა ჯერ ავგუსტინმა,
ბოეციუსმაც იბუჯარა და ბროდვარდინმაც,
რათა როგორმე გაერკვიათ — ღმერთმა მაღალმა
დაგვრთო უფლება აღვასრულოთ, რაც შეგვაყვარა,
თუ უჩინარმა, უსახომ და უსასრულომ
ნება გვიბოძა იმად, რომ ეს არ აღვასრულოთ...
მაგრამ მე სიტყვას გადავედი. ჩვენ ხომ მამლიდან
მივყევ-მოვყევით და გავერთვეთ... ჰოდა, ამრიგად,
რაკიღა ჩვენმა შანტეკლერმა ცოლს დაუჯერა
და მერე მისმა სიბეცემაც და სიურჩემაც
ეზო-ყურეში გაიყვანა უთადარიგოდ,
მაშინ მოხდა ის, უნდა დასტურ რაც მომხდარიყო —
ქალის აყოლას ბოროტება მოსდევს უცილოდ,
არ შეიძლება კეთილს ავიც არ მიუწყვილოს,
მისით მოვიდა ქვეყნად ცოდვა, მისმა ცთუნებამ
დაგვიხშო ზეცა, წარგვწყმიდა და გაგვასულელა.
ამით თითქოსდა თავად ქალთა აუგს ვამბობდე —
ო, არა, ნურას უკაცრავად — მე ხომ მარტოდენ
მამლის გულისთქმას მოგახსენებთ — თვითონ მამალმა,
ასე იაზრა და დაასკვნა დია თამამად.
მე კი თუ მკითხავთ — ამ საკითხზე სულ სხვა აზრის ვარ,
უფრო ფაქიზად ვუყურებ და უფრო აზიზად.
თანდათანობით ჯალაბობამ და პერტელოტმაც

მზის მცხუნვარ გულზე გადინაცვლა ღობის ჩეროდან
და ყველა ერთად წარიტაცა მტვერში ღვანჭალმა
და მცხუნვარება ვით განცხრომა ამომაჰარდა,
შანტეკლერი კი მსახურებდა კუჰს დაუზარლად, —
ბალახს კორტნიდა, მუსრს ავლებდა ბუზს და ბუზარას...

და აი ჩვენი შანტეკლერი, როდესაც ძნასთან
მოფრენილ მსუქან ბუზანკალას ის იყო დასწვდა,
უეცრად ბუჩქთან თვალი მოჰკრა განაბულ მელას
და, რა თქმა უნდა, გამოფხიზლდა საწყალი ხელად,
რაღაცა ცივმა გულში ისე ძალუმად გაჰკრა,
რომ უნებურად დაემგვანა ყივილი კაკანს.
განსაცდელის ჟამს ყველა თავის საშველად გარბის:
ეს კუ იქნება, კურდღელი თუ პატარა ზღარბი,
მაგრამ ჩვენს მამალს შიშმა დასცა ისეთი მეხი,
რომ საწყალს არცკი მოუცვლია უბრალოდ ფეხიც.

მაგრამ აქ მისდა გასაოცრად ცბიერმა მელამ
სიტყვა თქვა რაღაც უჩვეულოდ რბილად და ნელა:
„ბატონო ჩემო, რამ დაგაფრთხოთ, — როგორ მეგონა
ასე გულცივად მიმიღებდით ძმას და მეგობარს.
განა აქ მოსვლას გავბედავდი ეს რომ მცოდნოდა,
მაგრამ ვიფიქრე სიბერეში, მოდი, ოღონდაც,
სირინოზთ ხმასთან მოპაექრე და მოკამათე —
მისი ტკბილი ხმა გამაგონა და მომკლა-მეთქი.
მერე ვით გალობთ, რა გრძნობით და რა გატაცებით,
ან რა ტემბრი გაქვთ, რა რიტმები და კადანსები,
ძვირფასო მილორდ, დედათქვენმა და მამათქვენმა
იცოდნენ ჩემი ალტყინება და გატაცება
და ხშირად თვისთან მიმიწვევდნენ ხოლმე მსმენელად,
და სტუმარს პატივს არ მაკლებდნენ, მოგეხსენებათ,
მეც გამეგება სიმღერისა, მგონი, ცოტა რამ
და სადაო და საკამათოც არა გვქონდა რა“...

ველარ გაუძლო შანტეკლერმა ეგოდენ ხოტბას,
მოლლვა ვით ცვილი და ვით თაფლი თანდათან მოტკბა,
ბოლოს ჰკუაზე გადასულმა გაშალა ფრთები
და დავიწყების ბანგს მიეცა არსებით მთელით.
ეჰ, შანტეკლერი კი არა და მოთნეს და მლიქვნელს
წარუწყმედია ხშირად დიდნი მეფენიც იქნებ,
შხამს სინამდვილის მბრძანებელნი რამდენჯერ ჰარბად
ამჯობინებდნენ სიცრუის და ტყუილის შარბათს,
ეკლეზიასტეს შეგონება — ერიდე ქლესას —
ვინ შეისმინა და რომელმა მიიღო წესად
და შანტეკლერმა მოიღერა გალობად ყელი,
მინაბა თვალნი, ბწკალზე შედგა, გამართა წელი
და როცა ზეცას მიაწვდინა ყივილი გაბმით,
მაშინ ის, ამ წუთს ვინც ელოდა ,ლოდინით ხარბით —
უცბად მივარდა, ჩაეჭიდა კბილებით კისერს,
ზურგზე მოიგდო და ცუნცულით გასწია ტყისკენ.

.მაგრამ უყურეთ ეს ამბავი როგორ დასრულდა —
ჩვენმა მამალმა მომაკვდავმა და გულწასულმა,
ბოლოს როგორღაც მოიხედა, გულიც მოეცა
და განილვიძა მით ნუგეშმაც უსათნოესმაც.
გახედა, შორით გამორბოდა ხალხი საშველად
და ხსნის იმედმა იგი მორთო და დაამშვენა:
„მე თქვენს ადგილზე, ღირსეულო, — მაშინ მამალმა

# სტუმარ-მასპინძლობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პაატა გუგუშვილი

მოგონება

ჩვენს სასიქადულო მწერალ-აკადემიკოსთან, კონსტანტინე გამსახურდიასთან დიდი ხნის მეგობრობა მაკავშირებს. ადრინდელ ნაცნობობაზე თუ არაფერს ვიტყვით, ჩვენი ახლო მეგობრული ურთიერთობა დაიწყო 1934 წლის აგვისტოდან, როდესაც კონსტანტინემ, აწ განსვენებულმა ჩვენმა საერთო მეგობარმა გიორგი გამყრელიძემ და მე ერთად ვიმოგზაურეთ თუშ-ფშავ-ხევსურეთში.

იმ დროიდან მეც და ჩემს ოჯახსაც კონსტანტინე უახლოეს და უსაყვარლეს ადამიანად მიგვაჩნია.

მაინც, ისე მოხდა, რომ კ. გამსახურდიაზე მე დღემდე საჯაროდ არაფერი მითქვამს, არც დამიწერია.

აწ განზრახული მაქვს აღვწერო მასთან ურთიერთობის და კერძოდ მისი ცხოვრების შესახებ ჩემს მეხსიერებაში შემორჩენილი მნიშვნელოვანი მოვლენები.

ახლა ამათგან მარტოოდენ ერთ პატარა ამბავს მოგიყვებით.

კონსტანტინეს თაოსნობით მოწყობილი ხსენებული მოგზაურობა, ჩვენი უაღრესად დაჭიმული ფინანსური ბიუჯეტისა და თავისუფლად გაჭიმული დროის ბიუჯეტის ფარგლებში, თითქმის ერთი თვე გრძელდებოდა.

ქ. დუშეთში ჩავედით რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის, გერმანე მგალობლიშვილის მიერ ნათხოვები ავტომობილით.

ნამდვილად თავგადასავლური ექსპედიცია სწორედ აქედან დაიწყო. იმ დროს საკმაოდ პურძვირობა იყო. ქალაქის რესტორანში ჩვენთვის სადილად შეეძლოთ გაეკეთებიათ მხოლოდ ერბოკვერცხი. რაკი სხვა არაფერი გაქვთ, 50 კვერცხის ერბოკვერცხი გააკეთეო, შეუკვეთა კონსტანტინემ. საქმე ისაა, რომ ჩვენს რუკზაკებში ჩალაგებული სურსათ-სანოვაგისა და კონსერვებისთვის ჩვენ ჯერ ხელი არ უნდა გვეხლო.

სანამ სადილს მოგვიმზადებდნენ და სუფრა გაიშლებოდა, ჩვენ ქალაქში გავისეირნეთ.

მერმე კონსტანტინემ გაიგო, რომ 3 კაცის მიერ ამდენი ერბოკვერცხის განადგურების ამბავი მალე მთელ ქალაქს მოსდებოდა და ერთი მითქმა-მოთქმა ატეხილიყო. ეტყობა ბევრი ფული აქვთ, როგორ გაფლანგონ არ იციანო...

დუშეთში ღამე სასტუმროში გავათენეთ. სასტუმროს დირექტორი ძია გრიგოლი ფრიად კოლორიტული ადამიანი აღმოჩნდა. ეს სახლი მისი ყოფილა. ჩამოურთმევიათ და თვითონ კი დირექტორად დაუნიშნავთ.

ძია გრიგოლმა ხუმრობით გვითხრა: „ფაქტიურად სახლიც (სასტუმროც) ჩემია და დირექტორიცა მქვია, ბოლშევიკებმა დამაწინაურესო".

უშველებელ ტაფაზე შემწვარი ერბოკვერცხის ამბავი ძია გრიგოლსაც გაეგო და გვისაყვედურა, რატომ მე არ დამპატიჟეთ სადილათო. გვითხრა, საერთოდ ნუ დამერიდებით მაგისთანებში, თქვენისთანა სტუმრები არავინა მყავს და ამიტომ ჩემი მოვალეობაა თქვენ გახლდეთო: ცხადია, ეს დიდი პატივისცემის გამოცხადება იყო.

ბარისახოში წასასვლელად ცხენები დუშეთში ვიქირავეთ. კონსტანტინე, ვითარცა გამოცდილი ცხენენჯი, როგორც აქ, ისე ბარისახოში, სადაც უკვე ხევსურული ცხენები მოგვიყვანეს, — ყოველ ბედაურზე შეჯდებოდა, გააჭენ-გამოაჭენებდა; ასევე უნაგირს, აღვირს, უზანგს და ყოველ სხვა აღკაზმულობას კარგად და დაკვირვებულად შეამოწმებდა და მხოლოდ მერე ჩვენ შემოგვთავაზებდა; თანაც შეჯდომისას მოგვეშველებოდა ხოლმე.

მაინც, ისე მოხდა. რომ ერთი ცხენი ცალთვალა აღმოჩნდა. ფშავის არაგვის ვიწროებში ციცაბოზე გაყოლებული ბილიკიდან ის მდინარეში გადაიჩეხა, მხედარიც გადაიყოლა და კინაღამ დაგვემტვრა მეგზური, რომელსაც მთელი ჩვენი ფულადი ავლადიდება ებარა.

საშველად რომ მივვარდით, ლამის ყველანი წყალში გადავცვივდით, თანაც ისეთ ჩქერალში, რომ ადამიანი თავს ძნელად თუ შეიმაგრებდა.

ჩვენი მეგზური ლიქოკელი ჩაჩაური ბრგე, ზორბა ვაჟკაცი იყო და პატარა ხევსურულ ცხენზე არც ისე კარგად მორგებული მხედარი ჩანდა. ის, როგორც თვითონ გვითხრა, მთავრობის რწმუნებული იყო ხევსურეთში, მას უშველებელი სატევარი ეკიდა და ნაგანიც გვერდს უმშვენებდა.

პირველი შესვენება მაღაროსკარში გვქონდა. აქ სოფლის სკოლაში, მასწავლებლის ოჯახში, ღამე მოვისვენეთ და მეორე დღეს ბარისახოსკენ გავუდექით გზას. აქედან უკვე ვესტუმრეთ საკუთრივ ხევსურულ სოფლებს, რაც ჩვენი დაკვირვების საგანი იყო.

ჩვენი ექსპედიციის პროგრამა ფრიად ნებისმიერი იყო. არსებითად გარკვეული გეგმა მუშაობისა არც გაგვაჩნდა. ვისაც სად რა მოეპრიანებოდა, იმას აკვირდებოდა და სწავლობდა. თანაც ისე იყო გამიზნული, რომ აქ მოცალეობის სილაღე და საქმიანი დრო ერთმანეთში ითქვიფებოდა.

კონსტანტინეს ყოველთვის, ყოველი შეჩერებისას და ზოგჯერ გზაშიაც მომარჯვებული ჰქონდა კალამი და ათას რამეებს იწერდა; ის განსაკუთრებით დიდ ინტერესს იჩენდა სიტყვისადმი, თუ რას რა ჰქვია და როგორ გამოითქმის ზუსტად ესა თუ ის სიტყვა.

ხშირად რამდენჯერმე გაამეორებინებდა და მერმე კიდევ სხვა სოფლებში, ანდა იმავე სოფლის სხვა კუთხეშიც ამოწმებდა ერთხელ უკვე ჩაწერილ სიტყვას, როგორც გამოთქმის, ასევე მნიშვნელობის (შინაარსის) თვალსაზრისით.

დიდ ყურადღებას აქცევდა სინონიმებს, იდიომებს, ომონიმებს; გულმოდგინეთ იწერდა ლექსებს, ანდაზებს, შელოცვებს, კაფიებს; ინიშნავდა შრომის იარაღების, ტანისამოსისა და მისი ნაწილების, მრეწველობის თუ სოფლის მეურნეობის პროდუქტების, ფლორის, ფაუნის ელემენტთა სახელებს.

ამას გარდა, იწერდა ოჯახურ, ნათესაურ და მოყვრულ ურთიერთობათა და დამოკიდებულებათა ამსახველ სიტყვებს, ონომასტიკურ, ტოპონიმიკურ სახლებს, ნადირ-ფრინველთა და ნადირობის იარაღთა სახელებს...

ერთხელ, ხახმატში, პურობის დროს კონსტანტინე ჩვენს მასპინძელს წამდაუწუმ ეკითხებოდა ამას რა ჰქვია, იმას რა ეწოდება. ეგ რა რის და სხვა; ბოლოს, ხევსურმა ვერ მოითმინა და უპასუხა: ყველაფერს რაც სუფრაზეა, საჭმელ-სასმელი ჰქვია... ჯერ დავნაყრდეთ და მერე ვიმასლაათოთო.

ამ სიტყვებით მასპინძელმა ჯიხვის მოზრდილი რქა აიღო: ამას კი ყანწი ჰქვიან ჩემო ბატონოო და შიგ დიდი თუნგიდან ლუდი ჩაუშვა და სავსე სასმისი კონსტანტინეს გაუწოდა.

— იახში ოლ! — აბა სხვა რა ითქმოდა სტუმართმოყვარე მასპინძლის გამოწვევაზე.

საჟურნალო და საგაზეთო სტატიებს რომ თავი დავანებოთ, ამ დროს მე ხუთიოდე წიგნის ავტორი ვიყავი და ზოგი ამ წიგნის ხელნაწერზე მომისმენია ივანე ჯავახიშვილის, ნიკო ნიკოლაძის, ფილიპე გოგიჩაიშვილის, გერონტი ქიქოძის შენიშვნები. მაგრამ საკუთრად სიტყვაზე კონსტანტინე გამსა-

---

მიუგო მელას, — თავს ვიგრძნობდი უფრო თამამად
და ამ უსაქმო ხალხს ასეთის თავგამოდებით,
რომ დაგედევნა და თან ეჭვი მცირეოდენიც
არ ეპარება დაჭერაში, მე თქვენს ადგილზე
რაღაც საკადრისს მივუგებდი ამ უმაქნისებს.
ანდა ვიდრემდის სოროს ხვრელში შევაყოლებდი,
მათ უმწეობას სიტყვით მაინც შევაგონებდი".
„თქვენ მართალს ბრძანებთ", — თქვა მელიამ, მაგრამ იმ წამსვე
სიტყვებთან ერთად დაუვარდა მსხვერპლიც მიწაზე,
ხოლო ჩვენს საწყალ მამალს მეტიც აღარ უნდოდა,
შეხტა ხეზე და გადმოხედა დუშმანს უნდობლად...
ახლა კი მიხვდა როგორ შეცდა და ქურდბაცაცამ
ნერწყვი ჩაყლაპა და კბილები აუკაწკაწდა,
მაგრამ მსხვერპლს მაინც გაუღიმა: „ჩემო ძვირფასო,
არ მინდა თავი დავიმცირო და გავიმასხრო,
ვიცი, რომ ცუდად მოგეპყარით, მაგრამ მერწმუნეთ
ვერ მიგიწვევდით სტუმრად სახლში, თუ არ მხეცურებ,
არ მენდობოდით — ახლა მხოლოდ გვედრით შენდობას,
ჩამობრძანდით და ერთურთს ვენდოთ აწ და შემდგომაც".
„რას ბრძანებთ, თქვენ რომ დაგიჯეროთ აწ, მელავ ჩემო,
დედლებმაც უნდა მომაფურთხონ და შემაჩვენონ,
თქვე მართლა ტაკი-მასხარა და ქვეყნის ოხუნჯო,
ხომ არ გსურთ ისევ ვიმღერო და თვალი მოვხუჭო,
ამ ქვეყანაზე ყველა ბრმა და ყველა უქნარა
ჩემებრ დასაჯოს ჭეშმარიტად უნდა უფალმა".
„არა, გეთაყვა, მხოლოდ მას სჯის ღმერთი უფალი,
ვის ჩემებრ უყვარს მუსაიფი და საუბარი", —
თქვა და სოროსკენ გაცუნცულდა მშიერი მელა.
ამ არაკიდან ერთი რამე შევიგნოთ ყველამ:
ნდობა ყოვლისა არ ეგების, უფრორე ქლესას, —
ის სიტყვას ხმარობს ავისა და ბოროტის თესვად.

ინგლისურიდან თარგმნა
გიორგი ნიშნიანიძემ.

სურდიას მუშაობის ანალოგიური დაკვირვება ჩემთვის აქამდე თითქმის უცნობი იყო...

მე სავსებით ახალი შთაგონების, უკიდეგანო სიტყვიერი სიმდიდრის ათვისების ისეთსავე ახალ გზაზე მივაბიჯებდი, როგორიც თვით ხევსურეთის გარემო, ადამიანები, მათი ყოფიერება და მორალური სამყარო იყო ჩემთვის — ცნობილი და მაინც მრავალმხრივ უცნობი...

სოფელ ხახმატს ფრიად დაღლილებმა მივაღწიეთ.

კონსტანტინე თავდაპირველად ფრიად რომანტიკულ გუნებაზე იყო და საოცარი ფერებით გვიხატავდა იმ სიამოვნებასა და ტკბობას, რაც ჩვენ ხევსურეთში მოგზაურობით უნდა მიგვეღო.

— ჩვენ ახლა ნამდვილად შუასაუკუნეებრივ საქართველოში მივდივართ. ჰერბერტ უელსისებური „დროის მანქანის" გმირები ვართო.

თანაც ჩვენ, ახალგაზრდებს, ფრიად გვიტაცებდა სწორფრობისა და წაწლობის ამბავი, ხევსურეთის სხვადასხვა წეს-ჩვეულებანი, რომელთა შესახებ გიორგი თევდორაძის წიგნი და ზოგი სხვა რამ ჩვენთვის, ცხადია, ცნობილი იყო.

ფშავ-ხევსურეთში ჩვენი მოგზაურობა საკმაოდ გრძელი ამბავია და აქედან ახლა მხოლოდ ერთ ეპიზოდზე შევჩერდები.

ესაა სოფ. ხახმატში კონსტანტინეს ფარიკაობის ამბავი.

საღამოს დაღლილ-დაქანცულებმა ადრე დავიძინეთ. როგორც კი ინათა, ფეხზე ვიყავით.

დილას დავნაყრდით თუ არა, ჩვენი მასპინძლის მოზრდილი სახლის ბანზე გამოვედით.

ღამის ნაწვიმარზე სუფთა ჰაერი და თბილი მზე ძლიერ გვეამა. მალე ხალხიც მოგროვდა. ჩვენს სანახავად მოდიოდნენ ქალ-ვაჟნი, ხანდაზმულნი, მოხუცნი, ბავშვები.

ზოგიც ახალ ტანისამოსში და იარაღასხმული მოვიდა, ჯაჭვის პერანგები ეცვათ, ფარებით, მუზარადებით, ჩაჩქნებით, მშვენივრად გამოწყობილები იყვნენ.

მაგრამ ჩვენი ყურადღება უფრო მიიპყრო დიდმა სატევრებმა და განსაკუთრებით ძველმა ხმლებმა.

ერთი ხმლის პირზე — ვადასთან, იკითხებოდა ვენეციელი ოსტატის სახელი. ეტყობა ჯვაროსანთა მოლაშქრის ნაქონი იყო იგი და აქ 8-9 საუკუნე შემონახულა.

იარაღი საერთოდ დაფერილი და კარგად მოვლილი ჰქონდათ.

ახალგაზრდებმა ფარიკაობა, კენჭაობა წამოიწყეს. სასიამოვნო საყურებელი იყო. უფრო მარჯვედ ვინც ხმალს იქნევდა და ფარს ფარობდა, მოწონების შეძახილებით აქეზებდნენ...

როდესაც ორი მოპირდაპირე ძლიერ შეხურდა და მეტისმეტი გაცხარება შეატყვეს, ერთი ჭარმაგი მოხუცი შუაში ჩაუვარდა და გააშველა.

— გეყოფათო, — და ჩვენ შემოგვხედა... სტუმრებისადმი მორიდების საჭიროებაზე მიანიშნა, ალბათ.

ამ დროს კონსტანტინემ სურვილი განაცხადა, მეც მომეცით ხმალი და ფარი და ვინმესთან გამაკენჭავეთო.

როგორც ჩანს, მოეწონათ და იმწამსვე მას საუკეთესო ფარი და ხმალი მიართვეს.

კონსტანტინე შეიკაზმა და რამდენიმეჯერ ხმალი ჰაერში გააშხუილა.

— აბა ვინ გამოვა!

ხევსურებმა ღიმილით ყურება დაუწყეს. არავინ არ გამოდიოდა... ბოლოს ერთმა ახალგაზრდამ წამოიწია, მაგრამ ის შეაჩერა... წიქამ.

წიქა კარგად მოსული მწითური იერის ჭმუხა, ჩასკვნილი ვაჟკაცი იყო. 40 წელს გადაცილებული იქნებოდა. თავზე დიდი ბოხოხი ეხურა და გრძელი ხევსურული შალის პერანგი ეცვა.

მას ჩვენ უკვე კარგად ვიცნობდით, როგორც მელექსეს. წინა საღამოს რამდენიმე ლექსი წარმოთქვა და ძლიერ მოგვეწონა. კონსტანტინე მას ლექსში გაეჯიბრა... საბოლოოდ, ჩვენ წიქა ჩავთვალეთ ლექსის ამ ტურნირზე გამარჯვებულად.

მას რაღაც სხვანაირი, არა იმდენად მქუხარე, რამდენადაც მოდუდუნე ხმა ჰქონდა, თითქოს რაღაცნაირი შორეული ღრმულიდან მოდიოდა ვაჟკაცობის, მუქარის, მუდარის, სიყვარულის, შეტევისა და შემართების მაუწყებელი გრძნეული ძღერადობის ხმა...

და, აი ახლა ამ დილასაც წიქა წამოიმართა. ფარხმალი აიღო და მოედანზე გავიდა. ისე გავიდა თითქოსდა ლექსები უნდა გვითხრასო. გავიდა და იარაღმომარჯვებულმა დაიჩოქა. რატომ, რა აზრით დაიჩოქა? ვერ გეტყვით...

კონსტანტინე მოემზადა და მანაც პირისპირ დაიჩოქა.

ასე დაიწყო ფარიკაობა, ჯერ ურთიერთის მოსინჯვა იყო იგი, რაც დიდხანს არ გაგრძელებულა.

მალე ფეხზე წამოიჭრნენ და კვეთებამ უფრო ცოცხალი ხასიათი მიიღო. ფარებისა და ხმლების ჟღარუნი ძლიერდებოდა.

კონსტანტინემ ერთბაშად ნაბიჯი წინ წასდგა და ძლიერად აუკრა ხმალს ხმალი, ისე ძლიერად, რომ ჩანს, წიქასთვის ეს მოულოდნელი რამ იყო და მას ხელიდან ხმალი გაუვარდა. (შემდეგ, კონსტანტინემ მითხრა — ფარიკაობის ეს ილეთი ვიღაც სპეციალისტმა მასწავლაო უცხოეთში).

დიახ, წიქას ხმალი გაუვარდა. ბავშვებმა სიცილი დააყარეს. წიქამ სირცხვილი ჭამა მათს თვალში.

კონსტანტინემ უკან მოიხედა. დაიხია და, ჩანდა, ფარიკაობა ამით უნდა დამთავრებულიყო, რომ...

წიქას ადგილიდან გაავებულმა არსებამ ისკუპა. ხმალს სწვდა, ფარი განზე მიაგდო და დაიჭექა:

— გამიმაგრდი, ჯაბანო კახო!

ხევსურები ალაზნის გაღმიდან გადმოსულ ქართველებს ხშირად კახს (კახელს) უძახიან.

წიქას თვალები არწივისას, გახელება ვეფხისას ჰგავდა.

წუთი და ადვილად შეიძლებოდა უბედურება დატრიალებულიყო.

კონსტანტინემ ელვის სისწრაფით მოისაზრა, რომ ახლა მის ხელში ხმალი უხმარი იარაღი შეიქმნა, რევოლვერი მოიმარჯვა და ომახიანად შესძახა:

— წიქა გაჩერდი, თორემ გაგათავე!

თვალის დახამხამებაში წიქას განიერ გულმკერდს კიდევ ერთი რევოლვერი დაემიზნა...

რაღაც საოცარმა ძალამ წიქა მართლაც გააჩერა...

მან თითქოს იქაურობას გადახედა და ასაფეთქებლად შემზადებული წიქა წამიერად გახევდა...

სამარისებური სიჩუმე, გაფართოებული თვალები... ასამოძრავებლად ატანილ ადამიანთა სხეულის დაჭიმულობაში მოუთხრობელი მოლოდინის წუთი წყდებოდა...

...მაინც, ცხადი იყო, წიქას არც რევოლვერებისა და არც მისკენ შემართული ხალხისა არ შეშინებია. იქნებ მას არცკი შეუმჩნევია ესენი...

წიქაში უ მ ა ლ მ ა ს პ ი ნ ძ ე ლ მ ა გაიმარჯვა. ჩვენ მისი სტუმრები ვიყავით. აქ, ამ ტრადიციაში, რკინის კანონი სუფევდა.

კონსტანტინე მის თვალში მასავით მელექსე და უთუოდ მისი საპატიო ს ტ უ მ ა რ ი და მ ე გ ო ბ ა რ ი იყო.

წიქამ ხმალი ძირს დაუშვა. ვიღაც წამოეშველა და აართვა? — არა, გამოართვა!

მოპირდაპირეთა თვალები ერთმანეთს შეხვდა... ეს უკვე არ იყო მტრული გამოხედვა. მათ ენერგიულად ჩამოართვეს ურთიერთს ხელები.

კონსტანტინემ წიქას მარცხენა ხელით მხრებზე მიუალერსა.

კენჭაობა ამით დამთავრდა...

იმ დღეს, სამიოდე სოფლის შემოვლის შემდეგ, ჩვენ კვლავ ხახმატში დავბრუნდით. საღამოს წიქას ლუდობა ჰქონდა.

...ლექსში შობილი და ხმალში წრთობილი მეგობრობა თბილი ლუდით სავსე ყანწებში ინათლებოდა...

ილია ხოშტარია

## ვ ე დ რ [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ აშრიალებს ნაადრევ ფოთლებს
დალამდა ცაზე ანთია მთვარე.
მაინც არ ვიცი რატომ მაშფოთებს
ოქროსფერი და შუქმომფინარე.

უხვ ნაზ ფერებში დინჯად ვიდოდა,
ყრმობის დროსაც ხომ ასეთი იყო...
ასე ულმერთოდ, რაღა უნდოდა
ახალგაზრდობის დღენი წაიღო.

პირველი ტრფობა ეგზომ ნამდვილი,
ჩემს არსებაში ვგრძნობდი სულ იყო,
იმ სანეტარო წლების აჩრდილი
სადღაც ხსოვნაში ჩაკარგულიყო.

მაგრამ ო, არა მას ვერვინ შეცვლის,
იმ წუთს ვლოცულობ, ფიქრი გამანდობს,
და სიყვარულის ახალი ცეცხლით
მზეს ვევედრები ისევ ამანთოს.

შემოქმედების უშრეტო წყაროვ,
კვლავ გამინათე წუთისოფელი!..
ჩემი ცხოვრების მზიანო დარო,
მე შენგან მხოლოდ ამას მოველი!..

## გამარჯვებულნი

როს ჭადარი აშრიალდა
გულზე ფიქრი მომესია:
ვაჰ თუ ჩაქრეს სიმღერა და
სულს ჩამწვდენი პოეზია.

გაზაფხულდა, მკერდი ლაღად
ვაუხსნია მიწის წიაღს,
თითქოს ისმენს გულის ლაღადს —
ჩემი ბედი არ გამწირავს.

გამკრთომია თვალზე რული,
ისევ მხნედ ვარ, აღარ ვწუხვარ,
ჩემი ხალხის სიყვარულით
ჩამეღვარა სითბო უხვად.

უსასრულო ცის სივრცეში
გარინდული დგანან მთები,
არწივს მაღლა ლაჟვარდებში
გაუშლია მძლავრი ფრთები.

ყვავილებში ხელებს ვურევ,
მოვესწარი თოვლის დნობას,
მიხარია, რომ ვუყურებ
მცენარეთა კვირტის სკდომას.

არ მიიღოთ სიტყვა კვეხნად,
ადუღაბეთ არსებობა,
ჭაბუკებო, ახლა თქვენ ხართ
ჩვენი ქვეყნის სახოება.

მწვერვალები ახლოს მოჩანს,
რომ გიცქერით ამღერებულთ.
დე, ოქტომბრის დიდი დროშა
წინ გიძღოდეთ გამარჯვებულთ!

# ხელოვანი და მოქალაქე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამია დუდუჩავა

საქართველოს სახალხო მხატვარს, თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორს ლადო გრიგოლიას წელს რუსთაველის სახელობის პრემია მიენიჭა.

ლადო გრიგოლია მეტად პოპულარული ხელოვანია. მას იცნობს არა მარტო სახვითი ხელოვნების მოყვარული, არამედ ლიტერატურისაც, საერთოდ ყველა, ვისაც წიგნი უყვარს. მართალია, ასეთი ფართო პოპულარობის მოპოვებას თვით წიგნის გრაფიკის დარგში მუშაობაც უწყობს ხელს, მაგრამ ისიც ელემენტარული ჭეშმარიტებაა, რომ ეს ჟანრი თავისთავად არასოდეს არ გვევლინება როგორც ასეთი სახელგანთქმულობის არსებითი ფაქტორი. უწინარეს ყოვლისა, აუცილებელია იყო ჭეშმარიტი ხელოვანი, წიგნის მხატვრული სახემოსილების შთაგონებული და დიდი მასშტაბის ოსტატი. ლადო გრიგოლია ქართული მხატვრული შრიფტის, საერთოდ წიგნის გრაფიკისა და გრაფიკული პორტრეტის მაღალი კლასის შემოქმედია, ამასთან, შესანიშნავი მოქანდაკეც და უკვე დიდად ღვაწლმოსილი პედაგოგიც.

ლადო გრიგოლია წელს 70 წლის ხდება — დაბადებულია 1903 წელს, აბაშის რაიონში. 1924 წელს მან დაამთავრა ბათუმის ჰუმანიტარული ტექნიკუმი. იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტზე. ბუნებისადმი განსაკუთრებული სიყვარულის გამო მეტყევე სურდა გამოსულიყო. მაგრამ მას მეორე მიდრეკილება თუ მოწოდებაც აწვალებდა: ეს იყო მისი უფროსი ძმის სილიბისტროს გავლენით აღძრული სიყვარული ხატვისადმი. თბილისში ახლად დაარსებული სამხატვრო აკადემიის გაცნობამ კიდევ უფრო გააძლიერა ჭაბუკში ეს ძმისეული შთანაგონები.

და აი, 1925 წელს მეტყევე-აგრონომი საბოლოოდ დაამარცხა ხელოვანმა — ლ. გრიგოლია თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტი ხდება. თავდაპირველად იგი ქანდაკების ფაკულტეტზე შედის, სადაც ბოლომდის ი. ნიკოლაძის ხელმძღვანელობით მეცადინეობს. ერთი წლის შემდეგ გრაფიკის ფაკულტეტის სტუდენტიც ხდება. აქ კი მას ხატვას ჯერ პროფ. შარლემანი, ხოლო შემდეგ გამოჩენილი რუსი მხატვარი პროფ. ლანსერე ასწავლიდა. ქანდაკების ფაკულტეტი ლ. გრიგოლიამ დაამთავრა 1929 წელს, ხოლო გრაფიკის — 1930 წელს.

ჩვენი საზოგადოებრიობისათვის ნაკლებ ნაცნობია ლადო გრიგოლია როგორც მოქანდაკე. ამიტომ სჯობს სწორედ მისი შემოქმედების ეს ზოგადი დახასიათება აქედან დავიწყოთ.

ლ. გრიგოლია, რომელიც განსაკუთრებული წარმატებით ამთავრებს ქანდაკების ფაკულტეტს, თავის პირველ მნიშვნელოვან სკულპტურულ ნაწარმოებად თვლის 1931 წელს შექმნილ იოსებ სტალინის პორტრეტს. ეს პორტრეტი გამოფენილი იყო 1932 წელს.

ლ. გრიგოლიას სკულპტურული ნაწარმოებებიდან ამჟამად მხოლოდ რამდენიმეა დაცული. მათ შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს „შ. რუსთაველი მოხუცებულობაში“ (შექმნილია 30-იანი წლების პირველ ნახევარში). იგი ესკიზია, მაგრამ გარეგნულად სავსებით დამთავრებული ხასიათისაა. ეს იმიტომ, რომ იგი ესკიზია არა ჩვეულებრივი გაგებით, არამედ თვით მხატვრის თვალსაზრისით. იგი უდავოდ მაღალი ღირსებით ხასიათდება. ჩვენი აზრით, აქ გენიალური პოეტის შინაგანი სამყარო არსებითად მიგნებულია. ერთი სიტყვით, იგი მეტია, ვიდრე ხელოვანი ფიქრობს მის შესახებ. მას ახლა სჭირდება გაშლა, პლასტიკური დამუშავების დამთავრება, გარეგნული შესატყვისობის დაზუსტება, დამკვიდრებულ გამოსახულებასთან მიახლოება. ჩვენ, ცხადია, ამ შემთხვევაში მხედველობაში არა გვაქვს ფერადი ფრესკული პორტრეტი, რადგან იგი როგორც დიდი მგოსნის სახე და როგორც ხელოვნების ქმნილებაც, უსუსურია.

ვინც ი. ნიკოლაძის „ჩახრუხაძეს“ და ზოგ სხვა ნაწარმოებს იცნობს, მან არ შეიძლება არ შეამჩნიოს ლ. გრიგოლიას ამ ნაწარმოების ნათესაობა მათთან. განსაკუთრებით ეს ითქმის შუბლისა და, საერთოდ, პირისახის ზედა ნახევრის წარმოსახვის შესახებ. ეს მსგავსება სავსებით გასაგებიცაა: როგორც ვთქვით, ლ. გრიგოლია, როგორც მოქანდაკე, იაკობ ნიკოლაძის სკოლას ეკუთვნის; თუმცა, მოსალოდნელი ცალმხრივი გაგების თავიდან ასაცილებლად, აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ ლ. გრიგოლია თავის მასწავლებელთან განსაკუთრებით მიახლოვების შემთხვევებშიც კი ყოველთვის ხასიათდება მკვეთრად გამოხატული შემოქმედებითი ინდივიდუალობით.

სხვათა შორის, ი. ნიკოლაძე განსაკუთრებით მაღალი აზრის იყო მასზე, როგორც მოქანდაკეზე. მისგან არაერთხელ მომისმენია სინანული იმის გამო, რომ ასეთი უაღრესად ნიჭიერი ხელოვანი როგორც თავისი მასწავლებლის, ისე თვით ქანდაკების მოღალატე გამოდგა — უმთავრესად გრაფიკას შეაფარა თავი. და მართლაც იგი ძირითადად გრაფიკის დარგში მუშაობდა და მუშაობს ამჟამადაც.

* * *

ლადო გრიგოლიამ დიდი ამაგი დასდო ქართული მხატვრული შრიფტის განვითარების საქმეს.

ჯერ კიდევ აკადემიაში სწავლის პერიოდში, 1928 წელს, დაიწყო მან ქართულ შრიფტზე მუშაობა. თავდაპირველად იგი სწავლობს ქართული დამწერლობის განვითარებას, ხოლო ამ საფუძველზე — ამ დამწერლობის თავისებურებას. პარალელურად მუშაობს ქართულ ე. წ. აკადემიურ შრიფტზე. ამ შემთხვევაში იგი ემყარებოდა გეომეტრიულ პრინციპს — კვადრატული ჩანახატების მოშველიებით ქმნიდა ქართული ასოების ზუსტ და პროპორციულ მოხაზულობას. ამ შემთხვევაში იგი განიცდიდა დიურერის ე. წ. „შრიფტის კანონის“ გავლენას.

ამ აუცილებელი ეტაპის დამთავრების შემდეგ ლადო გრიგოლია ამუშავებს ქართულ მხატვრულ შრიფტს.

გრაფიკული ხელოვნების ეს ჟანრი ჩვეულებრივი შრიფტის (დამკვიდრებული დამწერლობის) მხატვრული სახემოსილებით წარმოსახვაა. იგი უნდა იყოს მიმზიდველი, სწრაფად აღქმადი, მხატვრულ-ესთეტიკური ღირსებით ამაღლებული, ემოციური და შთამბეჭდავი. ამიტომ მას ჩვეულებრივი შრიფტის ხასიათისა და მოხაზულობის შეცვლა კი არ უნდა ახასიათებდეს, არამედ პირიქით — კიდევ უფრო სრულყოფა, გამკვეთრება, ხაზგასმა, გამძაფრება, უფრო ნათელი და გამომეტყველი გამოვლენა. მისი დასაყრდენი და გამოსახვის ერთადერთი პირველადი საგანია, ერთი მხრივ, ის რაც ეროვნული დამწერლობის საერთო განსაკუთრებულობას შეადგენს, ხოლო მეორე მხრივ, ის, რითაც მოცემული დამწერლობის ყოველი ასო განსხვავდება ამავე დამწერლობის სხვა ასოების გრაფიკული მოხაზულობისაგან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მხატვრული შრიფტი არსებითად ფუნქციური ხელოვნებაა, რის გამო იგი თავისი არსით გაცილებით უფრო ახლოს დგას პორტრეტთან, მეტიც, არქიტექტურასა და გამოყენებითი ხელოვნების სხვა დარგებთან, ვიდრე, მაგალითად, დაზგურ გრაფიკასთან ან მხატვრობასთან საერთოდ.

რეალისტური მხატვრული შრიფტის ეს კანონზომიერება, შესანიშნავი, ჭეშმარიტად მაღალი კლასის ოსტატობით და მკვეთრი შემოქმედებითი ინდივიდუალობით არის გამოხატული გრიგოლიას მიერ შექმნილ შრიფტში. იგი ბრწყინვალედ ჩაწვდა ქართული შრიფტის საიდუმლოებას და მისი გარდასახვა, ეროვნული დამწერლობისა და ორნამენტიკის ტრადიციების შემოქმედებითი გამოყენებით, გარკვეული მხატვრული პრინციპის, კანონის დონემდე აამაღლა. მისი ეს დამსახურება განსაკუთრებით მკვეთრად ჩანს ახლა, როდესაც ქართული შრიფტი, ზოგი ახლის ძიებით გატაცებული გრაფიკოსის თუ გრაფიკის მოყვარულის ნამუშევრების სახით, სრულიად აცდა თავის ნამდვილ გზას, განვითარების რეალისტურ გზას: ქართულმა ანბანმა არა მარტო თავისი განსაკუთრებულობა, სპეციფიკა დაკარგა, არამედ ველარც ვცნობთ მათ, ვერ ვკითხულობთ — დიდხანს უნდა იმარჩიელო, რომ ამოხსნა: ვინ არის ავტორი ან რა ეწოდება წიგნს.

ქართული მხატვრული შრიფტის ასე წარმატებით დამუშავებამ, რა თქმა უნდა, დიდად შეუწყო ხელი მხატვრის წარმატებებს წიგნის გრაფიკის დარგში. უწინარეს ყოვლისა, აუცილებელია აღინიშნოს ის გარემოება, რომ გრიგოლიასთვის წიგნის გრაფიკული გაფორმება არ წარმოადგენს გარეგნულ ან თავისთავად (თვით წიგნის შინაარსისადმი ნეიტრალურ) სამკაულს: იგი გამომდინარეობს თვით საგნის (წიგნის) არსიდან, ამ უკანასკნელის გრაფიკულ ხაზგასმას, ბუნებრივ ნაწილსა და, შეიძლება ითქვას, ერთგვარ დამთავრებასაც კი შეადგენს. ჭეშმარიტი გრაფიკოსი, თავის უკეთეს ნაწარმოებებში მაინც, წიგნის გრაფიკულ პორტრეტს ქმნის. მაშასადამე, წიგნის გრაფიკულ სახემოსილებას არ უკავშირებს ნებისმიერი ელემენტების უბრალო ჯამს.

აუცილებელია, წიგნის ჭეშმარიტ მხატვრულ გაფორმებაში, ეს ელემენტები შინაგანად იყოს ურთიერთთან დაკავშირებული, ურთიერთიდან გამომდინარეობდეს და მათი მთლიანობაც ასევე ორგანულად იყოს შესატყვისებული თვით გაფორმების ობიექტთან, წიგნთან. ასეთია ლადოს თვალსაზრისიც და ამიტომაა, რომ მისი ნამუშევრები ამ ჟანრში გამოცემის ორგანულ, სტრუქტურულ ნაწილებად გვევლინება.

ლადო გრიგოლია თავის პირველ მნიშვნელოვან ნაწარმოებად გრაფიკის ამ ჟანრის სფეროში თვლის თეიმურაზ პირველის თხზულებათა გაფორმებას (გამოვიდა ა. ბარამიძისა და გ. ჯაკობიას რედაქციით). მხატვარმა იგი შექმნა 1932 წელს და იმ დროისათვის მართლაც უაღრესად საყურადღებო ნამუშევარს წარმოადგენს. შემდეგ უნდა აღინიშნოს 1933 წელს შექმნილი გრაფიკული სახე ი. მჭედლიშვილის „ალექსანდრე ბატონიშვილისა“. აქ კიდევ უფრო ძლიერია მხატვრის წარმოსახვა და შემოქმედებითი ინდივიდუალობაც უფრო გამოკვეთილია. მომდევნო ნამუშევრებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს „ვეფხისტყაოსნის“ 1957 წლის გამოცემა (ლ. ქუთათელაძესთან ერთად), შ. დადიანის „გიორგი რუსი“, ნ. ბარათაშვილის თხზულებანი (საიუბილეო გამოცემა), ი. ჭავჭავაძისა და სხვა ქართველ მწერალთა თხზულებანი, ბიბლიოგრაფიული ნაშრომი „ქართული წიგნი“, ქართული პოეზიის ანთოლოგია ინგლისურ ენაზე, კ. გამსახურდიას „დავით აღმაშენებელი“ და მრავალი სხვა. ბოლო წლების ნამუშევრებიდან კი სწორედ იმ წიგნების გაფორმება გამოირჩევა, რომელთა გამო მხატვარს მიენიჭა რუსთაველის სახელობის პრემია. ესენია: „ვეფხისტყაოსნის“ ინგოროყვასეული აკადემიური გამოცემა (1971 წელი), ვაჟა-ფშაველას „რჩეულის“ ორტომეული (1971 წელი), მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკის 1971-72 წლებში გამოცემული ტომები და გ. ტაბიძის თორმეტტომეული (1972 წ.) ყველა წიგნი გამოცემულია „საბჭოთა საქართველოს“ მიერ.

ხაზისა და კომპოზიციის დიდი გრძნობა, შრიფტისა და საერთოდ წიგნის მხატვრული გრაფიკული სახემოსილების ყველა კომპონენტის შესანიშნავი ოსტატობა, შერწყმული სახეობრივი წარმოსახვისა და ეროვნულობის სიღრმესთან; ამავე დროს, უპირატესად ეპიკურ-მონუმენტური ხასიათი, შავისა და თეთრის საოცრად ემოციური, გამომეტყველი, შთამბეჭდავი შეპირისპირება — აი, ის უმთავრესი ნიშნები, რომლებიც ლ. გრიგოლიას ამ და ამ ჟანრის სხვა ადრინდელ უკეთეს ნაწარმოებებს ახასიათებს. აქ თქვენ ვერ შეხვდებით ვერც ერთ ზედმეტ, მიტმასნილ ან შეუსაბამო დეტალსაც კი, რაც ასე ანგარიშმიუცემლად გვხვდება ზოგ დიდმნიშვნელოვან გამოცემებშიც კი.

# ᲐᲙᲐᲙᲘ ᲒᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ



ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობილ ქართველ პოეტს, პროზაიკოსს და მთარგმნელს აკაკი გელოვანს დაბადების 50 წლისთავი შეუსრულდა. მას დღემდე გამოცემული აქვს 40 წიგნი, აქედან ოცდაერთი ორიგინალური და ცხრამეტი — თარგმნილი. მისივე ნარკვევებით, წინასიტყვაობით, კომენტარებითა და ლექსიკონების დართვით.

აკ. გელოვანმა ქართულ ენაზე თარგმნა გოეთეს, შილერის, ჰაინეს, სტ. ცვაიგის, ვეერთის, ანდერსენის, იბსენის, ლაქსნესის, ბოდენშტედტის, ჰაუფის, შუდერის და სხვათა ქმნილებანი; ამ წიგნებმა მკითხველისა და ლიტერატურული საზოგადოებრიობის მოწონება დაიმსახურეს.

ორიგინალური ნაწარმოებებიდან განსაკუთრებით თვალსაჩინოა „სვეტი ნათლისა", „დაფერფლილი დიდება", „შოპენის გული", „თეთნულდაი" (სვანური მოთხრობები), „სვანური ბალადები" (ლექსთა კრებული), ესეები ტარას შევჩენკოზე, ანდერსენზე, იბსენზე, აგრეთვე მრავალი კრიტიკული წერილი და ნარკვევი.

„დროშის" რედაქცია ულოცავს აკაკი გელოვანს დაბადების 50 წლისთავს და უსურვებს ახალ შემოქმედებითს წარმატებებს.

## ᲔᲜᲒᲣᲠᲰᲔᲡᲘᲡ ᲪᲘᲡ ᲜᲐᲗᲔᲚᲘ

ელიმება კაცთა მოდგმის მფარველ ტიტანს
და ფარ-ხმალი დაუყრია ბებერ ვულკანს;
ბილიკებით ჩამოველი სვანეთიდან —
მატარებლით დავბრუნდები ალბათ უკან.

მთების გულში სძინავს სევდას
ათასწლოვანს,
მეხნაკრავი აქაფებულ წყალში ხტება;
როგორც იქნა, შუქმა ბნელი გადასწონა,
და ჩვენი ხმა არასოდეს არ მიწყდება.

მზე დაჰხარის კაცის ნიჭს და კაცის ღონეს,
ნათელს აფრქვევს ამირანის გულის
ფიცარს,
და მნათობის ღიმილივით აცისკროვნებს
ენგურჰესის ცის ნათელი მშობელ მიწას.

## ᲡᲕᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲥᲣᲩᲐ

მოიგრაგნება შმაგი ენგური —
გზაზე ჯიუტი კამხალებია,
ათასწლოვანი გზაა შეკრული —
რაც ინავარდა, ჩაშხამებია.

ზეცამ დაუთმო ადამიანებს
ცეცხლის გაჩენა და გადარჩენა...
რას არ შეიძლებს, რას არ მიაგნებს
თავისუფალი კაცის მარჯვენა.

ცოცხლობს სვანეთის მთავარი ქუჩა,
ცეცხლებს აჩაღებს ალმოსავლეთი,
რამდენ სინათლეს კარგავდა ფუჭად
მრავალტანჯული ძველი სვანეთი!

მივყვები ახსნილ დევგმირთა შარას,
შუქად ქცეულა ხმა სიმართლისა,
ძმა გასჩენიათ უშბას და შხარას:
სვეტი ნათლისა,
მთა სინათლისა!

## Ლ Ა Გ Ვ Ი Რ Კ Ა

არ დაიწუნო, არ დაიწუნო,
თეთრო ლაგვირკავ, სიმღერა ჩემი!
ბევრმა ურწმუნომ ზურგი გაქცია,
და მე კი შენი ერთგული ვრჩები.

არა ვყოფილვარ აროდეს მწყრალად
ცისა და მიწის მამშვენებელთან, —
მე მუდამ მწამდა და მწამს კიდევაც
დიდება შენთა ამშენებელთა.

დიდო ლაგვირკავ, პატარა სახლო,
მიიღე ჩემი მცირედი ძღვენი,
ლექსების წიგნი, და ნაცვლად შენი
მარადისობის მაჩუქე დღენი!

## Მ Ტ Კ Ვ Ა Რ Ი

მტკვარო, მტკვარო, თითქოს შენი
ჯადო-წყალი შევსვი!
შენს ხიდებზე გადასვლისას
იბადება ლექსი.

გაიელვებს უცხო ფიქრი,
სტრიქონი თუ რითმა, —
შთაგონებით აგამღერა,
მგონი, ტატოს რიდმა.

და ჩვენც, შენი მომღერალნი,
შეგყურებთ და გესავთ,
მოდუდუნე ტალღა შენი
რომ იქცევა ლექსად.

შენც მიგქონდა ნამუსრევი
მტარვალების ულლის;
მეგობრობის მდინარე ხარ,
განა ძმათა შუღლის!

ამიტომაც შენ ხარ ლექსი,
ჩვენი მუზა ბრძენი —
საქართველოს მდინარე ხარ,
ჰელიკონი ჩვენი!

ბალჩა-ბაღებს აბიბინებს,
მტკვარო, წყალი შენი...
და მე ლექსიც ვერ დავწერე
შენი შესაშვენი!

## Ს Ა Ტ Რ Ფ Ი Ა Ლ Ო

უშგული უშორესს, მიუვალს ნიშნავს.

უშგულს სვანეთში ყველაზე უფრო
შორეულ მხარეს ეძახის ხალხი,
მაგრამ უშგული უშგულელთათვის
ახლოა, როგორც მზე და ცის თაღი.

ხალხი ბრძენია, და მაინც მიკვირს,
ამ ერთ რამეში არ არის სწორი:
მზე და უშგული მეზობლებია,
და მაშ რად არის უშგული შორი?

ჰო, ვიცი, ვიცი! ზოგჯერ შორსაა,
როგორც ზეცა და როგორც უფსკრული!
შენ რომ უშგულში წახვედი შარშან,
მართლაც შორს იყო მაშინ უშგული!

• • •

რუსთაველის პრემია ლადო გრიგოლიას მიენიჭა აგრეთვე ქართველ მწერალთა გრაფიკული პორტრეტების სერიისათვის (1966-1972). ამ ჟანრში გრიგოლიას ნაწარმოებებიდან საერთოდ გამოირჩევა გრ. ორბელიანის, ე. ნინოშვილის, ვაჟა-ფშაველას, გ. ერისთავის და სხვა პორტრეტები. მათთვის დამახასიათებელია რეალისტური გამომსახველობით-სახეობრივი სიღრმე და მაღალი გრაფიკული ოსტატობა. მხატვრული ფორმა ორგანულად არის შერწყმული გარდასახვის სიმართლესთან, მწერლის სულიერი სამყაროსა და გარეგნულის ნიშანდობლივი თვისებების მხატვრულ განზოგადებასთან. ამის ერთ-ერთ ნათელ ილუსტრაციას წარმოადგენს ე. ნინოშვილის არსებითად უკვე ჩამქრალი სიცოცხლის მეტად მახვილი დეტალებით ჩვენება. საერთოდ, ხაზი, შავი ლაქები, შავისა და თეთრის შეხამების მოძრაობა მკაცრი ლაკონიურობით, ღრმა პლასტიკურობითა და მხატვრული განსაკუთრებულობით არის ამეტყველებული გრიგოლიას გრაფიკულ პორტრეტებში. სხვათა შორის, მათ კომპოზიციაში არსებით როლს თამაშობს პორტრეტის ფონიც. ამიტომ თვით მხატვარი ფურცელს, რომელზეც პორტრეტებია შესრულებული, გრაფიკულ ფურცელს უწოდებს, ხოლო მათ საგანგებოდ ირჩევს სიდიდის მიხედვით. ეს არის ქაღალდის ფურცლის კომპოზიციური აღქმა. ამის გამო ლადოს პორტრეტებში ფონი კომპოზიციის ორგანულ ნაწილად გვევლინება. ეს განსაკუთრებით მკვეთრად იგრძნობა ვაჟა-ფშაველას პორტრეტში. აღსანიშნავია ისიც, რომ ლ. გრიგოლიას პორტრეტები, გარდა ერთისა, ჭეშმარიტად გრაფიკულია. მხოლოდ გ. ერისთავის პორტრეტში იგრძნობა სკულპტურული პლასტიკური წარმოსახვის ხასიათი. სხვა შემთხვევაში ვერც გრაფიკულ ნაწარმოებში იგრძნობ, რომ მათი ავტორი მოქანდაკეა და ვერც სკულპტურულ ნაწარმოებებში, რომ მათი ავტორი გრაფიკოსია.

აქვე უნდა გავიხსენოთ ლადო გრიგოლიას ერთი შემოქმედებითი წარმატებაც. მართალია ადრინდელი, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი: 1934 წელს ექსლიბრის საერთაშორისო გამოფენაზე, რომელიც ლოს-ანჟელოსში მოეწყო, მხატვრის ამ ჟანრის ნაწარმოებმა საპატიო დიპლომი დაიმსახურა.

ჩვენს ხელოვნებაში ნამდვილი ტალანტისა და ოსტატობის უპირველეს ნიშანს წარმოადგენს სინამდვილის სახეობრივი წარმოსახვის შემოქმედებით ესთეტიკური ღირსება და ღრმა სიმართლე (მხატვრული სიმართლე), მაშასადამე, სიმართლის შეთხზვა, ჭეშმარიტი გარდასახვა, ღრმად იდეური და ემოციურ-ესთეტიკური განზოგადება. ყოველგვარი ცალმხრივობანი, მიმბაძველობა, უაზრო ძიებანი, შემოქმედებითი მანჭვა-გრეხა, ხოლო ამ გზით ყალბი, მოჩვენებითი ნოვატორის სახელის

# შენ ცოცხლობ სცენაზე

საქართველოს ხელოვნების მუშაკები დიდი პატივისცემით და სიყვარულით იხსენებენ სახელოვან წინაპარს — დიდ მსახიობს, მწერალს და საზოგადო მოღვაწეს ვალერიან გუნიას. ამას მოწმობს კერძოდ ის გულთბილი მოსაგონარი საღამო, რომელიც ამას წინათ ხელოვნების მუშაკთა სახლში მოეწყო.

მისი მთელი სიცოცხლე და მოღვაწეობა მისაბაძი მაგალითი უნდა იყოს ყველა ქართველი მსახიობისათვის. იგი დაუღალავად შრომობდა თავისი საყვარელი სამშობლოს ხელოვნების წინსვლისათვის.

სამწუხაროდ, ჩემი თაობის მსახიობებს ვ. გუნია სცენაზე არ უნახავთ. ჩვენ მხოლოდ იმ სამწუხარო ფაქტის მომსწრენი ვართ, როდესაც 1938 წელს ხელოვნების მუშაკთა სახლიდან გამოასვენეს მისი ცხედარი და მისი ნიჭის თაყვანისმცემლებმა უკანასკნელად გაატარეს მისი კუბო თბილისის ქუჩებში, მისი საყვარელი თეატრების წინ.

მის შემოქმედებაზე და თავდადებულ მუშაობაზე თეატრში ჩვენ მხოლოდ რეცენზიები დაგვრჩა, რომელთა მეოხებით ვცდილობთ წარმოვიდგინოთ მის მიერ შექმნილი სცენური სახეები.

მე პირადად ბედნიერება მქონდა მისი თანამედროვე მსახიობებისგან მომესმინა ბევრი საინტერესო ამბავი ძველ თეატრებზე, მათს მუშაობაზე და კერძოდ ვ. გუნიაზე, როგორც მეტად გულისხმიერ ადამიანზე და დიდ შემოქმედზე. ნინო დავითაშვილი და ნატალია ჯავახიშვილი აღტაცებით იგონებდნენ ვ. გუნიას მიერ შექმნილ სახეებს. ბევრი როლი განუსახიერებია მას მაღალმხატვრულად, მაგრამ განსაკუთრებული აღტაცებით იგონებდნენ სვიმონ ლეონიძეს „სამშობლოში“ და ოთარბეგს „ღალატში“.

მომსწრენი აღტაცებით აღწერდნენ მის ლამაზ გარეგნობას, დიდად კეთილშობილურ მიხრა-მოხრას, სულში ჩამწვდომ ხავერდოვან ხმას, უნაკლო დიქციას და უდიდესი პატრიოტული სულისკვეთებით აღჭურვილ მის გმირებს. მაყურებელს აჯადოვებდა მისი არტისტიზმი. მისი ოთარბეგი მართლაც უნაკლო ყოფილა და შეიძლება ითქვას განუმეორებელიც: ამისი საუკეთესო დამადასტურებელია თვით „ღალატის“ ავტორის სუმბათაშვილი-იუჟინის სიტყვები; როდესაც სუმბათაშვილს „ღალატი“ უნახავს, აღტაცებით უთქვამს ვ. გუნიასთვის: „მე როგორც ამ პიესის ავტორი და ოთარბეგის როლის შემსრულებელი, აღტაცებული ვარ და ვაცხადებ, რომ შენი ოთარბეგი გაცილებით სჯობია ჩემსას, რადგანაც მე ვთამაშობ და შენ კი ცოცხლობ სცენაზე. ამაშია შენი დიდი მომხიბვლელობაო“.

ვ. გუნიას მოღვაწეობაზე ბევრი იწერებოდა და იწერება, მაგრამ მე მინდა რამდენიმე საინტერესო ფაქტზე შევაჩერო მკითხველის ყურადღება.

1921 წლის 2 მარტს ვ. გუნია არჩეულ იქნა ახლად შექმნილ საქართველოს ხელოვნების მუშაკთა კავშირის პირველ თავმჯდომარედ. იმავე წლის 15 სექტემბერს მოიწვიეს ხელოვნების მუშაკთა კავშირის პირველი ყრილობა. ამ ყრილობამ ვ. გუნიას ხელმოწერით მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა ვ. ი. ლენინს, ა. ვ. ლუნაჩარსკის და სრულიად რუსეთის ხელოვნების კავშირს. ამიერიდან ვ. გუნია კვლავ თავისი საყვარელი საქმის საჭესთან იდგა, დაუღალავად ზრუნავდა ქართული ხელოვნების აყვავებისათვის. ვ. გუნია უამრავ წერილებს იღებდა როგორც კერძო პირებიდან, ისე სხვადასხვა ორგანიზაციებიდან, ცალკეული რაიონებიდან; ზოგი რჩევას სთხოვდა, ზოგი დახმარებას. ვ. გუნია მუდამ პოულობდა დროს მხარი დაეჭირა ყველა კარგი თაოსნობისათვის. და განა მხოლოდ საქართველოთი იფარგლებოდა მისი მოღვაწეობა? ჩვენს ხელთ არის საინტერესო დოკუმენტი, მანდატი, რომელიც მას მიუღია „პოვოლოჟიეს დამშეულთა სასარგებლოდ მომწყობი კონცერტების აკადემიური ცენტრის საგანგებო კომისიისაგან“. (1921 წ. 10 აგვისტო). ამ მანდატში აღნიშნულია, რომ ვ. გუნიას, როგორც საგანგებო კომისიის წევრს, დავალებული აქვს ხელმძღვანელობა გაუწიოს პოვოლოჟიეს დამშეულთა სასარგებლოდ გამართულ სპექტაკლებსა და კონცერტებს. ეს საბუთი კი იმისი დამადასტურებელია, თუ რაოდენ ფართო მასშტაბი ჰქონდა ვ. გუნიას მოღვაწეობას.

ვ. გუნია ქართული თეატრის რეპერტუარს თავისი პიესებით და თარგმანებითაც ამდიდრებდა. და განა მხოლოდ დრამატული თეატრებისთვის ზრუნავდა? ოპერა „დაისის“ ლიბრეტოც ხომ მას ეკუთვნის. გარდა ამისა, მას როგორც თავისი ქვეყნის და ხალხის გულშემატკივარს, სურდა უცხოური ოპერების მშვენიერება ბოლომდე გასაგები ყოფილიყო ქართველი მსმენელისათვის, რომ ტექსტი ამ ოპერებისა მოესმინათ მშობლიურ ენაზე, რისთვისაც მან ქართულ ენაზე თარგმნა როსინის „სევილიელი დალაქისა“ და ბიზეს „კარმენის“ ლიბრეტოები.

საბჭოთა მთავრობამ ღირსეულად დააფასა ვ. გუნიას დიდი არტისტული ნიჭი და მოღვაწეობა და 1938 წელს მას მიენიჭა საქართველოს რესპუბლიკის სახალხო არტისტის საპატიო წოდება.

რა აძლევდა მას სტიმულს ამ დაუღალავი შრომისათვის? ამაზე პასუხს ყველაზედ უკეთესად ვ. გუნიას ერთი წერილი იძლევა, რომელიც მას გალაკტიონ ტაბიძისათვის მიუწერია. გუნიას პასუხიდან ჩანს, რომ გალაკტიონი მას მთელი განვლილი ცხოვრების და მოღვაწეობის დედააზრსა და მიზანზე შეჰკითხებია. ვ. გუნიას, პასუხი რომ დაუწერია, თვალი გადაუვლია მთელი თავისი წარსულისათვის, აღუნიშნავს, თუ რა მძიმე ვითარებაში



ვ. გუნია ოთარბეგის როლში („ღალატი“).

უხდებოდათ მუშაობა ქართული კულტურის მოღვაწეებს. იგი წერს:

„მაპატიე, ჩემო მეგობარო, მაგრამ თუ მიუდგომლად გაითვალისწინებ ჩემს ხანგრძლივ შრომას, ჩემს მიკროსკოპულ მიღწევებს ეროვნულ-კულტურულ ფრონტზე, მაშინ ჩემს განუმარტებლადაც ბევრი რამ შენთვის ადვილი მისახვედრი და გასაგები შეიქმნება...

ერთს კი გეტყვი:

კაცმა ხანგრძლივად უნდა იბრძოლოს, ბევრი უნდა იტანჯოს, მრავალი უძილო ღამე უნდა გაათენოს, ხშირად უნდა ჩაიძიროს უიმედობისა და სასოწარკვეთილების მორევში, მწარე ფიქრთა ზღვა უნდა გადასცუროს, რომ მწვავედ შეიგრძნოს და ღრმად დააფასოს თავისი სამშობლო.

უამისოდ ვერას გაიგებს, ვერაფერს ვერ მისწვდება.

ნამდვილი გმირი და ვაჟკაცი ისაა, ვინც სრულის შეგნებით შესწირავს თავის განწირვას ერისა და ქვეყნისათვის.

სამშობლო — დღესასწაულია თვალთა ხედვისათვის. უტკბილესი მუსიკაა ყურთასმენისათვის, ბრწყინვალე ზეიმია გულთა ძგერისათვის და უზენაესი ბრუნვაა ფიქრთა დენისათვის.

სამშობლოს გარეთ არარა არს-რა.

სამშობლო დიდებული წარსულია, მახვილი აწმყო და ბრწყინვალე მომავალია“.

აი ეს წერილი ნათელი სარკეა მისი უდიდესი მოქალაქეობისა, მისი დაუღალავი შრომისა და ყოველგვარი პირადულის უგულებელყოფისა.

**თამარ ბაქრაძე,**
რესპ. სახალხო არტისტი.

---

მაძიებლობა, უცხოა ჩვენი ხელოვნებისათვის, საოცარ და უკიდურესად მოსაწყენ პროვინციალიზმს, სიყალბეს, ჩამორჩენილობას წარმოადგენს.

ლ. გრიგოლია შეურიგებელი მტერია ყველა ამგვარ „ძიებისა“ და „სიახლისა“. იგი ჩვენი ხელოვნების აქ აღნიშნულ პრინციპთა შესანიშნავი და გულმართალი გამომხატველია, რომელიც ღრმა ეროვნულობით, დიდი დიაპაზონის მხატვრული კულტურითა და დახვეწილი გემოვნებით ხასიათდება, კვლავ ახალგაზრდული, სისხლსავსე, დაძაბული შემოქმედებითი ძიებითა და ფართო მხატვრული ინტერესებით ცხოვრობს. და ეს ცხოვრება კარგა ხანია, რაც თვით იქცა თანამედროვე ქართული ხელოვნების, მთელი მხატვრული ცხოვრების ორგანულ ნაწილად. მის მიერ შექმნილი შრიფტი, წიგნის მხატვრული სახემოსილება, პორტრეტი გრაფიკულიც და სკულპტურულიც, ამის დადასტურებას წარმოადგენს.

ლ. გრიგოლია უაღრესად საინტერესოა როგორც პიროვნება და მოქალაქეც. იგი უბრალო, უკიდურესად პირდაპირი, მართალი და პრინციპულია. მას არავითარი კომპრომისი არ უყვარს, ხოლო რასაც ფიქრობს, ფიქრობს ხმამაღლა. მას უყვარს ის, რაც სიყვარულის ღირსია, ხოლო სძულს, რაც სიძულვილს იმსახურებს. მისთვის ადამიანებთან სწორედ ასეთი დამოკიდებულება წარმოადგენს სიკეთეს.

დიდია მისი სიყვარული ხელოვნების სხვა დარგებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებებისადმი. კერძოდ, თეატრით კი იმდენად გატაცებულია, რომ მარჯანიშვილისა და ახმეტელის რეჟისორული მოღვაწეობა, მათ მიერ შექმნილი სპექტაკლებისა და ამ წარმოდგენებში მონაწილე მსახიობთა შემოქმედების ნამდვილი მემატიანეა.

რაც შეეხება მეცნიერებას, მისდამი ლადოს დამოკიდებულების ნათელსაყოფად საკმარისია გავიხსენოთ მისი დიდი ხნის თანამშრომლობითი მეგობრობა პ. ინგოროყვასთან, ანდა, ასეთი ფაქტიც: ამ რამდენიმე წლის წინათ, ერთ დილით, მისალმებისთანავე, ერთი მეცნიერული ნარკვევიდან დაახლოებით გვერდნახევარი ზეპირად მითხრა. მე კი ვერ წარმოვიდგენდი, თუ ეს წიგნიც ექნებოდა მას წაკითხული.

საერთოდ, ლ. გრიგოლია ფართო მასშტაბის ინტელექტუალურ-სულიერი ინტერესების მქონე, ღრმად განათლებული და მრავალმხრივი ადამიანია. და, რაც აგრეთვე კოლორიტულს ხდის მის პიროვნებას, იგი თავის ყველა ინტერესს, მიდრეკილებას, გრძნობასა და დამოკიდებულებას უკიდურესი სახით, ანდა, უფრო ზუსტი იქნება თუ ვიტყვით, ამაღლებული ემოციური უკიდურესობით ავლენს. უწინარეს ყოვლისა ასეთი უკიდურესი სახით ავლენს ის შეურიგებლობასა და სიძულვილს ყოველგვარი ხმაურის, მით უმეტეს თვითგანდიდებისა და თვითრეკლამის წინააღმდეგ.

სპორტული კლუბი „დროშა" სკ

# ბურთი და ბრაზილია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლახან მოსკოვში, გამომცემლობა „მოლოდაია გვარდიამ" გამოაქვეყნა იგორ ფესუნენკოს საინტერესო წიგნი „მარაკანას" სტადიონი". ავტორი მოგვითხრობს ქალდმერთ ნიკეს ბოლოდროინდელ მოგზაურობაზე, მსოფლიოს მეცხრე ჩემპიონატზე ფეხბურთში. კერძოდ, იგი გვესაუბრება მსოფლიოს სამგზის ჩემპიონების, ნიკეს ოქროს თასის მფლობელების, ბრაზილიელი მწვრთნელებისა და ფეხბურთელების ცხოვრებასა და საქმიანობაზე, იმ საფეხბურთო ციებცხელებაზე, რომელიც ესოდენ დამახასიათებელია ლათინური ამერიკის ქვეყნებისათვის.

ქვემოთ ჩვენ მოგვყავს ცალკეული ეპიზოდები ფესუნენკოს წიგნიდან. მსოფლიოს მეათე საფეხბურთო ჩემპიონატის წინ, რომელიც მომავალ წელს მიუნხენში გაიმართება, ეს ცნობები ინტერესმოკლებული არ იქნება „დროშის" სპორტული კლუბის წევრებისათვის.

## ასპროცენტიანი ბრაზილიელი

ბრაზილიაში მთელი ჩემი მუშაობის მანძილზე, მგონი არც შემხვედრია უფრო ასპროცენტიანი ბრაზილიელი, ვიდრე ჟოაო სალდანია. ის მხიარულია და დამცინავი, გონებამახვილი და ფხუკიანი, უყვარს გამოსცადოს ბედი. ის აზარტულია და ფიცხი, როგორც მისი ყველა თანამემამულე. ის ჭკვიანია, მაგრამ მასზე არ ვრცელდება ანდაზა — „ჭკვიანი მთას პირდაპირ კი არ გადალახავს, გარს შემოუვლისო". სალდანია არა თუ გარს შემოუვლის მთას, ის სირბილით მიიტანს მასზე იერიშს.

ბრაზილიური ლიტერატურის პატრიარქმა, სახელგანთქმულმა პროზაიკოსმა ჟორჟი ამადუმ მასზე თქვა: „მე უფლება მაქვს შევაფასო ჟოაო, რამდენადაც ჩვენ ძველი მეგობრები ვართ. ეს არის კაცი, რომელიც ერკვევა ვინ რას წარმოადგენს და რომელსაც შესწევს უნარი უხელმძღვანელოს ადამიანებს".

მისმა მახვილსიტყვაობამ ჟოაოს უჩვეულო პოპულარობა მოუხვეჭა და შეურიგებელი მტრებიც შესძინა. ერთხელ, ნაკრების ერთი მატჩის შემდეგ სან-პაულოდან ჩამოსული ჟურნალისტი, რომელიც თავის კოლეგებში ცნობილი იყო როგორც უმეცარი კაცი, გატყლარჭული ლაპარაკი რომ უყვარს, რაღაც შემწყნარებელი კილოთი შეეკითხა მას:

— ჟოაო, რატომ ხდება, რომ შენი ნახევარმცველები სულ წინ მიისწრაფიან, სულ იერიშზე არიან და უკან, დაცვაში არ ბრუნდებიან?

წამიც არ უფიქრია, ჟოაომ ისე უპასუხა პირდაპირ მიკროფონში:

— ეს რომ ასე იყოს, ისინი რომ სულ იერიშზე იყვნენ და უკან არ ბრუნდებოდნენ, მატჩის დაწყებიდან ორი წუთის შემდეგ ისინი გადაჰკვეთავდნენ კარის ხაზს, გადავიდოდნენ თხრილებზე და ტრიბუნებზე ამოჰყოფდნენ თავს.

ჟოაო სალდანია ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელად დანიშნეს 1969 წლის 4 თებერვალს. ადრე ის იყო მწვრთნელი „ბოტაფოგოსი", ლეგენდარული გუნდისა, სადაც თამაშობდნენ გარინჩა, დიდი, ამარილდო, ზაგალო. სალდანიამ შესანიშნავად მოამზადა გუნდი, მაგრამ მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატამდე ორნახევარი თვეღა იყო დარჩენილი, როცა იგი მოხსნეს. მისი ადგილი დაიჭირა ზაგალომ. და მაინც, სპორტული ჟურნალისტები ბრაზილიური ფეხბურთის დიდ გამარჯვებას ბოლო მსოფლიო ჩემპიონატში სალდანიას სახელს უკავშირებენ.

## ჟოაო თავდამსხმელს იგერიებს

ერთხელ, სალდანია პლაჟზე მიიჩქაროდა და ქუჩა სირბილით რომ გადაჭრა, კინაღამ მანქანამ გაიტანა. დაიხრჭიალეს მუხრუჭებმა. ჟოაომ შოფრის მისამართით რაღაც ისეთი თქვა, აქ ვერ გავიმეორებთ. ამის გაგონებაზე მანქანის კაბინის კარი გაიღო და იქიდან გადმოძვრა ერთი აყლაყუდა კაცი. სუსტი და დალეული სალდანია ქონდრის კაცსა ჰგავდა ამ გაცოფებული გოლიათის წინაშე. ეს კუნთმაგარი, ჩასუქებული კაცი მოდიოდა ჟოაოსკენ და თან ხელში მანქანის მოსამართი რკინის სახელური ეჭირა. ხალხი მოგროვდა ტროტუარზე, რათა ამ უფასო სანახაობის ცქერით თავი გაერთო. ერთი წამიც და ჟოაოს საქმე ცუდად წავიდოდა, მაგრამ მან უცებ მიაძახა მოწინააღმდეგეს:

— შენ ეი, ლაჩარო! შენ გეშინია ჩემი და ამიტომ დასტაცე ხელი მაგ იდიოტურ რკინას. გადააგდე ახლავე, თუ ვაჟკაცი ხარ!

გოლიათი წამოწითლდა — ნუ თუ ეს ქონდრისკაცი, ეს ბენტერა ფიქრობს, რომ მუშტებით მომერევა?!

გაბრაზებულმა შოფერმა გადააგდო სახელური, ჟოაო მაშინვე დაიღუნა, დასტაცა ხელი რკინას და თავში ხეთქა მეტოქეს. გოლიათი მოცელილივით დაეცა გახურებულ ასფალტზე. ჟოაომ გადააბიჯა ნოკაუტში ჩავარდნილ მეტოქეს და ამაყი სახით გასცილდა იქაურობას, თან არ დავიწყებია მაღლა აწეული ხელით მისალმებოდა მაყურებლებს, რომლებიც მხიარული ყიჟინით აცილებდნენ მას.


ჟოაო სალდანია

დიახ, ჟოაო ეკუთვნის ისეთ ადამიანთა რიცხვს, ვინც მიჩვეული არ არის ბოდიში მოიხადოს, როცა მათ ფეხზე ფეხს დაადგამენ; მაგრამ ის არასოდეს იკადრებს ჩაუსაფრდეს ვინმეს და დარტყმისათვის ხელსაყრელი მომენტი შეარჩიოს. ის ლაპარაკობს იმას, რასაც ფიქრობს, და იქცევა ისე, როგორც ლაპარაკობს; სწორედ ამის გამო იყო, რომ მისი, როგორც მწვრთნელის კარიერა გაცილებით ხანმოკლე აღმოჩნდა, ვიდრე მოსალოდნელი იყო.

ასე, მაგალითად, როცა სალდანია გუნდს სათავეში ჩაუდგა და დაიწყო მისი შემადგენლობის დაკომპლექტება. მას უთხრეს, რომ ბრაზილიის პრეზიდენტს გენერალ ემილიო მედისის ძალიან მოსწონს და უყვარს „ატლეტიკოს" გუნდის ფეხბურთელი დარიო და ურჩიეს — ცუდი არ იქნება მასაც მოუძებნოს ნაკრებში ადგილიო. ჟოაომ უპასუხა:

— მე ხომ არ ვთხოულობ დამეკითხეთ-მეთქი მინისტრთა კაბინეტის შედგენის დროს, ამიტომ ნება მომეცით ჩემი „საფეხბურთო კაბინეტი" სხვის დაუხმარებლად შევადგინო.


რიველინო

## როცა ერთად ტირის 200.000 კაცი

ცოტა ხნით აქ წარსულს უნდა დავუბრუნდეთ. 1950 წელი. 16 ივლისი... მსოფლიოს მეოთხე ჩემპიონატის ფინალი. ამ დღეს ერთმანეთს ხვდებოდნენ ბრაზილიისა და ურუგვაის გუნდები.

რათა აიხსნას, თუ რატომ არის ესოდენ მწვავე ამ გუნდების ყოველი შეხვედრა, ამისთვის საჭიროა შემდეგი ცნობა ისტორიიდან: სამი საუკუნის მანძილზე ურუგვაი ესპანეთსა ჰქონდა დაპყრობილი. 1811 წელს ურუგვაელებმა დამოუკიდებლობა გამოაცხადეს, მაგრამ 1821 წლიდან ურუგვაი ბრაზილიის შემადგენლობაში მოექცა, 1828 წელს ურუგვაელებმა ეს ბატონიც მოიშორეს თავიდან. მაგრამ ტრადიციული ქიშპობა და მეტოქეობა მათ შორის, სასაზღვრო ინციდენტები თუ შეტაკებანი ამით არ დამთავრებულა. ბუნებრივია, ეს სიმწვავე მათს ურთიერთობაში გადაედო ფეხბურთსაც.

ბრაზილიური ჟურნალი „ვეჟა" ზემოხსენებული მატჩის წინ წერდა: „ურუგვაელები, ჩვენს წინააღმდეგ რომ თამაშობენ, შესაძლებელია იმიტომაც ცდილობენ გამოაცოცხლონ თავიანთი მიხრწნილი ფეხბურთი, რომ სწორედ ჩვენთან შეტა-



საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

კების დროს პოულობენ ისინი გზას თავიანთი თავდამტკიცებისათვის! სწორედ ჩვენს წინააღმდეგ რომ გამოდიან, ისინი ყველაზე ძალიან მაშინ გრძნობენ თავს ნამდვილ ურუგვაელებად“...

პატარა ქვეყნის ამ მარადიულ სწრაფვაში გამოიწვიოს თავისი გიგანტი მეზობელი — არის რაღაც ბიბლიური, რომელიც გვაგონებს დავითისა და გოლიათის შერკინებას (ბრაზილიის მოსახლეობა — 97 მილიონია, ურუგვაისა — 3 მილიონი). ხსენებული მატჩის წინ გოლიათი დარწმუნებული იყო, რომ ტანმორჩილ დავითს ადვილად დასცემდა ძირს. მაღაზიები და საწყობები უკვე სავსე იყო მილიონობით ალმებით, რომლებზეც წარწერილი იყო: „ბრაზილია — მსოფლიო ჩემპიონი“. სენატორები, მინისტრები, მთავრობის ხელმძღვანელები ფეხბურთელებთან ხელგადახვეულები იღებდნენ ფოტოსურათებს. მატჩის დღეს, გაზეთები აჭრელებული იყო საზეიმო ანშლაგებით. „ჟორნალ დე ბრაზილი“ წერდა: „ბრაზილიის გუნდი, რომელმაც სენსაციური გამარჯვებები მოიპოვა, დღეს მინდორზე გამოდის ისე, რომ უკვე მოხვეჭილი აქვს მსოფლიოს უძლიერესი გუნდის სახელი... მისი ბრწყინვალე პრესტიჟი დღეს საბოლოოდ განმტკიცებული იქნება“.

იმ დილით ურუგვაის გუნდის კაპიტანს ობდულიო ვარელას ყველაზე ადრე გაეღვიძა, განთიადისას გამოვიდა სასტუმროდან, რომელიც მათთვის იყო გამოყოფილი და რომელსაც პოლიციის გაძლიერებული რაზმი იცავდა ბრაზილიელი გულშემატკივრების მოსალოდნელი თავდასხმისაგან. გუნდის კაპიტანმა შემოიარა სასტუმროს ახლო მდებარე კიოსკები და იყიდა ასობით ნომერი გაზეთებისა, მიიტანა ეს გაზეთები სასტუმროში და ზემომოყვანილი ციტატის ამონაჭრებით მოფინა საპირფარეშოს კედლები და იატაკი. და მთელი დილის განმავლობაში, ბრაზით ავსავსე ურუგვაელი სპორტსმენები გამწარებით აქცევდნენ წყალს „უკვე მოხვეჭილ დიდებაზე“, „ბრწყინვალე პრესტიჟზე“ და მომღიმარე მეტოქეების გაზეთებიდან ამოჭრილ ფოტოებზე.

პირდაპირ ვიტყვით, ეს არც თუ ისე კეთილმოსასმენი დეტალები მატჩისათვის მზადებისა ჩვენ მოგვყავს მხოლოდ იმისათვის, რომ ვუჩვენოთ, თუ სადამდე მიდის ხოლმე წინასამატჩო ისტერიკა დაუცხრომელი ტემპერამენტის მქონე სამხრეთ ამერიკელებს შორის.

დაწვრილებით აღარ მოგიყვებით ამ „ტრაგიკული“ მატჩის მსვლელობაზე. ვიტყვით მხოლოდ, რომ თუმცა ბრაზილიელებს ხელს აძლევდათ ფრეც, მათ წააგეს თამაში ანგარიშით 1:2. შეუძლებელია აიწეროს ის ნერვული შოკი, რომელიც თავს დაატყდა მთელ ქვეყანას. ამბობენ, რომ მთელი სტადიონი — ორასი ათასი კაცი — ჩუმად ტიროდა. ალბათ, ეს იყო მართლაც საშინელი სანახაობა: პირთამდე სავსე სტადიონი, გასრესილი მწუხარებით. ამ მკვდრულ სიჩუმეში გაისმა ვიღაცის ისტერიკული კივილი: „ეს ტყუილია, რაც დავინახეთ... ჩვენ სიზმარში ვართ!“

იყო, ცხადია, თვითმკვლელობის შემთხვევებიც, მწვავე საფეხბურთო სიტუაციები ბრაზილიაში უამისოდ როდი ჩაივლის ხოლმე. ათასობით ადამიანები ფიცსა სდებდნენ, რომ არასოდეს სტადიონზე აღარ მოვიდოდნენ.

ოც წელს აწუხებდა ბრაზილიას ამ დამარცხების „სამარცხვინო ლაქა“... და აი, ოცი წლის შემდეგ, 1970 წლის 17 ივლისს გუნდები კვლავ დადგნენ ერთიმეორის პირისპირ... ეს იყო მსოფლიოს მეცხრე ჩემპიონატის ნახევარფინალი.

## ნავსიანი პრეზიდენტი

ფსიქოლოგიური მუშაობა მოთამაშეებთან ამჯერად გაცილებით ძნელი იყო, ვიდრე ოდესმე. ბრაზილიელი ფეხბურთელი არაჩვეულებრივად ცრუმორწმუნეა. ყოველი გამარჯვების შემდეგ,



პელე

ჩემპიონატში იქნება ის თუ ტურნირში, ფეხბურთელმა უნდა შეასრულოს აღთქმა, რომელსაც იგი დაჰპირდა ყოველგვარ „უზენაეს დამფარველებსა“ თუ „წმინდანებს“ — უნდა აუნთოს მათ მრავალკილოგრამიანი სანთელი, გაიაროს ფეხით უზარმაზარი მანძილი სტადიონიდან რომელიმე ტაძრამდე, რომელიც მფარველობს გუნდს და პერსონალურად ამა თუ იმ მოთამაშეს. ამ მსვლელობის დროს მას უკან მისდევს აღგზნებული გულშემატკივრების მთელი ბრბო. მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის წინ ბრიტომ გაუშვა წვერი და დაიფიცა, რომ მას გაიპარსავდა მხოლოდ გამარჯვების შემდეგ. თვითონ ზაგალო ყველა საწვრთნელ ვარჯიშს „ბოტაფოგოშიც“ და ნაკრებშიც ატარებდა მხოლოდ „შელოცვილი“ მაისურით, რომელსაც 13 ნომერი აწერია, რომელიც ყველა დანარჩენისათვის უბედურების მომასწავებელია, ზაგალოსათვის კი თურმე „ბედნიერების მომტანი“. მაგრამ რა საჭიროა ლაპარაკი ბრიტოს ან ზაგალოს ცრუმორწმუნეობაზე, როცა თვით ბრაზილიის სპორტის კონფედერაციის პრეზიდენტი, ფრიად პატივცემული სენიორი ჟან-მარი ფაუსტინ გოდოფრუა აველანჟი, არისტოკრატი, პოლიგლოტი, თავს რომ იწონებს გაფაქიზებული მანერებით, სერიოზულად ფიქრობს — ნავსი ვარო. აველანჟი, ბრაზილიელთა პირველი მატჩის წინ გვადალახარაში, სასწრაფოდ დაბრუნდა მექსიკიდან ბრაზილიაში — ჩემი გუნდი არ დავთარსოო. სენიორ პრეზიდენტს დამამტკიცებელი საბუთებიც მოჰყავს თავისი საქციელის ასახსნელად: 1958 და 1962 წლებში, როცა სენიორ აველანჟი თან არ გაჰყვა თავის გუნდს შვეციაში და ჩილეში, ბრაზილიელებმა „ოქროს ქალღმერთი“ მოიპოვეს. მაგრამ საკმარისი იყო აველანჟი 1966 წელს ინგლისში თან გაჰყოლოდა ბრაზილიის გუნდს და კარგად გახსოვთ, რაც მოხდა იქ.

ერთი სიტყვით, რაიმე ცუდად დაცდილი ნიშანი თუ ამბავი ისე დააჰიპნოზებს ხოლმე ბრაზილიელს, როგორც მრისხანე კობრას თვალები კურდღლის ბაჭიას.

დიდი



## პელე მიესალმება როზ-მარის

აი, ასეთ ვითარებაში უნდა მომხდარიყო ახალი შეხვედრა ბრაზილიელებსა და ურუგვაელებს შორის.

ბრაზილია საფეხბურთო-სატელევიზიო ფსიქოზმა მოიცვა, ქვეყანა შეშლილთა ბანაკს დაემსგავსა. მილიონობით გულშემატკივარნი ალავლენდნენ ლოცვა-ვედრებას უზენაესისადმი, რათა წარმოეგზავნა გამარჯვება მათი გუნდისათვის. ურუგვაიშიც იგივე ციებ-ცხელება იყო. საბჭოთა ნაკრებზე გამარჯვების შემდეგ, ტელევიზორების გაყიდვა მონტევიდეოში 50 პროცენტით გაიზარდა. იმ მიზნით, რომ ელექტროენერგიით უზრუნველეყოთ დედაქალაქისა და მთელი ქვეყნის ტელემაყურებლები, მატჩის დასაწყისისათვის, ვადაზე ადრე გაუშვეს დამატებითი ელექტროსადგური. ურუგვაის პრეზიდენტმა უარი თქვა აუდიენციებზე, რომლებიც წინასწარ იყო დაგეგმილი. ასევე მოიქცა ბრაზილიის პრეზიდენტი. პარლამენტის ორივე პალატამ შეწყვიტა სხდომები... დაცარიელდა რიო-დე-ჟანეიროს და მონტევიდეოს ქუჩები. აფრინდა ცაში პირველი რაკეტები — გუნდები მოედანზე გამოდიოდნენ.

სანამ პირველ დარტყმას გააკეთებდა, პელე დაიღუნა და დაიწყო შნურების შეკვრა თავის ბუცებზე. მსაჯი მოუთმენლად შესცქეროდა მას.

— რას სჩადის, გასახდელში ვერ შეიკრა ფეხსაცმელი? — წამოიძახა პოლიციის სერჟანტმა, რომელსაც ქუჩაში თავისი პოსტი მიეტოვებინა და დუქანში თავმოყრილ ტელემაყურებლებს შეერთებოდა. მაგრამ არც სერჟანტმა და არც დუქანში ტელევიზორის წინ თავმოყრილმა მაყურებლებმა არ იცოდნენ, რომ პელე ეშმაკობდა: მექსიკაში წასვლის წინ ის შეუთანხმდა თავის ცოლს — როზმარის, რომ ყოველი თამაშის წინ ასე „მიესალმებოდა“ მას. ეს იყო პირობითი სიგნალი, რომლის აზრი მხოლოდ ამ ორმა ადამიანმა იცოდა.

პელემ შეიკრა ბუცები, გასწორდა წელში. ესპანელმა მსაჯმა სასტვენი პირთან მიიტანა. სული განაბეს ტრიბუნებმა. მატჩი დაიწყო.

დაწყებით კი დაიწყო, მაგრამ 1950 წლის ავბედითი აჩრდილი ერთხანს თავს დასტრიალებდა ბრაზილიის გუნდს და სახელგანთქმულ ოსტატებს თითქოს აჯადოებდა, ხელ-ფეხს უბორკავდა. შესამჩნევად ნერვიულობდნენ ბრაზილიელები, თითქოს აღარ სჭრიდა არც გულმოდგინე ფსიქოლოგიური მომზადება, არც აღმზრდელობითი და ახსნა-განმარტებითი მუშაობა, მატჩს წინ რომ უძღოდა, არც ლექციები იმაზე, ცრუმორწმუნეობას ნუ აჰყვებითო. რამდენჯერმე, ზედიზედ უშვებს შეცდომებს კლოდოალდო, რომელსაც საჭარიმო მოედნის უსაფრთხოება აბარია. დამცველები და ნახევარდამცველები ბურთს ხშირად მეტოქეებს გადასცემენ, რომლებიც ამ ხელსაყრელ მომენტებს ვერ იყენებენ. სამაგიეროდ, ურუგვაელები აშკარად მიმართავენ უხეშობას, ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა მარცხენა დამცველი მუხიკა, რომელსაც ეტყობა საზეიმო ფიცი დაუდვია, რომ ჟაირზინიო პირდაპირ აქედან, სტადიონიდან გაგზავნოს ჰოსპიტალში. და რაც შეიძლება სწრაფად და დროულად, ვიდრე ის რამეს მოახერხებდეს.

და აი, ურუგვაელებს პირველი გოლი გააქვთ. ამ მარცხმა ბრაზილიელები კი არ დააბნია, თითქოს დაამშვიდა, გამოაფხიზლა, თამაში გარდატეხა დაიწყო. მატჩის მსვლელობაზე აღარ შევჩერდებით. იგი საკმაოდ ცნობილია. მხოლოდ შევახსენებთ მკითხველს, რომ იგი დამთავრდა ბრაზილიელთა გამარჯვებით 3:1.

ამ გამარჯვებას ბრაზილია მთელი ოცი წელი ელოდა.

ი. ფესუნენკო

# დამაკვირდი

თავის დროზე გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებული და შემდეგ, 1887 წელს ცალკე წიგნად გამოცემული აფორიზმების კრებული „დამაკვირდი“, ჩვენს დროში უკვე ოთხჯერ გამოიცა (ალ. სიგუას რედაქტორობით, წინასიტყვაობით და შენიშვნებით). ალ სიგუა, ამ კრებულისათვის დამატების სახით ჰკრებს და თარგმნის აფორიზმებს, კერძოდ, იგი ქართულ ენაზე თარგმნის პ. პეტროვისა და ი. ბერლინის წიგნს „აფორიზმები“ („პროგრესის“ გამოცემა, მოსკოვი, 1972 წ.). მან რედაქციას წარმოუდგინა ერთი ნაწილი ამ აფორიზმებიდან.

* * *

ჩვენი მიწა დიდი სასოფლო შარაგზაა. ჩვენ კი მგზავრები ვართ. ჰ ა ი ნ ე.

ქვეყანა წიგნია, რომელსაც ჩვენ ყოველ ნაბიჯზე ვფურცლავთ. ლ ა მ ა რ ტ ი ნ ი.

ქვეყანა საცოდავია მხოლოდ საცოდავი ადამიანისათვის. ფუჭი და ამაოა მხოლოდ ფუჭი ადამიანისათვის. ფ ო ი ე რ ბ ა ხ ი.

თვით უმშვენიერეს ოცნებაშიც კი ადამიანი ბუნებაზე უფრო ლამაზს ვერაფერს წარმოიდგენს. ლ ა მ ა რ ტ ი ნ ი.

ერთი ხალხის დიადი ღვაწლი და გამარჯვება ხდება ყველა ხალხის საკეთილოდ და საბედნიეროდ. ს. ტ. ც ვ ა ი გ ი.

ყველაზე საუკეთესო, რასაც ჩვენ ისტორია გვაძლევს, ეს არის მის მიერ აღძრული ენთუზიაზმი. გ ო ე თ ე.

ცრუ ისტორიკოსები ისე უნდა დაისაჯონ, როგორც ისჯებიან ყალბი ფულის მომჭრელები. ს ე რ ვ ა ნ ტ ე ს ი.

ისტორია არის ჩვენი ღვაწლის საგანძური, წარსულის მოწმე, მაგალითი და მასწავლებელი აწმყოსათვის, გაფრთხილება — მომავლისათვის. ს ე რ ვ ა ნ ტ ე ს ი.

მშვიდობა იმდენად კეთილშობილური და სანუკვარია, თვითონ სიტყვაც კი ეალერსება სმენას. ც ი ც ე რ ო ნ ი.

ვისაც ვაჟიშვილი არა ჰყავს, იმან არ იცის რა არის ომი. ჟ ო ზ ე ფ დ ე მ ე ს ტ რ ი.

ომი — თავგადასავალი არ არის. ომი — სნეულებაა, სახადი. ე ქ ზ ი უ პ ე რ ი.

ვინც კარგად მოემზადა ომისათვის, მან იგი უკვე წინასწარ სანახევროდ მოიგო. ს ე რ ვ ა ნ ტ ე ს ი.

სამშობლოსადმი სიყვარულმა ანგარიში არ იცის: ვინც მისთვის ყველაფერს არ აკეთებს, ის არაფერს არ აკეთებს, ვინც მას ყველაფერს არ აძლევს— არაფერს აძლევს. ბ ე რ ნ ე.

სამშობლო, უპირველეს ყოვლისა, შეიძლება ენაა. მ ა რ ტ ე ნ დ ი უ გ ა რ ი.

ვინც კარგი მეაბჯრე იყო, მას შეუძლია კარგი გუბერნატორიც გახდეს. ს ე რ ვ ა ნ ტ ე ს ი.

მთავრობა — იალქნებია, ხალხი — ქარია, სახელმწიფო — გემია, დრო კი ზღვა არის. ბ ე რ ნ ე.

არიან ადამიანები, რომლებიც წიგნს მარტო იმიტომ კითხულობენ, მწერალს შეცდომები ვუპოვოთო. ვ ო ვ ე ნ ა რ გ ი.

არიან ადამიანები, რომლებიც არასოდეს არ სცდებიან, ვინაიდან არასოდეს ეძლევიან გონივრულ ფიქრებს. გ ო ე თ ე.

რაც არ უნდა ნაკლი ჰქონდეთ, ადამიანებზე საყვარელი არაფერია ქვეყანაზე. გ ო ე თ ე.

ყველაზე ლამაზი ფრინველები ყველაზე ცუდად გალობენ. ეს ეხება ადამიანსაც. მაღალფარდოვან და ღვარჭნილ სტილში ღრმა აზრებს ძებნას ნუ დაუწყებ. ლ ი ხ ტ ე ნ ბ ე რ გ ი.

ცუდი კაცი რომ გაგკილავს — ეს ქებად ჩათვალე. ს ე ნ ე კ ა.

ვისაც არავინ და არაფერი არ უყვარს, ის არარაობაა, ფ ო ი ე რ ბ ა ხ ი.

კოჭლი, რომელიც ძლივს მიდის სწორ გზაზე, ყოველთვის გაუსწრებს ჩქარ მორბენალს, რომელიც უგზო ადგილზე მირბის. ბ ე კ ო ნ ი.

ზოგი კაცი პირველ რიგში სულ არა ჩანს, ხოლო მეორეზე რომ დასვა, ერთბაშად გაბრწყინდება. ვ ო ლ ტ ე რ ი.

ადამიანი, რომელსაც არაფერი არ აკვირვებს, გონებაჩლუნგია. ჰ ე გ ე ლ ი.

ადამიანი იშვიათად ფიქრობს სიბნელეზე, როცა სინათლეში იმყოფება, უბედურებაზე, როცა ის ბედნიერია, ტანჯვაზე, როცა ის კმაყოფილია, და პირიქით, მუდამ ფიქრობს ნათელზე სიბნელეში, ბედნიერებაზე — უბედურების დროს. კ ა ნ ტ ი.

მე ადამიანი ვარ და ჩემთვის არაფერი ადამიანური უცხო არ არის. ტ ე რ ე ნ ც ი უ ს ი.

ყველა ადამიანის სულში მოთავსებულია მისივე ხალხის მინიატურული პორტრეტი. ფ რ ე ი ტ ა გ ი.

მომხვეჭელი ღორმუცელა თავისივე კბილებით სთხრის თავის საფლავს. ე ტ ი ე ნ ი.

# უცნაური ამბავი

იუმორესკა

სოფელ ზემო ნუშიანში, მეხრიაანთ უბანს რომ ჩასცდებით, ტყით დაფარული ხევი დაგხვდება. ამ ხევის შემდეგ მწვანე ბალახით გადაპენტილი ალმართი იწყება. აყვები ალმართს და გორაკზე იტენილ-შამბნარებში მივიწყებულ სასაფლაოს გადაეყრები. სასაფლაოზე რიყის ქვებისაგან ნაგები, პატარა, ვერცხლისფერგუმბათიანი სამრეკლო დგას. სამრეკლოზე ასვლას თუ მოინებებთ და იქიდან გადმოიხედავთ, ხელისგულივით მოჩანს პლატოზე ალმართული ძველი მონასტერი. აღმოსავლეთით მას ორქიმიანი პიტალო კლდე ესაზღვრება, ჩრდილოეთის მხარე ფლატეს გადაჰყურებს, ხოლო დასავლეთით მდებარეობს პატარა და კოხტა სოფელი წაბლიანი.

კარგად თუ დაუკვირდებით, ბროწეულის და ლელვის ხეებში ჩაძირულ სოფელს თეთრ ზოლად გასდევს პატარა მდინარე. მასში დაწინწკლული კალმახები დასრიალებენ. ოდესღაც ამ სოფელში გზად მიმავალ ალექსანდრე დიუმას ჩაუვლია, სახელოვან ფრანგ მწერალს აღტაცებისგან თავი ვერ შეუკავებია, ცხენიდან გადმომხტარა, ხელები ზეცისაკენ აუპყრია, მუხლებზე დამხობილა, მიწისთვის უკოცნია და ხმამაღლა წარმოუთქვამს: ცოლ-შვილი რომ არ მყავდეს, ამ სოფელში ზედსიძედ ჩავსახლდებოდი და კეტიც რომ ერტყათ, აქედან ფეხსაც არ მოვიცვლიდიო.

ერთი შეხედვით სოფელი წაბლიანი ბევრი არაფრით არ განსხვავდება სხვა სოფლებისაგან, მაგრამ ამ სოფელში მოხდა დაუჯერებელი შემთხვევა, რომლის მსგავსი საქართველოს არც ერთ კუთხეში არ მომხდარა და არც შეიძლება მოხდეს.

ყველაფერი ასე დაიწყო: ერთ მშვენიერ დღეს, ჯანღონით სავსე, ახლად ჯვარდაწერილმა ცოლ-ქმარმა თებრო და ვანო ქაშაყაშვილებმა მიატოვეს ქვითკირით აშენებული, თანამედროვე ავეჯით გაწყობილი ორსართულიანი, ექვსოთახიანი, მაღალჭერიანი ბინა, მსხმოიარე ვენახი, დახუნძლული ხილის ბაღი, თვალგულმიმტაცი ბოსტანი, ორი მეწველი ძროხა, ერთი უშობელი, 120 ფრთა ქათამი, ინდაური, ღვინით სავსე ქვევრები, და ვინ მოსთვლის კიდევ რა! ანგარიში არ გაუწიეს მოხუც მშობლებს, ზურგი შეაქციეს წალკოტად ქცეულ კარმიდამოს და ქალაქში წავიდნენ საცხოვრებლად. მალე მათ მახათას გორაზე, რომ იტყვიან, მამასისხლის ფასად იქირავეს ნესტიანი სარდაფი და იქ დაიწყეს ბედნიერი ცხოვრება. ვაჟმა გარდაბნის თივის დამზადების კანტორაში იშოვა ადგილი, დამხმარე მუშად გაამწესეს, ქალი კი ლილოს მეძროხეობის ფერმაში მიიღეს. ცოლ-ქმარი კვირაში ერთხელ ხვდებოდნენ ერთმანეთს, მორიგეობით დადიოდნენ მშობლიურ სოფელში და იქიდან ეზიდებოდნენ ლობიოს, სიმინდის ფქვილს, ყველს, მწნილსა და მწვანილს. წლის თავზე მათ თმახუჭუჭა ვაჟი შეეძინათ, რომელიც უკვე ქალაქელია და სოფელი ჯერ თვალით არ უნახავს.

აი, რა უცნაური ამბები ხდება ხანდახან ქვეყანაზე.

თენგიზ პირველი



უსიტყვოდ. ნახატები ა. ე რ ა ძ ი ს ა.



# მოზაიკა



## საქორწილო კაბა და ნარკოტიკები

ქალაქ ნიცაში სასამართლოს წინაშე წარსდგა თურქი სენატორი ბეიხანი, რომელსაც საფრანგეთის სასაზღვრო პუნქტ მენტონში საბაჟოს მოხელეებმა მანქანის დათვალიერების დროს, საბარგულში აღმოუჩინეს 146 კილოგრამი მორფი. პატივცემული სენატორი და მისი შოფერი იბრაჰიმი ირწმუნებოდნენ, რომ წარმოდგენაც კი არა აქვთ საიდან გაჩნდა ნარკოტიკები მათ მანქანაში. ბეიხანი, როგორც თვითონ განაცხადა, თურმე „თავის სიცოცხლეში პირველად მიემგზავრებოდა საფრანგეთში“. მისი მოგზაურობის მიზეზი ის იყო, რომ სურდა საქორწილო კაბა ეყიდა თავისი გასათხოვარი ქალიშვილისათვის.

ძიება თითქმის ერთ წელიწადს გაგრძელდა. სასამართლომ დაამტკიცა, რომ სენატორი სიცრუეს ამბობდა და როგორც მას, ისე მის შოფერს 15-15 წლით პატიმრობა მიუსაჯა. მათვე უნდა გადაიხადონ ჯარიმა 2980 ათასი ფრანკის რაოდენობით.

## ვინ არის ჰაინრიხ ჰაინე?

დიდი გერმანელი პოეტის ჰაინრიხ ჰაინეს დაბადების 175 წლისთავთან დაკავშირებით, პოეტის მშობლიური ქალაქის დიუსელდორფის მკვიდრთა შორის თავისებური გამოკითხვა მოაწყეს. გამოირკვა, რომ 17 დაკითხული ჰაინრიხ ჰაინეს მაგიდის ჩოგბურთის ცნობილ მოთამაშედ თვლის, 5 მოქალაქეს იგი მსუბუქი წონის მოჭიდავე ჰგონია, 2 გამოკითხული კი დარწმუნებულია, რომ ჰაინრიხ ჰაინე ბუნდესტაგის დეპუტატია.

გამოკითხულთაგან მხოლოდ 19 კაცმა გასცა სწორი პასუხი პოეტის ვინაობის შესახებ დასმულ კითხვაზე.



## ცხოვრება უმიკროფონოდ

ნიუ-იორკის რადიოში 34 წელია მუშაობენ ცოლ-ქმარი ფიცჯერალდები (ქმარი უკვე 79 წლისაა, ცოლი წლოვანებას არ ამხელს). ამ ხნის მანძილზე მათ მიკროფონთან ილაპარაკეს 10.000 საათის განმავლობაში. მათ გადაცემას ეწოდებოდა „ლაყბობა საუზმის დროს“. ისინი ლაპარაკობდნენ ყველაფერზე და არაფერზე. როცა ასაკის გამო მუშაობას თავი დაანებეს, მიხვდნენ, რომ უმიკროფონოდ მათ ცხოვრება არ შეეძლოთ, ამიტომ ისევ რადიოსტუდიას მიაშურეს.



## ბანდის ატამანი 15 წლისაა

ქალაქ ნიურნბერგის ჩრდილოაღმოსავლეთ რაიონის მოსახლეობას ეს სამი წელია თავზარს სცემდა მძარცველთა ბანდა, რომელშიც 23 კაცი შედიოდა. აქედან 8 მძარცველის ასაკია 11-დან 14 წლამდე, ხოლო დანარჩენების — 15-დან 19-მდე. თვითონ ბანდის ატამანი თხუთმეტი წლისაა. პოლიცია, რომელმაც, ბოლოს და ბოლოს, შეძლო მძარცველების შეპყრობა, იუწყება, რომ არასრული მონაცემების მიხედვით, ნორჩმა მძარცველებმა 50-ზე მეტი სახლი გატეხეს და გაძარცვეს.

## რა ღირს უნივერსიტეტის დიპლომი

გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“ წერს, რომ ამერიკაში ყოველწლიურად 100 ათასი კაცი იღებს უნივერსიტეტის დამთავრების ყალბ დიპლომს. ამ დიპლომებს ამზადებენ დიდად დახელოვნებული საქმოსნები, ამზადებენ ისე ოსტატურად, რომ ეჭვს ვერავინ შეიტანს. ყალბი დიპლომის ფასი 25 ათასი დოლარია. დიპლომების გარდა, მსურველებს შეუძლიათ შეიძინონ სხვადასხვა საჭირო ყალბი დო-



კუმენტები, მოწმობები, უნივერსიტეტის დამთავრების სამკერდე ნიშნები, ემბლემები.

ყველაზე საინტერესო ის არის, აღნიშნავს გაზეთი, რომ პოლიციამ დღემდე ვერ შესძლო აღმოეჩინა და დაესაჯა თუნდაც ერთი დამაარსებელი იმ „უნივერსიტეტისა“, რომელიც ესოდენ უხვად არიგებს დიპლომებს.



## ურჩი შვილიშვილი

მსოფლიოში ყველაზე მდიდარი კაცის, ამერიკელი მილიარდერის პოლ ჰეტტის შვილიშვილმა გადაწყვიტა სახლიდან გაქცეულიყო და ლუკმაპურის საშოვნელად კინოგადაღებებში დუბლიორად დაეწყო მუშაობა.

წარჩინებული პაპის თვალცრემლიანი მუდარის მიუხედავად, შვილიშვილმა უარი თქვა შინ დაბრუნებაზე, რომში გაემგზავრა და ქუჩაქუჩა მოხეტიალე, ნახევრად მშიერმწყურვალი ჰიპების ჯგუფს შეუერთდა. უმცროსმა ჰეტტიმ ამით გამოხატა თავისი პროტესტი იმ წრეგადასული ფუფუნებისა და განცხრომის წინააღმდეგ, რასაც თავის პაპის სახლში ხედავდა.

გარეკანის პირველ გვერდზე: თბილისის 58-ე საშ. სკოლის დირექტორი ლამარა მარგველაშვილი მოსწავლეებთან. ფოტო თ. არჩვაძისა. მეოთხე გვერდზე: მდ. გუბაზოულზე. ფოტო ნ. ანთიძისა.

მთავარი რედაქტორი გ. ნატროშვილი.

სარედაქციო კოლეგია: გ. ბახტაძე, თ. გოგოლაძე (პ/მგ. მდივანი), ს. დურმიშიძე, ლ. კალანდაძე, ვ. კიკნაძე, ა. კუსრაშვილი, ა. მინდაძე, დ. ნოდია (მხატვარი-რედაქტორი), ი. ტაბაღუა, უ. ჯაფარიძე.

საქ კპ ცკ-ის გამომცემლობა

ტექრედაქტორი დ. ხეფიაშვილი. კორექტორი ტ. თაბორიძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, III სართ. ტელ.—რედაქტორის—99-54-66, პ/მგ. მდივნის—99-82-69, განყოფილებების—93-28-42, 99-01-39

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 30 კაპ.

გადაეცა ასაწყობად 9/V-73 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/V-73 წ. ქაღ. ზომა 70×108 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურც. 2,5. პირობით ნაბეჭდი ფურცელი 3,5. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,9. ტირაჟი 55.300. შეკვ. № 1643. უე 01896.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14. Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.



ლიახვის სანაპიროზე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.



ИНДЕКС 76056

ეროვნული
ბიბლიოთეკა